

ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
გაზეთი
გამოდის
1927 წლიდან



უნივერსიტეტის 90-ე
წლისთავისადმი მიძღვნილი
საიუბილეო კვირეული
ჰუმანიტარულ
მიცნობებითა
ფაქულტეტთა გაბარათა



ახალი წელი

უნივერსიტეტი

23

ივნისი, ორშაბათი, 2008 წ. №9 (2076)

ფასი 30 თეთრი

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე უნივერსიტეტში



17 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში უკვდავი პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ წასაკითხად უამრავმა მსურველმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები: მწერლები, პოლიტიკოსები, ლექტორები, ასევე სტუდენტები და საჯარო სკოლის მოსწავლეები.

შურთხია ბაროშვილი

„ყველაზე საჯარო ლექცია“ — როგორც მას მონაწილეებმა უწოდეს, დილით დაიწყო და გვიანობამდე გაგრძელდა. პოემის კითხვა სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძემ დაიწყო, რომელსაც ამ ღონისძიების ორგანიზატორი ნუგზარ წიკლაური შეენაცვლა.

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვაში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის წევრმა ხათუნა ოჩიაურმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა, მწერალმა მამუკა ხერხეულიძემ, ასევე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და 158-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

როგორც ქართველოლოგიური ენის ცენტრის ხელმძღვანელმა, რუსთველოლოგმა, პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ აღნიშნა, „ვეფხისტყაოსნის“ ქართველი ერის შინაგანი მეობის, კულტურისა და ინტელექტის ღრმა გამოვლინებაა და მისი წაკითხვა კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას — თუ რა ღირებულებების მატარებლები ვართ.

ნუგზარ წიკლაურის აზრით, რუსთაველის შედგენის კითხვა მნიშვნელოვანია, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ არ დარჩეს დიდებულ, მაგრამ „დახურულ“ ნიგნად.

„ეს ნიგნი დღესაც ისეთივე სისხლბორცეული ნაწილია ქართველებისთვის, როგორც საუკუნეების განმავლობაში იყო. ყველა პოლიტიკოსს ფურჩვე, მიიღოს მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვაში, რადგან ის იდეალები, რომელზეც ნაწარმოებშია საუბარი, ყველასთვის მისაღები და გასათვალისწინებელია“, — აღნიშნა მან.

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე ხუთი წლის წინ მწერალმა დათო ტურაშვილმა, გამომცემლობა „ლიტერას“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით დაწესდა.

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე ესპანური გამოცდილებიდან მოდის. ესპანელებისთვის ასეთი ნიგნი სერვანტესის „დონ კიხოტია“. როგორც პირამიდები არ ეკუთვნის მხოლოდ ეგვიპტეს, ასევე არ არის „ვეფხისტყაოსანი“ მარტოოდენ ქართველების. ის ყველასია.

უნივერსიტეტის წესდება

გვ-13-16 გვ.

რა პრობლემა
გამოიკვეთა და რა
სიხალე დაინერგა
მიმდინარე წელს
თსუ-ის
ფაქულტეტებზე

გვ-3-4 გვ.

უნივერსიტეტში
სწავლების
სტრუქტურა
შურთხიის
მიმართულებით

გვ-5 გვ.

გამომცემლობა
"Nova-Science"
ქართულ
მიცნობებს
თანამშრომლობას
სთავაზობს

გვ-6 გვ.

მეცნიერების
ინფორმაციის
მომწოდებელი
და არა
რეკომენდირებული

გვ-19 გვ.

„ნიმუშობით“
პარადოქსებთან და
თქვენც განიხილეთ
გახდებით!

გვ-22 გვ.

ნანა ალექსანდრი-
ასთან გაბარებული
ფოტოგრაფიის
მოულოდნელი
შედეგი

გვ-27 გვ.

წესდების დამტკიცებით უნივერსიტეტმა სრულფასოვანი ავტონომია შეიძინა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება დამტკიცდა. ამით დასრულდა უნივერსიტეტის რეფორმირების ძირითადი ეტაპი და სერტიფიკაციის დასრულება. უნივერსიტეტმა, რომელიც საქართველოს მთავარი უმაღლესი სასწავლებელი წესდების გარეშე მუშაობდა, წესდება, ძირითადი სამოქმედო დოკუმენტია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტი აქამდეც კანონის ფარგლებში მოქმედებდა და მის მუშაობას არეგულირებდა „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტები.

მანია ტორაძე

თსუ-ის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შემუშავებული წესდება უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 28 ივნისის წერილით დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. 2007 წლის შემოდგომაზე დოკუმენტი რეკომენდაციებით დაბრუნდა უკან. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაციები და წარმომადგენლობითმა საბჭომ, აკადემიური საბჭოსთან ერთად, განმეორებით განიხილა წესდების პროექტი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დადგენილი წესით დაამტკიცა.

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ 2008 წლის 4 ივნისის 80-ე ნომერში მითითებულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 მაისის 490 ბრძანებით, დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომელიც დადგენილია წესდების კვლევის მიზნით. წესდების ყველა მუხლი, გარდა 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 48-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 52-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა, გამოქვეყნებისთანავე შევიდა ძალაში. ხოლო დარჩენილი მუხლები 2009—2010 წლიდან ამოქმედდება. წესდების მიღებით დასრულდა უნივერსიტეტის რეფორმირების

მნიშვნელოვანი ეტაპი. მასში განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდების მოქმედების სფერო, უნივერსიტეტის სტატუსი და მიზნები, დადგენილია უნივერსიტეტის სიმბოლიკა, მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები მათი მუშაობის და არჩევის წესი, განსაზღვრულია აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციული თანამდებობები, სტუდენტის სტატუსი და პასუხისმგებლობა.

წესდების მიღებას მნიშვნელოვან მოვლენას უწოდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია. მისი თქმით, ეს დოკუმენტი, რომლის შედგენაზეც არაერთი პროფესიონალი მუშაობდა, ხანგრძლივი შრომის ნაყოფია.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ძალაში შესვლით უნივერსიტეტში დასრულდა გარდამავალი პერიოდი და დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი. უნივერსიტეტმა შეიძინა სრულფასოვანი ავტონომია, რაც დაცული თავად ამ წესდებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. წესდება არ არის გაყინული დო-

კუმენტი. დროს მოაქვს თავისი სიახლეები, პრობლემები და თუ საუნივერსიტეტო რეალობა მოითხოვს, მასში შეიძლება შევიდეს დამატებები, ცვლილებები და შესწორებები“, — განაცხადა კახაბერ ლორიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ლელა ბენიძის თქმით, წესდება უნივერსიტეტის იურიდიული დოკუმენტია, რომელიც მოაწესრიგებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესს, უნივერსიტეტის მართვისა და დაფინანსების პრინციპებს, ამასთანავე, განაპირობებს უნივერსიტეტის ავტონომიის ხარისხს.

„წესდების მიღება ხელს შევსებს სამომავლო გეგმების და ამოცანების განხორციელებაში. პირველ ყოვლისა, გადაწყვეტილი გვაქვს, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე იქნება გატანილი“, — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

ბრძანება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მედიცინის ფაკულტეტზე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, იურიდიულ ფაკულტეტზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსს

1. კონკურსი ცხადდება მედიცინის ფაკულტეტის 79 ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

- თერაპიის დეპარტამენტი 1 სრული, 4 ასოცირებული და 4 ასისტენტ პროფესორი;
- ქირურგიის დეპარტამენტი 1 სრული, 4 ასოცირებული და 4 ასისტენტ პროფესორი;
- ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი 1 სრული, 5 ასოცირებული პროფესორი;
- ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტი 1 სრული, 1 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი;
- სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტი 1 სრული, 1 ასოცირებული და 2 ასისტენტ პროფესორი;
- უროლოგიის დეპარტამენტი 1 სრული, 2 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი;
- პედიატრიის დეპარტამენტი 1 სრული, 1 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი;
- მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტი 1 სრული, 4 ასოცირებული პროფესორი;
- ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი 1 სრული, 1 ასოცირებული და 3 ასისტენტ პროფესორი;
- პათოლოგიის დეპარტამენტი 1 სრული, 4 ასოცირებული პროფესორი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი 1 სრული, 4 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი;
- სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტი 1 სრული, 2 ასოცირებული და 3 ასისტენტ პროფესორი;
- ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი 1 სრული, 2 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი;
- დერმატოვენეროლოგიის დეპარტამენტი 1 სრული, 1 ასოცირებული პროფესორი;
- ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი 1 სრული, 1 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი;
- ოფთალმოლოგიის დეპარტამენტი 1 სრული, 1 ასოცირებული პროფესორი;
- გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი 1 სრული, 1 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი.

2. სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ, რომელიც შეიცავს:
 - თანხმობის წერილს იმ კლინიკური ბაზის/ბაზების ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი;
 - კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითადი სტატისტიკური მონაცემებს;
 - კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებული სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი სივრცის აღწერილობა და სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი.

1. სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- პირადობის მონომობის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
- სალექციო კურსების ჩამონათვალი – სილაბუსებით;
- სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს.

2. სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევამ კანდიდატმა შესაძლებელია წარმოადგინოს:

- ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობა ან პროექტებში მონაწილეობა;
- ინფორმაცია მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესახებ;

3. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- პირადობის მონომობის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტი

ტურში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სამოტივაციო წერილი.

2. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კონკურსი ცხადდება სრული და ასოცირებული პროფესორის 46 საშტატო ერთეულზე:

- საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით 2 სრული და 4 ასოცირებული პროფესორი;
- საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით 2 სრული და 1 ასოცირებული პროფესორი;
- ფსიქოლოგიის მიმართულებით 6 სრული და 12 ასოცირებული პროფესორი;
- ჟურნალისტიკის მიმართულებით 1 სრული და 8 ასოცირებული პროფესორი;
- სოციოლოგიის მიმართულებით 1 სრული და 4 ასოცირებული პროფესორი;
- პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით 1 სრული და 4 ასოცირებული პროფესორი;

1. თსუ სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ბ) პირადობის მონომობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
- ე) სალექციო კურსების ჩამონათვალი – სილაბუსებით;
- ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;
- ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს.
- კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს:
 - ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობა ან პროექტებში მონაწილეობა;
 - ბ) ინფორმაცია მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესახებ;

3. ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე კონკურსი ცხადდება ასისტენტ პროფესორის 33 საშტატო ერთეულზე:

ფილოსოფია - 2; საქართველოს ისტორია - 5; შუა საუკუნეების ისტორია - 2; ახალი და უახლესი ისტორია - 2; ახლო აღმოსავლეთის ისტორია - 1; კულტურის მეცნიერებები - 1; კავკასიოლოგია - 1; ქართული ლიტერატურა - 1; ძველი ქართული ენა - 1; ახალი ქართული ენა - 1; ფოლკლორი - 1; ინგლისური ფილოლოგია -2; გერმანული ფილოლოგია - 1; ესპანური ფილოლოგია - 1; იტალიური ფილოლოგია - 1; არა-აბსტიკა - 1; ირანისტიკა - 1; თურქოლოგია - 3; ებრაისტიკა-არამეისტიკა -1; ასირიოლოგია - 1; . განათლების მეცნიერებები - 1; ლიტერატურული ურთიერთობანი და თარგმანმცოდნეობა - 1.

1. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ბ) პირადობის მონომობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტიურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე) სამოტივაციო წერილი..

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კონკურსი ცხადდება ასისტენტ პროფესორის 48 საშტატო ერთეულზე:

3.1 ეკონომიკის მიმართულებით : ეკონომიკის პრინციპები - 4; ეკონომიკური პოლიტიკა - 1 ; ეკონომიკური სტატისტიკა - 2; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები - 2; შრომის ეკონომიკა - 1; მაკროეკონომიკა - 2 ; მიკროეკონომიკა - 2; ეკონომეტრიკა -1.

3.2 ბიზნესის მიმართულებით: მარკეტინგი - 2; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა - 7 ; საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი - 9; ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში - 5; ტურიზმი - 1; მენეჯმენტი - 5; ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე - 4.

1. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ბ) პირადობის მონომობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტიურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე) სამოტივაციო წერილი.

5. იურიდიულ ფაკულტეტზე კონკურსი ცხადდება სრული და ასოცირებული პროფესორის 52 საშტატო ერთეულზე:

ა. კერძო სამართლის მიმართულებით 5 სრული და 10 ასოცირებული პროფესორი; ბ. კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით 2 სრული და 5 ასოცირებული პროფესორი; გ. ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით 1 სრული და 4 ასოცირებული პროფესორი; დ. საერთაშორისო სამართლის მიმართულებით 2 სრული და 4 ასოცირებული პროფესორი; ე. სისხლის სამართლის მიმართულებით 3 სრული და 8 ასოცირებული პროფესორი; ვ. სამართლის მეთოდების მიმართულებით 1 სრული და 3 ასოცირებული პროფესორი; თ. სამართლის ისტორიის მიმართულებით 1 სრული და 3 ასოცირებული პროფესორი.

1. თსუ სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ბ) პირადობის მონომობის ასლი ;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
- ე) სალექციო კურსების ჩამონათვალი – სილაბუსებით;
- ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;
- ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს.

კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს:

- ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობა ან პროექტებში მონაწილეობა;
- ბ) ინფორმაცია მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესახებ;

6. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კონკურსი ცხადდება ასისტენტ პროფესორის 53 საშტატო ერთეულზე:

მათემატიკა:
მათემატიკური ანალიზი - 4, ალგებრა-გეომეტრია - 2 და დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები - 1.

კომპიუტერული მეცნიერებები:
დაპროგრამების ენები და დაპროგრამების ინჟინერია - 6, ალგორითმები და ოპერაციით კვლევა - 2, დისკრეტული სტრუქტურები - 2, მონაცემთა დამუშავება და საინფორმაციო სისტემები - 2, კიბერნეტიკა და ინფორმაციის მართვა - 2.

ფიზიკა: 3 (პრეტენდენტს მოეთხოვება პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება ზოგადი ფიზიკის იმ საგნებზე, რომლებიც წარმოდგენილია ფიზიკის ძირითადი სპეციალობის (Physics Major) და ფიზიკის დამატებითი სპეციალობის (Physics Minor) კურიკულუმებში) და 6 (პრეტენდენტს მოეთხოვება პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება ზოგადი ფიზიკისა და თეორიული ფიზიკის იმ საგნებზე, რომლებიც წარმოდგენილია ფიზიკის ძირითადი სპეციალობისა (Physics Major) და ფიზიკის დამატებითი სპეციალობის (Physics Minor) კურიკულუმებში).

ქიმია: ფიზიკური და ანალიზური ქიმია - 2; ორგანული ქიმია - 4; ზოგადი არაორგანული, მეტალორგანული ქიმია -1.

ბიოლოგია: ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგია - 3; ფიზიოლოგია - 1; ბიომრავალფეროვნება - 2; გენეტიკა - 1.

გეოგრაფია: ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგმცოდნეობა და გარემოს დაცვა - 1; გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია და კარტოგრაფია-გეოინფორმატიკა -1; ქვეყანათმცოდნეობა და საქართველოს გეოგრაფია -1; ჰიდრომეტეოროლოგია (ჰიდროლოგია, მეტეოროლოგია, ოკეანოლოგია) - 3.

გეოლოგია - 3.

1. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ბ) პირადობის მონომობის ასლი ;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტიურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე) სამოტივაციო წერილი.

დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 11 ივლისი. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს თსუ-ის კანცელარიაში, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1.

საფშპ3301 — თსუ-ის რექტორის ბრძანებები: №37/01-01; №38/01-01; №39/01-01; №40/01-01; №41/01-01; №42/01-01.

11.06.2008 წელი

რა პრობლემები გამოიკვეთა და რა სიახლე დაინერგა მიმდინარე წელს

სსუ-ის ფაკულტეტებზე

ინტერვიუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ლარაჯანთან



ქალბატონო ლარაჯანი, რა პრობლემები გამოიკვეთა ამ სემესტრში, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით?

პრობლემა, რომელიც ძალიან გვანუხება, ეს იყო სტუდენტთა ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინა სემესტრებთან შედარებით, წელს ეს პროცესი უფრო ორგანიზებულია და წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას. ეს შეიძლება მივანეროთ იმასაც, რომ თავად უნივერსიტეტი შედარებით უფრო ორგანიზებული დახვდა ამ პროცესს და მეორე — სტუდენტებსაც რეგისტრაციის პროცედურის გავერის შესახებ მეტი ინფორმაცია უკონდათ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო აკადემიური რეგისტრაციის დროულად გავლა, რაც სავსებით აზრიანია და იმავე დროს, ეს პროცესი ცოტათი მაინც გაიწვია, შესაბამისად, სწავლის დაწყების პროცესი გაახანგრძლივდა.

მეორე პრობლემა უკავშირდება ლექციების დამთხვევას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროგრამები სტუდენტებზე ორიენტირებულია, ხშირად ხდება ისე, რომ სტუდენტი, რომელიც ძირითადად სპეციალობისათვის ეხება, ხშირად სპეციალობის დასრულებით დასრულებულია და სპეციალობის დასრულების პროცესში სპეციალისტად იმსახურებს. ეს ხდება იმ მიზეზით, რომ მის მიერ არჩეულ სხვადასხვა საგანში ლექციები ერთსა და იმავე დროს არის დანიშნული. ამიტომ საჭიროა უკეთესი კოორდინაცია და უფრო მოქნილი ცხრილის შედგენა, რათა სტუდენტს მისთვის სასურველ რომელიმე საგანზე უარის თქმა აღარ დასჭირდეს.

ამ სემესტრში ძალიან ბევრი დასვენების დღე გვქონდა. ბევრი ორშაბათი და პარასკევი დავისვენეთ, ამის გამო დამატებითი მეცადინეობების დანიშვნა მოგვიხდა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არის სტუდენტთა დასწრების პრობლემა მიუხედავად იმისა, რომ დასწრებაში სტუდენტს ქულათა ენერჯია სხვა მხრივ ნიშნების დაწერა, მისი დროულად გაფორმება, უწყისში შეტანა, სტუდენტის პირად ბარათში მისი უკვე ელექტრონული სახით შეყვანა — ეს ყველაფერი მონერვოდა. რამდენადაც ვიცი, სექტემბრიდან რეგისტრაციის გავლასთან დაკავშირებით ახალი სისტემა შეიქმნება. იმედი გვაქვს, რომ ეს კიდევ უფრო გააიოლებს პროცედურას და ალბათ იმ პრობლემასაც მოხსნის, რაც ლექციების დამთხვევის საკითხს ეხება. სტუდენტს თავიდანვე ეცოდინება რომელი საგანი რომელ დღეს და საათს და რომელ აუდიტორიაში ჩაუტარდება. ყოველივე ამის შემდეგ იგი თავად შეეცდება — თავისი ცხრილი ისე აავსოს, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინოს ეს ყველაფერი.

რამდენად ვიცი, მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების სრულყოფის პროცესი, რაც გარკვეულ პრობლემებს მოხსნის...

ეს გახლავთ შიდასაუნივერსიტეტო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების მოდერნიზაციას, ანუ გაუმჯობესებას. ამისთვის მუშაობს დარგობრივი კომისიები, მაგალითად, ჩვენთან 16 ასეთი კომისიაა, რომელიც სწავლობს, თუ რამდენად შეესაბამება თითოეული მათგანი საერთაშორისო

2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დასრულდა. საინტერესოა რა პრობლემები გამოიკვეთა და რა სიახლე დაინერგა მიმდინარე წელს სსუ-ის ფაკულტეტებზე? ფაკულტეტების დეკანის მოვალეობის შემსრულებლები იმ საკითხებს გამოყოფენ, რაც ყველაზე მეტად აწუხებთ და რაც სასწავლო პროცესს ხელს უშლის. ამ კუთხით დანახული პრობლემების გადაჭრას საერთო ძალისხმევა სჭირდება, რათა მომავალ სემესტრში სტუდენტთა სწავლების პროცესი უკეთესად წარიმართოს და უნივერსიტეტი ის ნდობა გაამართლოს, რასაც მას ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი უცხადებს.

ნიმე კაკულიანი

სტანდარტებს. კომისია ანალიზებს იმ შედეგებსაც, რასაც ამ პროგრამის გავლის შემდეგ შეიძენს სტუდენტი და, შესაბამისად, კურიკულუმის შედგენაც მიმდინარეობს. ივლისის პირველი რიცხვებისთვის ჩვენ უკვე გვექნება ახალი, მოდიფიცირებული პროგრამები, რომელსაც შევთავაზებთ წელს ჩარიცხულ ბაკალავრებსა და მაგისტრანტებს. ამ პროცესის შედეგად სწავლებიდან ამოვიღებთ იმ საგნებს, რომელსაც ნაკლებად ან სულ არ ირჩევს სტუდენტი.

აღსანიშნავია, რომ წელს პირველად სტუდენტებს შევთავაზებთ დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს პირველი ექვსი კლასის მასწავლებლის მომზადებას. აქამდე ასეთი სპეციალობა ჩვენს უნივერსიტეტში არ ყოფილა. სპეციალისტთა მთელი გუნდი მუშაობს ამ პროგრამის მომზადებაზე, იმედი გვაქვს, რომ კარგი პროგრამა გამოვა და მომავალი სასწავლო წლიდან პირველ მსმენელს მივიღებთ.

სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით თუ არის სიახლე?

ტრადიციული პროგრამების პარალელურად ჩვენი ფაკულტეტისა და სხვა ფაკულტეტების მონაწილეობით რამდენიმე ინტერდისციპლინარული პროგრამა მზადდება. ერთ-ერთი არის ჩვენი და იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული ტექსტების მთარგმნელის მომზადებას, ისინი კანონების და იურიდიული დოკუმენტების თარგმნაზე იმუშავენ. ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებაზე მიმდინარეობს მუშაობა განახლებულ სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც მაგისტრანტებს ბრიტანეთში სტუდენტობის სპეციალობის დასრულების შემდეგ დასრულება მუშაობა პროგრამაზე — აღმოსავლეთ ევროპული სწავლებები, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლებლის დისციპლინების ერთობლიობა იქნება წარმოდგენილი. ჩვენი და სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორები ერთობლივად ამზადებენ ახალ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამას, კერძოდ, ბიოთექნოლოგიას. არის რამდენიმე მოდერნიზებული პროგრამა — ფილოსოფიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების მიმართულებით... ამ პროგრამების კურიკულუმში დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობით ახლებურად არის დანახული და წარმოდგენილიც და, რაც მთავარია, გაითვალისწინებულია ბაზრის დღევანდელი მოთხოვნები. ეს პროგრამები ჯერ და მუშავების პროცესშია და ივნისის ბოლოს განსახილველად აკადემიურ საბჭოს წარედგინება. 14 ივლისიდან კი სამაგისტრო პროგრამებზე უკვე მიღება გამოცხადდება.

ინტერვიუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ალექსანდრე ცისკარიძესთან



ბატონო სანდრო, რა პრობლემები გამოიკვეთა მიმდინარე სასწავლო სემესტრში თქვენს ფაკულტეტზე?

ძირითადად პრობლემა უკავშირდება კლინიკურ ბაზებს. მიმდინარე რეფორმა ჯანდაცვის სფეროში და პრევატიზაციის პროცესი

სი გარკვეულ სირთულეებს ქმნის. ჩვენი სტუდენტები ქალაქის მასშტაბით რამდენიმე ათეულ საავადმყოფოში კლინიკურ დისციპლინებში გადიან სწავლებას, რაც საკმაოდ ბევრ ტექნიკურ და ლოგისტიკურ პრობლემას გვიქმნის. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის პრობლემა. ამ ეტაპზე ქვეყანაში, ჯერჯერობით, არ არსებობს მრავალპროფილიანი ჰოსპიტალი, რომელიც საუნივერსიტეტო კლინიკის თანამედროვე კონცეფციის მიხედვით ფუნქციონირებს. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით ჯანდაცვის სამინისტროსთან და იმედი გვაქვს, რომ საკითხი ძალიან მალე მოგვარდება. ეს კი ხელს შეუწყობს ბაზისური და კლინიკური განათლების ინტეგრირებული მოდელისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას.

რა სიახლე დაინერგა ფაკულტეტზე მიმდინარე სემესტრში?

ამ ეტაპზე საჩხერის მრავალპროფილიან საავადმყოფოში შემოგვთავაზა, ასე ვთქვათ, პარტნიორობა. ეს არის უახლესი საავადმყოფო და სამკურნალო ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავადმყოფო. მასთან ჩვენ ვინახვებთ თანამშრომლობას პოსტდიაგნოზურ დონეზე, ანუ იქ ჩვენი რეზიდენტების მომზადება იქნება შესაძლებელი. საჩხერის ჰოსპიტლის ბაზაზე ზოგიერთი მიმართულებით კლინიკური ნორმების შესაძლებლობა სტუდენტებსაც მიეცემა.

რაც შეეხება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, ჩვენ თანდათანობით გადავდივართ ე.წ. ინტეგრირებულ კურიკულუმზე. ეს მეთად რთული და ხანგრძლივი პროცესია და სასწავლო პროგრამის კონცეპტუალურ გარდაქმნას მოითხოვს. ახალი კურიკულუმში დამყარებული იქნება ადამიანის ორგანიზმის სისტემებზე დაფუძნებული მოდულების (საბაზისო, სოციალური და კლინიკური) ინტეგრირება სწავლებაზე. გამოვიყენებთ აგრეთვე სწავლების ისეთ ინოვაციურ მეთოდებს, როგორცაა: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem-based learning), რაც გულისხმობს შემთხვევებზე (სამედიცინო პრობლემაზე) ორიენტირებულ, ინტერაქტიულ, მნიშვნელოვან პარტნიორობად, ასევე, მოიაზრება ლუნდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი.

ალსანიშნავია, რომ განათლების სამინისტროსთან და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად შევადგინეთ აუცილებელი დისციპლინების სია, რომელიც პარმონიზაციაში ევროპული სამედიცინო განათლების კურიკულუმთან. შესაბამისად, ჩვენ ვინახვებთ სტუდენტების სწავლებას ევროპული კურიკულუმით — ეს, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია.

გვაქვს რამდენიმე საინტერესო სადოქტორო პროგრამა, მათ შორის ინტერდისციპლინარული, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე ხორციელდება.

პარტნიორ უნივერსიტეტებთან მედიცინის ფაკულტეტი ნიჭიერ და წარჩინებულ სტუდენტთა და ახალგაზრდა ექიმთა გაცვლით პროგრამებს ახორციელებს, რომლებიც ყოველწლიურად სულ უფრო ფართოვდება. მაგალითად, გაცვლით პროგრამები ხორციელდება მიუნხენის ლიუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის კაუფბოიერის კლინიკასთან, სადაც ჩვენი სტუდენტები ამ ზაფხულსაც მიემგზავრებიან. გარდა ამისა, თსუ-ის რექტორის, ბატონი გიორგი ხუბუას ინიციატივით ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა ერთ-ერთ საუკეთესო გერმანულ კლინიკასთან — ეს გახლავთ ხემნიცი საუნივერსიტეტო კლინიკა. ამ კლინიკის დირექტორი, ბატონი ნიხტერლანინი რამდენიმე ხნის წინ თბილისში ვიზიტით იმყოფებოდა. ჩვენ ერთობლივად დავგეგმეთ თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც

გულისხმობს სტუდენტთა, რეზიდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვას და ამ კლინიკის გამოცდილების გაზიარებას. ვფიქრობ, ჩვენი ეს თანამშრომლობა ძალიან ნაყოფიერი იქნება.

ინტერვიუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ჯამალტ ჯანაჯანასთან



დამთავრდა სასწავლო სემესტრი. საინტერესოა, რა პრობლემები და რა სიახლე გამოიკვეთა თქვენს ფაკულტეტზე რაზე გაამახვილებთ ყურადღებას?

პრობლემები, რაც სასწავლო სემესტრში გამოიკვეთა, გახლავთ ის, რომ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ მონვეულ პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი ხარისხის დონეს. ჩვენს მიერ წაყენებულ მოთხოვნებს ყველა მათგანი ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მიმდინარე წელს, ექსპერიმენტის სახით, მონვეული პროფესორების მისაღებად გამოვატყუართ კონკურსი 25 ივლისიდან 25 აგვისტომდე. ამ კონკურსის საფუძველზე ჩვენ დავაკომპლექტებთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორთა იმ შემადგენლობას, რომელიც საათობრივი წესით იქნებოდა მონვეული. ვფიქრობ, რომ საღებურისა და სასემინარო კურსების წასაყვანად შევძლებთ მაქსიმალურად მაღალი დონის პროფესორ-მასწავლებლების მოწვევას. გარკვეულ პრობლემას ქმნის ის ფაქტორი, რომ ჩვენი პროფესორთა დაბალი სახელფასო განაკვეთების გამო პარალელურად კონკურენტ უმაღლეს სასწავლებლებშიც კითხულობს ლექცია-სემინარებს. იმისათვის, რათა ისინი ჩვენთან დავაკავიოთ, ვფიქრობ, რამენაირად ანაზღაურების პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინეთ აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების სრულიად ახალი მოდელი. აღნიშნული პროექტის მიღებით ჩვენს აკადემიურ პერსონალს ექნება საკმაოდ მაღალი ანაზღაურება, რაც შეაჩერებს ჩვენი პროფესორის კონკურენტ უმაღლეს სასწავლებლებში გადინების პროცესს.

პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკის გავლის საკითხიც. გვიანდა, რომ პრაქტიკამ არ მიიღოს ფორმალური ხასიათი. სეროზულად უნდა ვიფიქროთ სანარმო პრაქტიკის წარმატებულად გავლაზე საბანკო, საფინანსო ინსტიტუტებში, სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებში, სადაც ამის საშუალება იქნება. ეს იმდენად შეუწყობს ხელს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტების პროფესიულ დაოსტატებას. ამისათვის ფაკულტეტის წევრანდელი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა წამდვილად არ არის საკმარისი. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი საბაკალავრო პროგრამები და სასწავლო გეგმები გვაქვს, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოგვიწევს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დასახეზად. ამ მიმართულებით მუშაობაში ჩვენ დავგეგმავთ ბრემნის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ბატონი იონი ციხერაიანი, რომელიც ასევე გახლავთ რექტორის სპეციალური მრჩეველი. ჩვენ სექტემბრამდე უნდა დავდეთ უახლესი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

რა პრობლემები გამოიკვეთა და რა სიახლე დაინერგა მიმდინარე წელს თსუ-ის ფაკულტეტებზე

მე-3 გვერდიდან

პრობლემად მიმაჩნია ისიც, რომ მაღლივ კორპუსში არ არის საკანცელარო ნივთები-სა და წიგნის მაღაზია. ჩვენს სტუდენტებს არ აქვთ საშუალება აქვე შეიძინონ მათთვის საჭირო ლიტერატურა. რექტორის დავალებით ეს პრობლემა შექმნილია და უნდა მოგვარდეს. ასევე, აუცილებელია ქსეროქსის აპარატის დადგენა, რათა სტუდენტებმა ქვეთ-არაძის ქუჩაზე არ ირბინონ. სემესტრის ბოლოს ჩვენ გადავჭერით ე.წ. „შიმშილობის“ პრობლემას. გაიხსნა თანამედროვე სტან-დარტების კაფე. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უნივერ-სიტეტის ადმინისტრაციას ამ პრობლემის დადებითად გადაჭრისთვის.

რომ არ ვისაუბროთ სულ პრობლემებზე, ადვილია იშლება ის სიკეთე, რაც ფაკულტეტზე გაკეთდა: ტექნიკურად აღიჭურვა კათედრე-ბი, გაფართოვდა ურთიერთობა ქართულ ბი-ზნესთან, დავამყარეთ ურთიერთობები ევრო-პის უნივერსიტეტებთან, მათ შორის ტარტუსს, პოტსდამს, ბერლინს, რომის, ვარშავის უნი-ვერსიტეტებთან... რამდენიმე დღეში გვეს-ტუმრება დელეგაცია საბერძნეთიდან და ამით დამთავრდება პროექტი — „მენარემობის კურსები საქართველოში“, რომელშიც ჩვენს უნივერსიტეტთან ერთად საბერძნეთის პირეუსის უნივერსიტეტიც მონაწილეობდა.

სტუდენტები ვაცვლით პროგრამის ფარ-გლებში უკვე იყვნენ და მალე კვლავ გაემგ-ზავრებიან თურქეთში, ჩეხეთში, ესტონეთ-ში, გერმანიაში. ვაცვლით პროგრამების ფარგლებში სექტემბერში ვარშავაში გაემგ-ზავრება ჩვენი რამდენიმე პროფესორი, იქიდანაც ველოდებით სტუმრებს. იგივე პროგრამა განხორციელდება ტარტუს უნი-ვერსიტეტთანაც. რუსეთთან ცხელი პოლი-ტიკური ურთიერთობების ფონზე ვითარდე-ბა ურთიერთობა მ. ლომონოსოვის სახელო-ბის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტ-თან. ჩვენ უნივერსიტეტში ფარშავაში გაემგ-ზავრება მოსკოვის სამეცნიერო კონფერ-ენციაზე.

ბოლო პერიოდში ძალზე გააქტიურებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაო-ბა. ტემპის პროექტის ფარგლებში პარტ-ნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთად წარდგენილია 4 პროექტი. ჩვენ ვიმედოვნებთ — რომელიმე პროექტი გაიმარჯვებს და სე-რიოზულ დაფინანსებას მოვიპოვებთ.

ამ სემესტრში, ასევე, გააქტიურდა სტუ-დენტთა სამეცნიერო მუშაობა. საკათედრო და საფაკულტეტო კონფერენციებზე 100-ზე მეტი მოხსენება წაკითხეს. გამარჯვებულ სტუდენტებს სპონსორმა გადასცა პრემიები — 2200 აშშ დოლარისა და 2200 ლარის ოდე-ნობით. ორ წარჩინებულ სტუდენტს კი, ერთი წლის განმავლობაში, დაენიშნა სტიპენდია 100-100 ლარის ოდენობით.

ამ სემესტრში, ასევე, გაიმართა პროფე-სორ მასწავლებელთა სამი კონფერენცია, მათ შორის ერთი: „ქრისტიანობა და ეკონომი-კა“ - ქალაქ ბოლნისში.

ჩვენ, ასევე, ვიზრუნებ ჩვენი სტუდენტ-ების და პროფესორ-მასწავლებლების სუ-ლიერებაზეც და ამ სემესტრში უნივერსიტე-ტის ე.წ. მაღლივ კორპუსში ვაცხსენით სამ-ლოცველო. ფაკულტეტის პროფესორ მასწავ-ლებლები გახლდით ექსკუსიზაზე ტაო-კლარ-ჯეთში, სადაც მოვიხსნა ქართული სინ-მინდევები.

— **ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართ ჩვენი საზოგადოების დაინტერესება ძალიან დიდია. საინტერესოა რამდენად აკ-**

მაყოფილებენ თქვენი ფაკულტეტის კურს-დამთავრებულნი ბიზნის მოთხოვნებს?

— ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მე-4 კურსელთა 20% დასაკმებელია და ბევრი მათგანი მუშაობს სერვიზულ თანამდებობაზე. როდესაც ისინი სრულ კურსს დაამთავრებენ, ბუნებრივია, მათი რაოდენობა გაიზრდება. ჩვენთან პირე-ულ კურსზე ფუნქციონირებს ელიტარული პროგრამა. ამ პროგრამაში მონაწილე სტუდენტ-ები თავისუფლად ფლობენ ინგლისურ ენას, რაც მომავალში მათი დასაქმებისთვის უმნიშ-ვენლოვანესი ფაქტორი იქნება. ასე რომ, იმ მოსაზრებას, რომ თითქოს თბილისის სახელმ-წიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნეს-ის ფაკულტეტი არაკონკურენტუნარიანია, ვერანაირ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები. მინდა გითხრა, რომ ჩვენთან სწავლის დონე საკმაოდ მაღალია, ამას ადასტურებს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლის მსურველთა რაოდენობაც. ზამთარში ჩვენთან გადმოსვლის სურვილი 250-მდე სტუდენტმა გამოთქვა. მათგან მხოლოდ 73 მივიღეთ, რად-გან მობილობის პროცესის დროს გამოცდებზე სტუდენტებს საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმე-ბით ვფასებდით.

— **გაქვთ თუ არა იმის საშუალება, რომ დასაქმების პროგრამები თავად შესთავაზოთ სტუდენტებს? თუ მუშაობთ ამ მიმა-რთულებით?**

— ვაქვს კონტაქტები ს/ს „მადნეულ-თან“, „სახალხო ბანკთან“, „თიბისი ბანკთან“, აეროპორტთან, საქართველოს რკინიგზასთან და სხვა ორგანიზაციებთან. თქვენ შეგიძლი-ათ მოზრდინდეთ სამაგისტრო ნაშრომების დაცემაზე, გაესაუბროთ მაგისტრებს და თავ-ვად დაინტერესდით, რომ მათგან აბსოლუტური უმრავლესობა მუშაობს.

და ბოლოს, მინდა გაუწყობთ, რომ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტთა ნაკრებმა დამსახ-ურებული გამარჯვება მოიპოვა „ელიტ-ელექტრონიკისა“ და „ეკონომიკური გან-ათლებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ამ ოლიმპიადაზე დასკვნით ტურში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის 10 წამყ-ვანი უნივერსიტეტის ნაკრებმა. დიდი მადლო-ბა მინდა გადავუხადო ნაკრების ყველა წევრს და მის ხელმძღვანელს ქ-ნ ეთერ ხარაიშვილს განუელი შრომისთვის.

ინტერვიუ ზუსტ და საპუნავისმეტყველო მაცნირებებთან ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან რამაზ ბოჭორიშვილთან



— **ბატონო რამაზ, რა პრობლემები გამ-ოიკვეთა მიმდინარე სემესტრში?**

— ფაკულტეტზე უამრავი პრობლემაა, თუმცა ამჯერად მინდა ორ მათგანზე ვი-საუბრო.

უკვე არაერთხელ მოხდა შემდეგი ფაქტი: პროფესორ-მასწავლებლებმა აღმოაჩინეს სტუდენტები, რომლებიც სხვის ნაცვლად წერდნენ კოლოქვიუმს ან სხვის ნაცვლად აბარებდნენ გამოცდას. არ არის გამორიცხუ-ლი, რომ ასეთი შემთხვევები კვლავ განმე-ორდეს, თუკი მსგავსი ფაქტები რეაგირების გარეშე დარჩება. სამწუხაროდ, სტუდენტის დასჯის არანაირი ოფიციალური მექანიზმი ჩვენ არ გავყარვით.

— **რა ზომები მიიღეთ ამ სტუდენტების წინააღმდეგ?**

— სტუდენტებმა დაწერეს განცხადება, სადაც მიუთითეს, რომ ამას აღარ გაიმეო-რებენ. ამ განცხადებას დანარჩენმა ჯგუფლებამაც მოაწერეს ხელი. ჯერჯერო-ბით ამით დასრულდა ყველაფერი. ჩვენ გავი-არეთ კონსულტაცია იურიდიულ სამსახურ-თან და გავარკვიეთ, რომ ამ ეტაპზე არანაირი დოკუმენტი არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მათ სტუდენტის სტატუსი შევუწეროთ. კარ-გი იქნება, შემუშავდეს სტუდენტთა ქვეყის კოდექსი, რომელიც უნივერსიტეტში სტუდენტ-ის ქცევას დაარეგულირებს.

— **თქვენ ბრძანეთ, რომ იმ სტუდენტებს, რომლებმაც გამოცდა სხვის მაგივრად ჩაა-ბარეს, სტუდენტის სტატუსს შეუწერებდით. ხომ არ არის ეს ძალიან მკაცრი მიდგომა?**

— მაგალითი ვერ დავეთანხმებით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა თავისი ცოდნის შესაბამისად მიიღოს ნიშანი. თუ ეს ვერ ხერხდება, მაშინ მთელი სისტემა დგება თავდაყირა და სწავლება საერთოდ კარგავს აზრს. მეორე და ერთ-ერთი ძირითადი პრობ-ლემა გახლავთ ის, რომ ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებების მიმართ სტუდენტ-თა ინტერესი სულ უფრო იკლებს. აბიტური-ენტთა განაცხადების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ წელს ჩვენი ფაკულტეტი ჩან-ერა უფრო ნაკლებმა აბიტურიენტმა, ვიდრე მისაღები კონტინენტის რაოდენობაა. წინა წლებში ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ მეტი იყო. ეს ძალიან სახიფათო ტენდენციაა.

— **როგორ აპირებთ მომავალში მაინც აბი-ტურიენტთა მოზიდვას თქვენს ფაკულტეტზე?**

— ეს პირველ რიგში უნდა მოხდეს სას-ნავლო პროგრამების (საუბარია როგორც სა-ბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებზე) და მისსანიჭებელი ხარისხების გამრავალფერ-ოვნების, ასევე კურსისუფლების დახვეწისა და მისი ევროპულ სტანდარტებთან მიახლოე-ბის ხარჯზე.

— **ხომ არ იქნებოდა უმჯობესი თქვენი კურსდამთავრებულთთვის სამსახური შევ-ეთავაზებინათ. თუკი დასაქმების პრობლე-მა მოიხსნება, თქვენი ფაკულტეტი უფრო მიმზიდველი გახდება...**

— როდესაც სასწავლო პროგრამების გამ-რავალფეროვნებაზე ვსაუბრობ, სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას ვგულისხმობ. სტუ-დენტს უნდა ჰქონდეს ისეთი პროგრამის შეს-წავლის საშუალება, რაც მისი დასაქმების ალბათობას გაზრდის როგორც შრომის ბაზ-არზე, ისე მეცნიერულ კარიერაში შემდგომი წინსვლის თვალსაზრისით. არსებობს სტუ-დენტთა გარკვეული კატეგორია, რომელთაც სურთ სწავლის გაგრძელება და ისინი ყურა-დების მიღება არ უნდა დაგვრჩნენ. ამ ყვე-ლაფრის გათვალისწინებით საჭიროა კურიკუ-ლუმების მოდერნიზაცია, რაზეც მუშაობა უკვე მიმდინარეობს. იმედი უნდა ვიქონიოთ,

რომ ყველაფერი ეს ახლო მომავალში სასურ-ველ შედეგს გამოიღებს.

ინტერვიუ სოციალურ და პოლიტიკურ მაცნირებებთან ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ნოდარ ბაქლაძისთან



— **ბატონო ნოდარ, საინტერესოა რა პრობლემები გამოიკვეთა მიმდინარე სემეს-ტრის განმავლობაში?**

— ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა უკავშირდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მოდიფიკაციას, რომლებზეც დარგობრივი კომისიები მუშაობენ. მიმდინარეობს მუშაობა სადოქ-ტრო პროგრამებზეც, რაც სწრაფად მოსაგ-ვარებელი პრობლემაა, რათა არ შეფერხდეს ე.წ. გარდაამავალი დოქტორანტების და შემ-დეგ ახლები მიღება.

საკმაოდ პრობლემურია ის ფაქტორი, რომ დოქტორანტურა ფასიანია. კონკურენციის პირობებში შესაძლებელია, ჩვენს უნივერ-სიტეტში მომზადდეს კარგი სპეციალისტი დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელე-ბლად სხვა უმაღლეს სასწავლებელში წავ-იდეს. ამიტომ ადმინისტრაციასთან შთონებე-ბით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პერ-სპექტიული და ნიჭიერი დოქტორანტებს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დავაფინანსებთ. ჯერჯერობით ყველას დაფინანსების საშუ-ალება არ გვაქვს, მაგრამ რაღაცნაირად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ სამომავლოდ სხვა რაიმე წყაროებიდან მოხერხდეს მათთვის თანხების გამოძიება.

ერთ-ერთი პრობლემა უკავშირდება მო-ბილობის პროცესს. ჩვენს ფაკულტეტზე არის ზოგიერთი მიმართულება, მაგალითად, საერ-თაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია, ფურნალისტიკა, რომელ მიმართულებასაც განსაკუთრებული ინტერესით ირჩევენ მო-ბილობის წესით ჩვენს უნივერსიტეტში გად-მოსვლის მოსურნე სტუდენტები. ყველას მიღება, თავისთავად, შეიძლება გამოინვიოს სწავლისა და სწავლების დონის დაქვეითება. გარდა ამისა, არ ვართ განუბიურებულნი დიდი აუდიტორიებით, რაც გარკვეულ პრობლემას გვიქმნის ყველა სტუდენტის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, მობილობის წესით ჩვენს უნივერსიტეტში გადმოსვლის მოსურნე სტუდენტებისთვის გარკვეული ბარიერების დაწესება გვინევეს.

ჩვენს ფაკულტეტზე სრული და ასოცირ-ებული პროფესორების კონკურსს ვაცხა-დებთ. კონკურსი ივლისის ბოლოსა და აგვის-ტოში ჩატარდება და სექტემბრის დასაწყისში შედეგებიც გამოცხადდება.

მოხილვის წესით გადომოსვლელი სტუდენტები გამოცდებს სექტიმბერში ჩააბარებენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სხვა უმაღლესი სასწავლე-ბლებიდან გადმოსვლის და თსუ-ის სტუდენტთა ფაკულტეტის მეცნიერ-მსურველთათვის საბუთების მიღება 14 ივლისიდან დაიწყო და 26 ივლისამდე გასტანს.

მობილობისთვის არსებული 450 ვაკან-სია ფაკულტეტების მიხედვით შემდეგნაირ-ად არის გადანაწილებული: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი — 70 ვაკანსია; ჰუმანიტარული ფაკულტეტი — 100 ვაკანსია; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი —

55 ვაკანსია; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი — 120 ვაკანსია; იურიდიული ფაკულტეტი — 75 ვაკანსია; მედიცინის ფაკულტეტი — 30 ვაკანსია.

თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ინ-ფორმაციით, სხვა უმაღლესი საგანმანათლე-ბლო დაწესებულებებიდან თსუ-ში გადმოსე-ვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება თსუ-ის რექტორის სახელზე (განცხადების ფორმა ივსება საბუთების ჩაბარებისას ფაკულტეტზე); ცნობა სტუდენტ-ის სტატუსის შესახებ; უმაღლეს საგან-მანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ასლი; ამონაწერი სტუ-დენტის ბარათიდან, რომელშიც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ გაცემული სავ-ნების მოცულობა, მიღებული შეფასებები და მინიჭებული კრედიტები. ამონაწერი დამონ-

ებულები უნდა იყოს უმაღლესი საგან-მანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით; პირადობის მოწმობის ასლი; ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატის ასლი; ატესტატის ასლი.

თსუ-ის ფაკულტეტის შეცვლის მსურე-ელ სტუდენტს მხოლოდ რექტორის სახ-ელზე განცხადებისა და სტუდენტის ბარათიდან ამონაწერის (რომელშიც მი-თითებული იქნება სტუდენტის მიერ გავ-ლილი საგნების მოცულობა, მიღებული შე-ფასებები და მინიჭებული კრედიტები, დამონებული ბეჭდით და ხელმოწერით) წარდგენა მოუწევს.

საბუთების მიღება უკვე განვირლია ფაკულტეტების ადგილმდებარეობის მიხედ-ვით: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეც-ნიერებათა ფაკულტეტი — ი. ჭავჭავაძის 3,

თსუ II კორპუსი, ოთახი 11. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი — ი. ჭავჭავაძის I, თსუ I კორპუსი, III სართული, ოთახი 103. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი — ი. ჭავჭავაძის 8, თსუ IV კორპუსი, II სართული, ოთახი 206. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი — მაღლივ კორპუსი უნივერსიტეტის ქუჩა 2, V სართული, ოთახი 510. იურიდიული ფაკულტეტი — ი. ჭავჭავაძის 3, თსუ II კორპუსი, I სართული ფაკულტეტის კანცელარ-ია. მედიცინის ფაკულტეტი — ი. ჭავჭავაძის გამზ. 5, თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის (ყოფილი „ლენკომბინატის“) ტერ-იტორია, შესასვლელი ეზოდან.

მობილობის წესით გადომოსვლელი სტუდენტები გამოცდებს სექტიმბერში ჩა-აბარებენ.

შიიცვლება თუ არა სწავლების სტრუქტურა ჟურნალისტიკის მიმართულებაზე?

მანია ტორაძე

რეფორმა სწორედ არაა პანაცეა დრომოჭმული სტერეოტიპების დასაწვანად, მაგრამ ის არ არის სტანდარტი, რომელიც ერთი ხელის მოსმით წყვეტს ყველა მტკივნეულ საკითხს. ამ მოსაზრების სისწორეში განვიხილავთ ნდობას და მიმდინარე პროცესებს და გავაგრძელებთ.

უმადლევი განათლების რეფორმა წინააღმდეგობების დაძლევის ფონზე ძირითადი ხაზი უკვე გამოკვეთილია — სწავლების ევროპული სტანდარტების დამკვიდრება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და შრომითი ბაზრის პროფესიონალებით დაკომპლექტება. ამ მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ მიმდინარეობს გზების ძიება — იცვლება სასწავლო პროგრამები, მოდულები, სწავლების ხერხები და მეთოდები, რაც ჩვეულებრივ მოვლენაა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სწავლების ახალი მეთოდები სამი წელია დაინერგა. განვიხილავთ დრომ და სტუდენტებთან ახალი მეთოდებით მუშაობის გამოცდილებაზე კიდევ ერთხელ დასვა სასწავლო პროგრამებისა და მოდულების განახლების აუცილებლობა. გზების ძიებას თავისთავად მოჰყვა წინააღმდეგობები და აზრთა სხვადასხვაობა. მოსაზრებითა ავტორებს ერთი განზრახვა აქვთ — უკეთესი და უფრო მოქნილი გახადონ სწავლების პროცესი ჟურნალისტიკის მიმართულებაზე. იკვებება ორი ძირითადი ხაზი — პირველი: არსებული რეალობის გათვალისწინებით, სწავლების სამივე საფეხურზე დაიხვეწოს პროგრამები ისე, რომ შენარჩუნდეს სტუდენტთა რაოდენობა და მეორე: შეემცირდეს სტუდენტთა რაოდენობა და სამაგისტრო პროგრამები გაკეთდეს მხოლოდ მათთვის, ვისაც უკვე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სხვა სპეციალობაში.

ამ საკითხებზე სასაუბროდ მიემართეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელს მარინა ვეკუშას.



მარინა ვეკუშა, ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორი:

— მოსაზრება, რომ მაგისტრატურაში შესაძლებელია ჟურნალისტიკის სწავლება, ახალი არ არის. მე ვიცი და მისთვის სხვადასხვა უნივერსიტეტში დამკვიდრებულ სწავლების ფორმებს და მოდელებს. მათ შორის არიან საავტორო სკოლები, კლასიკური ჟურნალისტიკური სკოლები, რომლებიც სწავლების სამივე საფეხურს ითვალისწინებს და არის სამაგისტრო პროგრამები, რომელიც ღიაა სხვა სპეციალობიდან მოსული ადამიანებისთვის. სამივე ფორმას აქვს არსებობის უფლება. მთავარია, ჩვენ რა მიზანი გვაქვს — რა ცოდნას, მატერიალურ ბაზას და აკადემიურ რესურსებს ვახვედრებთ სწავლის მსურველს, რისთვისაა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შექმნილი, რა მიზანი აქვს ამ პროგრამებს და რა შედეგი უნდა მივიღოთ საბოლოოდ.

იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სწავლის გაგრძელების მსურველი ბევრია, ვფიქრობ, უნივერსიტეტი ვალდებულია, უზარაუტოს საზოგადოების ამ მოთხოვნას, ვგულისხმობ აბიტურიენტებსაც და სტუდენტებსაც, რადგან, ფსიქოლოგიის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმართულება ჩვენ ვართ.

არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ბაზარს არ სჭირდება ამდენი ჟურნალისტი. ეს საკითხი, ჩემი აზრით, ბაზარმა თავად უნდა დაარეგულიროს. თუმცა არსებობს სხვა გზაც — სტუდენტები მივიღოთ, მაგრამ, ვინც ამის ღირსი არ არის, ნუ მივცემთ დიპლომს. ჩვენ წლების მანძილზე ამ შეცდომით მოვიდვართ — ხან სიბრაღის, ხან ჩვენი უნებისყოფის გამო, ყველას ვაძლევთ საბუთს, რომელშიც წერია, რომ ის ახალგაზრდა უკვე ჟურნალისტი.

არც ის არ გემეტბოდათ მგონია მართებული, რომ მრავალრიცხოვან აუდიტორიას ვერ ვუძღვებით. ასეთ შემთხვევაში ვგუფები უნდა დაიკვიროს ისე, რომ მეტი მასწავლებელი გვყავდეს. ეს არის ჩვეულებრივი საბაზრო ეკონომიკის ანაბა.

ჩვენ გვინდა ახალგაზრდებს ყველაფერი ფორსირებულად მივცეთ — სწრაფად ბაკალავრის დიპლომს, სწრაფად მაგისტრის დიპლომს და ა.შ. დასავლეთში, რომლის მაგალითსაც ძალიან ხშირად ვიღებთ, თითქმის არ ხდება ისე, რომ ბაკალავრიატის მერე ახალგაზრდამ პირდაპირ მაგისტრატურაში გააგრძელოს სწავლა და უცებ გააკეთოს სადოქტორო დისერტაცია. იქ ზოგი სამაგისტრო

პროგრამა წინასწარ პირობასაც კი დებს, რომ ბაკალავრიატის შემდეგ მაგისტრატურაში შესვლის მსურველს, მინიმუმ, 3 წლის მუშაობის სტაჟი უნდა ჰქონდეს.

ჩვენთან რა ხდება? სტუდენტს II კურსზე უკვე ჰგონია, რომ რაღაც იცის, მესამე კურსზე — კი არ ჰგონია, უკვე დარწმუნებულია, რომ იცის. ამას ემატება ტელევიზიებში ახალგაზრდების მიღების პრაქტიკა მოტივით — მერე რა, რომ არ იცის, აქ ისწავლის... საბოლოოდ, ახალგაზრდა იქაც ვერ სწავლობს თავის საქმეს და აქაც ვერ ასწრებს სწავლის დასრულებას. ეს დაუმთავრებელი განათლება მათ ხელს უშლის პროფესიულ ზრდაში, რაც, ცხადია, ქართული ჟურნალისტიკის დონეზე აისახება.

გავითვალისწინოთ კიდევ ერთი ფაქტორი — ჩვენ გვახსიათებს „ვარსკვლავური დაავადება“ (ეს განსაკუთრებით სამაუწყებლო მედიას ეხება) — ვინც ერთი-ორჯერ გამოჩნდა ეკრანზე, უკვე ტელევიზორს ვაძვად მიიჩნია თავი და ჰგონია, რომ არაფერი აღარ უნდა ისწავლოს (ამაში მათ ტელევიზიებიც ხელს უწყობენ). ამის ფონზე მოუხერხებელი მგონია ჩემი კოლეგების ახალი შემოთავაზება — წარმოიდგინეთ, ვილაცამ უნდა დაამთავროს საექიმო ან საინჟინრო, მერე სადღაც იმუშაოს და როცა მიხვდება, რომ ძალიან მოუნდა ჟურნალისტიკა, მოვა აქ, დაამთავრებს ორწლიან სამაგისტრო პროგრამას და ამის შემდეგ დაიწყებს ადგილის დამკვიდრებას ჟურნალისტიკაში. ვინ დაელოდება ამას, როცა მათ ამ ადგილებზე უკვე წლების მისული დახვდება „მეორეკურსელი“. ეს არის შრომით ბაზართან და დამსაქმებელთან დაკავშირებული პრობლემა. ამიტომაც მე ჩვენება სამაგისტრო პროგრამის ამ მიმართულებით აწყობა ნაადრევად, თორემ პერსპექტივაში იდეალური ვარიანტი, როცა საბაზისო ცოდნას ზედმეტის სახით ჟურნალისტიკა დაემატება.

რა შეიძლება გაკეთდეს ჩვენს პირობებში? ჩემი აზრით, საბაკალავრო პროგრამა უნდა ემსახურებოდეს ნიუსმიეიკერების, ანუ ახალი ამბების ჟურნალისტების გამოყვანას. ისინი გამოცდილების დაგროვების შემდეგ ნელ-ნელა ჩამოყალიბდებიან დარგობრივ ჟურნალისტებად. ხოლო სამაგისტრო პროგრამები უნდა შეიქმნას იმის გათვალისწინებით, თუ რა მოთხოვნაა შრომით ბაზარზე.

წლევანდელი სამაგისტრო პროგრამა სწორედ დარგობრივი ჟურნალისტიკის მომზადებასა და ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. მე, როგორც ამ პროგრამის ხელმძღვანელმა, შემძლია ვითხრათ, რომ ახლანდელ პროგრამაში სწავლების რამდენიმე საფეხურია გათვალისწინებული. პირველ ეტაპზე მაგისტრანტი, თუნდაც სხვა დარგიდან მოსული, ჯერ სწავლობს ზოგადი მედიის, მედიისა და საზოგადოების ურთიერთქმედებას და გავლენას, ამის შემდეგ უღრმავდება 4 ძირითად დარგს — კულტურას, პოლიტიკოლოგიას, საერთაშორისო ურთიერთობებს და ეკონომიკას, სავარაუდოდ არჩევს ერთს და ჩვენ ვასწავლით, როგორ წეროს. ეს არის ჩვენი ახალი პროგრამის მიზანი. ამის ანალოგი არის მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მათ შორის ამ პროგრამასთან ძალიან ახლოსაა კოლუმბიის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა.

დავით პაიჭაძე, ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი:

— ჩემი თავდაპირველი ჰიპოთეზა, რომელიც ეყრდნობოდა იმას, რომ ჟურნალისტიკა მხოლოდ მაინორ პროგრამაა ყოფილიყო, თავისთავად მოიხსნა იმის გათვალ-

ისწინებით, რომ უნივერსიტეტმა შეცვალა სწავლების არჩევის წესი და მაინორი სტუდენტისთვის აუცილებელი აღარაა. მე ვმუშაობ უნივერსიტეტში და ბუნებრივია, ვიღებ თამამის იმ წესებს, რომელსაც ის ადგენს. მაგრამ, თუ უნივერსიტეტმა თქვა, რომ მაინორ პროგრამა საავადმდელო აღარ არის, ანუთნა საიმი შესაძლებლობა: 1) ძირითადი პროფესია, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კრედიტები. 2) ერთი ძირითადი სპეციალობა და მთლიანად თავისუფალი კრედიტები ბაკალავრის ხარისხისათვის აუცილებელი 240 კრედიტის შესავსებად და 3) ორი ძირითადი სპეციალობა (120 კრედიტს + 120 კრედიტი, რაც ჯამში უდრის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად 240 კრედიტს). ეს არის, ჩემი აზრით, უფრო ლიბერალური მიდგომა და ვემხრობი ამ მიდგომას არა იძულების წესით, არამედ ჩემი მრწამსით, რადგან ლიბერალური ვარ განათლების სისტემის ცალკეული ელემენტებისადმი. უნივერსიტეტის ეს გადაწყვეტილება სტიმულს გვაძლევს, მოვინახო სხვა გზა სასწავლო პროგრამის მოდერნიზებისთვის.

მე მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი აუცილებელი ნაბიჯი სწავლების თანამედროვე მეთოდების დასაწვანად არის სერიოზული და ლეგიტიმური ბარიერის დადება იმისთვის, რომ ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ნაკლები რაოდენობის და რჩეული სტუდენტები მოვიდნენ. ეს პრაქტიკა აქვს საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულებას, სადაც სწავლის მსურველი ძალიან ბევრია, პროფესორი კი უფრო ცოტა, ვიდრე ჩვენთან. ამიტომ იღებს მსურველებიდან მხოლოდ რჩეულ ნაწილს. როგორც ჩანს, ჩვენც მოგვიწევს, ასეთი ბარიერის ამოქმედება თუნდაც იმიტომ, რომ ამდენი ჟურნალისტიკის ქვეყანას ყოველ წელს არ სჭირდება და არ მინდა, ჩემი უნივერსიტეტი მუშაობის დროს კურსდამთავრებული ჟურნალისტები უმუშევართა არმიას ემატებოდნენ.

ცვლილებები, რომელიც შევთავაზე ჟურნალისტიკის მიმართულებას, არის გზის ძიება იმისთვის, რომ სწავლების სტრუქტურა შეიცვალოს. შეიძლება ერთი კაცის დაკვირვება არ იყოს საკმარისი, მაგრამ ჩემი შეფასება ასეთია: ის ამოცანა, რაც ჩემს თავს და მთლიანად ფაკულტეტს დავუსახე — უკეთესი ჟურნალისტების გამოყვანა, არ ვარ დარწმუნებული, რომ სრულდება. საამისოდ ჩამოვთვალთ რამდენიმე ობიექტური პირობა:

პირველი — სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც თანაბრად უნდა გასწავდეს, ანუ ყველას მიმართ თანაბრად უნდა დაიხარჯოს — ამას ითხოვს საუნივერსიტეტო ეტიკა. შენ უნდა შეამოწმო — გადაცემული ცოდნა ყველა სტუდენტამდე მიდის თუ არა, აცნობიერებს ის ამ ცოდნას თუ არა, იყენებს მას პრაქტიკაში თუ არა და ა.შ. საქმისადმი ასეთი მიდგომა, რაც, ვიმეორებ, ელემენტარული საუნივერსიტეტო ეტიკაა, სტუდენტთა ამ რაოდენობასთან თითქმის უწყობილობა. მას იმდენი დრო მი-აქვს, რომ თავისუფალი პროფესიული ზრდისთვის რესურსი კიდევ დარჩეს.



მეორე — მწირი ალტერნატივა. როცა ამ მიმართულებაზე მოვედი, ცოტა რამ შეემატე მის ტექნიკურ ალტერნატივას, მაგრამ ის ვერ აუღის ამდენ სტუდენტს.

მესამე — ყველაზე დელიკატური საკითხი — აკადემიური პერსონალის ერთგვარი კონსერვატიზმი, რომელშიც ვგულისხმობ კოლეგების სრულიად ლეგიტიმურ თავდაჯერებას — მაქვს აკადემიური ხარისხი, რაც არის გარანტია, რომ უნივერსიტეტში ვიქნები და ვასწავლი. არის აკადემიური თანამდებობები, რომელსაც აკადემიური ხარისხის გარეშე უზარალოდ ვერ დაიკავე, მაგრამ სწორედ ეს გარანტია ქმნის იმის პირობას, რომ ცოდნის გასაბუთებლად სტიმული არ გქონდეს, რადგან არ ხვდები კონკურენტულ გარემოში.

თქვენ იცით, რომ ჟურნალისტიკაში დღეს მოქმედ ყველა მასწავლებელს ფილოლოგიის მეცნიერებათა ხარისხი აქვს მაშინ, როცა ჩვენ უკვე სოციალური მეცნიერების ნაწილი ვართ,

ამიტომაც საჭიროა, გადავხედოთ ჩვენ ცოდნას, ნაკვირვითი ახალი და მეტი ლიტერატურა. დღეს კი არსებობს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობა იმისთვის, რომ ეს არ გააკეთო. ასეთ შემთხვევაში მეუფლება ეჭვი — აძლევს თუ არა ჟურნალისტიკის მიმართულების ძირითადი პროგრამა სტუდენტს საუნივერსიტეტო განათლებას ან ბაზას ფუნდამენტური განათლებისთვის? მე ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი არ მაქვს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც მიზბიგებს ცვლილებებისკენ — ვაკვირდები ქართულ ჟურნალისტიკას და ვხვდები ბევრ ხარვეზს, რომელთაგან ერთ-ერთი არის განათლების დეფიციტი, რაც, ალბათ, ნამდვილად არ არის მხოლოდ ჟურნალისტიკაში დასაქმებული ადამიანების პრობლემა, მაგრამ ეს ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და ღია პროფესიაა, რომელშიც არაპროფესიონალიზმი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

მე ჩემი ნილ პასუხისმგებლობას ვიღებ, რომ მომავლის ქართული ჟურნალისტიკა და ჟურნალისტიკა მეტად განათლებული იყოს. ამიტომ ალბათ აჯობებს, თუ ჟურნალისტიკას დაეუფლება ის ადამიანი, ვინც ასეთ მონოპოლას დანამდვილებით აღმოაჩენს თავის თავში, ვისაც საკუთარი მიმართებები, ემოციები, განცდები არ მოატყუებს, ვინც ინტელექტუალურად მონიჭებულია საიმისოდ, რომ დარწმუნდეს საკუთარი პროფესიული არჩევანის სისწორეში. ვფიქრობ, რომ 17 წლის მოზარდი, რომელიც უნივერსიტეტში აბარებს, არ არის საამისოდ მზად. ამიტომაც უფრო სწორად მიმაჩნია, თუ ჟურნალისტიკას დაეუფლება ადამიანი, რომელმაც ერთი პროფესია უკვე მიიღო. ამისთვის იქმნება სამაგისტრო პროგრამა, რომელიც 2-წლიანია და ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკაზე, რომელსაც თეორიულ კონსტრუქციებზე დაყრდნობით შეისწავლის. ჯერჯერობით სახელმწიფოს არ შემოუღია ერთიანი წესები მაგისტრატურაში ჩაბარებისთვის და ფაკულტეტის ნებაა, რას დაანახებს ის სამაგისტრო გამოცდაში. ჩვენ ვფიქრობთ ამ ეტაპზე მაგისტრატურაში შემოსვლის მსურველებს არ დავეუდოთ რთული ბარიერები, რადგან ადამიანი იმისთვის მოდის, რომ უნივერსიტეტს დაეუფლოს ისწავლოს. ისინი გამოცდას დადგენილი წესით მხოლოდ უცხო ენაში ჩააბარებენ, იმიტომ, რომ სწავლის გაგრძელების მსურველს რამდენიმე ტექსტის, ნიმუშის ნაკითხვა ამ ენაზე უნდა შეეძლოს.

ასეთი ცვლილებები ბაკალავრიატის რამდენიმე საგანშიც უნდა განხორციელდეს. შენ თუ სტუდენტს უნდა თეორიულ ცოდნას, უნდა ანახალო ამ ცოდნის პრაქტიკაში მყისიერი გამოყენება. ასე უნდა იყოს გაზეთის, ჟურნალის, რადიოსა და ტელევიზიის სპეციფიკის სწავლებაშიც, ანუ სტრუქტურა უნდა იყოს ასეთი — ჯერ მე გეუბნები ეს როგორ კეთდება, შემდეგ ჯერზე შენ უნდა მიჩვენო როგორ გააკეთე. ეს არის, ჩემი აზრით, ორფაზიანი სწავლების მხოლოდ ერთი ფაზა, რომლის შემდეგაც სტუდენტი უკვე დამოუკიდებლად აკეთებს არა მხოლოდ რადიოსიუ-ჟეტებს, არამედ რადიოპროგრამას (ასევე ითქმის ტელევიზიასა და პრესაზე). სწავლები-ის დროს მეტი აქცენტი პრაქტიკულ საგნებზე, სტუდენტის თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე უნდა გაკეთდეს, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი პროექტების სწრაფად შემუშავებას და გუნდური მუშაობის სწრაფობით მათ განხორციელებას. ჟურნალისტიკა ღია პროფესიაა და ბევრი რამ აქ მხოლოდ გამოცდილებით დაგროვებთ ისწავლება. მინდა სწავლებაში გაერთიანდეს ეს ორი რამ — მიმართულებამ მისცეს ცოდნა, რომელიც აკუმულირებულია ჟურნალისტიკაში და ამავე დროს დაანახების გამოცდილების მიღება პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში. მიდგომა ასეთი უნდა იყოს — მე მათზე ასაკით უფროსი ვარ და არა მათი უფროსი.

ვფიქრობ, ამ ორიენტირების დასახვა აკადემიური პერსონალისთვის და მათთვის, ვისაც უნივერსიტეტში მუშაობა სურს, გამოწვევა უნდა იყოს.

მოგესვენებოდა, ამ ზაფხულს ჩვენს ფაკულტეტზე ცხადდება აკადემიური კონკურსი. სასურველია, რომ მან გზა გაუხსნას კონკრეტულ საგანთა შემოთავაზებულ პროფესორს, ამიტომ სრული უფლება გვაქვს, წინასწარ ვუთხროთ უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების მსურველებს, როგორ სტუდენტებთან გვინდა ვიმუშაოთ და რა მიზნები გვაქვს. შესაბამისი უნარები პროფესორებმა თავიანთ საპროფესიო განცხადებაში უნდა გამოამჟღავნონ. ამჟამად მივემგზავრები ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ გამოცდილების გასაზიარებლად, რაც იქაური უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის მიმართულებებს აქვთ. ჩამოსვლის შემდეგ მინდა, ბიძგი მივცე უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების იმ გზით განვითარებას, რაც მიმაჩნია, რომ სწორია.

გამომცემლობა "Nova-Science" ქართველ მეცნიერებს თანამშრომლობას სთავაზობს

13 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა და აკადემიური პერსონალი ამერიკული საგამომცემლო კომპანია "Nova-Science"-ის ვიცე-პრეზიდენტს, ქალბატონ ნადია გოცირიძე-კოლაბოზს შეხვდა. საგამომცემლო კომპანია "Nova-Science" დამოუკიდებელი, კორპორაციული, სამეცნიერო გამომცემლობაა, რომელიც უკვე 25 წელია არსებობს. მისი საგამომცემლო სპექტრი განუსაზღვრელია, აუდიტორია — აკადემიური. გამომცემლობის თემატიკა სამეცნიეროა, მაგრამ არ არის შეზღუდული. 2009 წლისთვის 1500 სამეცნიერო ნივთის გამოცემა იგეგმება. ბოლო ათი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად 1000 – 1200 სამეცნიერო ნივთი, მონოგრაფია, კრებული იბეჭდებოდა. გამომცემლობა დღეს დაახლოებით 75-მდე სამეცნიერო ჟურნალს გამოსცემს. ამ გამომცემლობასთან თანამშრომლობენ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები, მკვლევარები, ნობელიანტები. გამომცემლობის პროდუქტი ძალიან მაღალრეიტინგული და პრესტიჟულია.

თამარ მარუაშვილი

ამერიკული გამომცემლობა "Nova-Science"-ის პრეზიდენტი ფრენკ კოლაბოზი მსოფლიოში საკმაოდ ცნობილია, იგი ამერიკის კონგრესთან და რამდენიმე ცნობილ გამომცემლობასთან თანამშრომლობდა. 25 წლის წინათ კი ფრენკ კოლაბოზი დამოუკიდებელი გამომცემელი გახდა.

საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ინიციატივა საქართველოს პატრიარქს, უნივერსიტეტსა და უნიტარებს ილია II ეკუთვნის, რომელიც ნიუ-იორკში ხშირად სტუმრობს კოლაბოზების ოჯახს. ეს მეგობრული ურთიერთობა იმდენად გაღრმავდა, რომ დაიბადა იდეა ქართული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის გამოცემის და დღეს ჩვენს წინაშეა "Nova-Science"-ის მიერ გამოცემული: „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მედიცინის საქართველოს საერთაშორისო ჟურნალი“.

გამომცემლობის ერთ-ერთ მიზანს ქართველი ავტორების მოზიდვა და მათი ნაშრომების პოპულარიზაცია წარმოადგენს. "Nova-Science"-ის მიერ გამოცემული ნივთები მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტებსა და ბიბლიოთეკებშია. "Nova-Science"-ის მიერ გამოცემული ნივთები იგზავნება საქართველოს საპატრიარქოსა და სხვადასხვა სამეცნიერო წრეებში. ამ გამომცემლობასთან აქტიურად თანამშრომლობს 30 ქართველი მეცნიერი.

„უპირველესი მოთხოვნა, რასაც ჩვენი გამომცემლობა უყენებს ავტორს, ეს არის მეცნიერული ნაშრომის მაღალი ხარისხი: იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამეცნიერო კვლევის ელემენტს. სამეცნიერო თემატიკა შეუზღუდავია, მაგრამ მეცნიერის ნაშრომი უნდა იყოს ხარისხიანი, ამაში ჩვენ ავტორებისაგან კატეგორიულად მოვითხოვთ, რათა გამომცემლობის პრესტიჟი არ შეილახოს.“

დიდ პატივს ვცემთ ავტორების ინიციატივას, განვიხილავთ საინტერესო წინადადებებს და, მონონების შემთხვევაში,

მხარს ვუჭერთ. როგორც მოგეხსენებათ, მეცნიერები ჩვენზე მეტად ინფორმირებულნი არიან, კარგად იციან — რა საკითხებია აქტუალური დღეს მეცნიერებაში. თუ ავტორის შემოთავაზება იდეას სცილდება და ის თვითონ ითავებს ამ საკითხის გარშემო მასალებისა და კვლევების მოძიებას, მაშინ ჩვენ ამ ავტორთან საქმიან ხელშეკრულებას ვდებთ, როგორც კრებულის რედაქტორთან.

გამომცემლობის ავტორი შეუძლია გახდეს ის მეცნიერი, რომლის შრომებიც უკვე იბეჭდება პრესტიჟულ, სამეცნიერო გამომცემლებში. თუ ეს ავტორი არ არის ცნობადი სახე, მაშინ ჩვენ ვყვართ კომპეტენტური სპეციალისტების, ექსპერტების რეკომენდაციებს, ვარჩევთ ისეთ ნაშრომებს, რომელიც მომავალში სპეციალისტების მხოლოდ დადებით რეცენზიებს დაიმსახურებს.

არის ერთი ასეთი ინგლისური გამოთქმა: თუ მეცნიერი ხარ და შრომებს არ გამოცემ, როგორც მეცნიერი, მოკვდები. — ამ გამოთქმას ჩვენც ვეთანხმებით“, — აღნიშნა პროფესორებთან შეხვედრისას ქალბატონმა ნადია გოცირიძე-კოლაბოზმა.

თსუ-ის რექტორ გიორგი ხუბუასთან შეხვედრის შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში გაიმართა „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მედიცინის საქართველოს საერთაშორისო ჟურნალის“ პრეზენტაცია, რომელსაც თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. ჟურნალი აშშ-ში დაიბეჭდება, იგი ყოველ კვარტალში გამოვა და მისი წაკითხვა დაინტერესებულ პირებს მხოლოდ ინგლისურ ენაზე შეეძლებათ.

"Nova-Science" დამოუკიდებელი, პრესტიჟული და კომპეტენტური საგამომცემლო კომპანიაა. მისი პროდუქტია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ვრცელდება. ყველა სერიოზული ავტორი და მეცნიერი ცდილობს გაეცნოს "Nova-Science"-ის მიერ გამოცემულ ლიტერატურას. ამ გამომცემლობასთან თანამშრომლობა ქართველი მეცნიერებისთვის საუკეთესო საშუალებაა



იმისათვის, რომ საკუთარი ნაშრომები მსოფლიო სამეცნიერო აუდიტორიას გააცნოს“, — აღნიშნა თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იაგორ კალანდაძემ.

„ქართველ ავტორებს ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. ჩვენი მიზანია, უფრო მეტი ქართველი მეცნიერი მოვიზიდოთ და გავხადოთ ცნობადი მსოფლიოში, გავინადოთ მათთან საქმიანი ურთიერთობის გაფართოება. იმედი გვაქვს, ახალგაზრდა, ნიჭიერი, პერსპექტიული მეცნიერების ყურადღებას მივიპყრობთ. ჟურნალში თანამშრომლობას ვთავაზობთ ისეთ ქართველ ავტორებს, რომლებიც მეცნიერული კვლევა-ძიებით არიან დაკავებულნი და რომელთა მიღწევები საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღებას იმსახურებენ“, — განაცხადა ქალბატონმა ნადია გოცირიძე-კოლაბოზმა.

როგორც "Nova-Science"-ის წარმომადგენელმა საქართველოში, ბატონმა სერგო გოცირიძემ განაცხადა — „ამ ჟურნალის პრეზენტაცია თსუ-ში გაიმართა იმისთვის, რომ ჟურნალმა რაც შეიძლება მეტი ქართველი მეცნიერი მოიზიდოს, დააინტერესოს და განაწყოს თანამშრომლობისათვის. ეს იქნება საუკეთესო შანსი იმისა, რომ ქართული მეცნიერება სტაგნაციის მდგომარეობიდან გამოვიდეს“.

მნიშვნელოვანია, რომ გამომცემლობა "Nova-Science" სხვა გვიანტ გამომცემლობებისგან განსხვავებით, ავტორისაგან არ ითხ-

ვს ფულად გადასახადს ნაშრომის დაბეჭდვისთვის. პირიქით, გამომცემლობა ქართველ ავტორებს ჰონორარის სახით, სიმბოლურად, 300 დოლარს სთავაზობს.

ასე რომ, "Nova-Science" ქართველ მეცნიერებს აქტიური თანამშრომლობისთვის კარგ პირობებს შეუქმნის. „ვფიქრობ, უნივერსიტეტი ზუსტად ის მისამართია, სადაც შეიძლება საქმიანი, პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს ამ გამომცემლობაში. იმედი მაქვს, რომ ქართველი მეცნიერები ამ გამომცემლობის დახმარებით ღირსეულად წარდგებიან მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე და საერთაშორისო აღიარებასაც მოუტანენ ქართულ მეცნიერებას. უნივერსიტეტის გააჩნია ის დიდი მეცნიერული პოტენციალი, რომლითაც თქვენი გამომცემლობა იამაყებს“, — განაცხადა გამომცემლობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამომცემლობამ საჩუქრად 200-ზე მეტი ნივთი გადასცა.

"Nova-Science"-ის წარმომადგენლებთან შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველ მეცნიერებში. იმედი, ქართული საზოგადოება უახლოეს მომავალში მრავალი ქართველი ავტორის სამეცნიერო ნაშრომს იხილავს საგამომცემლო გრიფით: "Nova-Science".

„მედიაციის გამოყენება პრაქტიკაში“

მანია ტორაძე

16 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სემინარი თემაზე: „მედიაციის გამოყენება პრაქტიკაში“.

ამავე დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აშშ-ის დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტის გადაჭრის ცენტრის თანამშრომლობის შედეგად გაიხსნა საქართველოში პირველი მედიაციის კლინიკა, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს მედიაციის გზით კონფლიქტის მოგვარებას სთავაზობს.

სემინარს უძღვებოდნენ აშშ-ის დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის გადაჭრის ცენტრის პროფესორები: თამარა დესტრე, სინტია სევიჯი, რუთ პარსონსი და რობინ ამაძი.

სემინარი გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გუგული მალრადემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მედიაცია არის კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული საშუალება, რომლითაც შესაძლებელია ოჯახური, ორგანიზაციული, ბიზნესკონფლიქტების ან სხვა სახის დაპირისპირების მოგვარება. მედიაციური ჩარევის შედეგად დაპირისპირებული მხარეები ხშირად ორივე მხარისთვის მისაღებ ალტერნატივაზე თანხმდებიან.

საქართველოში კონფლიქტის მოგვარების პრაქტიკა მედიაციის საშუალებით აქამდე არ არსებობდა. კონფლიქტოლოგიის სპეციალისტების მოსამზადებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2002 წლიდან დაიწყო ამერიკის ჯორჯ მელისონის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რომლის შედეგადაც შემუშავდა კონფლიქტოლოგიის საბა-



ზის პროგრამა. ამჯერად, დენვერის უნივერსიტეტთან ერთად მუშავდება პროგრამა პრაქტიკოსი კონფლიქტოლოგების მოსამზადებლად. მისივე თქმით, საქართველოში ამგვარი საქმიანობისთვის მზადაა 25 კონფლიქტოლოგი.

„კონფლიქტები და დისპუტები არსებობს ყველანაირ ადამიანურ ურთიერთობებსა და

- Divorce and post-divorce
- Non-married parents
- Parent-child
- Estate
- Probate
- Guardianship
- Inheritance

საზოგადოებაში. მედიაცია, სასამართლოსგან განსხვავებით, ორივე მხარეს მათთვის სასარგებლო გადამწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

საქართველოში დღეს ნაყოფიერი ნიადაგია მედიაციის კლინიკის მუშაობისთვის, რადგან ჩვენს საზოგადოებაში არის ყველა სახის კონფლიქტი — დანყებული პოლიტიკურიდან, დასრულებული სოციალური ეკონომიკური და რადგან საზოგადოების ნდობა სასამართლოსა და პოლიციის მიმართ ნაკლებია, მიზანშეწონილია დავებიოთ ერთმანეთთან მოლაპარაკებით გადაიჭრას. სწორედ აქ უნდა ჩაერთოს მედიაციური და ასეთი საშუალებების გზით ჩვენ ქართულ საზოგადოებას“, — განაცხადა გუგული მალრადემ.

სემინარზე დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტის გადაჭრის ცენტრის პროფესორმა თამარა დესტრემ განეული მუშაობისთვის მაღლობა გადაუხადა ქართულ-ამერიკული პროექტის მონაწილეებს — გუგული მალრადემ, რევაზ ჯორბენაძესა და მედეა დესპოტაშვილს. მან აღნიშნა, რომ სემინარზე ძირითადი აქცენტი ბიზნესისა და ინდუსტრიულ სფეროში მედიაციის პრაქტიკულ გამოყენებაზე გაკეთდა, რადგან მედიაციის ეფექტი ამ პროცესის სწორად მართვაზე დამოკიდებულია.

დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტის გადაჭრის ცენტრის პროფესორებმა ქართულ მხარეს მედიაციის გამოყენება ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაშიც ურჩიეს.

სტუდენტებს ვასწავლავ — როგორ ისწავლონ დამოუკიდებლად

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სწავლების თანამედროვე მეთოდების
გაცნობის და დანერგვის მიზნით დიდ
მნიშვნელობას ანიჭებს უცხოეთში მოღვაწე
ქართველ პროფესორებთან აქტიურ
თანამშრომლობას.*

მანია ტორაძე

მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოფიზიკის მიმართულ ბაკალავრის ლექციების კურსი წაიკითხა შვეიცარიაში მოღვაწე ქართველმა ბიოფიზიკოსმა, ბაზელის უნივერსიტეტის ბიოცენტრის ასოცირებულმა პროფესორმა გია მანაიძემ, რომელიც ცნობილი ფიზიკოსის უელის ების სტრუქტურული ბიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს. იგი ასევე თანამშრომლობს წარმატებულ ფარმაცევტულ ფირმებთან (პროფესორ გია მანაიძის სამეცნიერო-პრაქტიკულ მოღვაწეობაზე ჩვენი გაზეთი დანერგვით ნერვულ და გასული წლის ივნისში).

მის მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებული ლექციების კურსი „ფიზიკური მეთოდები თანამედროვე ფარმაცეპტიკის კვლევებში და წარმოებაში“ აუცილებელი სასწავლო კომპონენტია მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ბიოფიზიკისა და ბიოლოგიის შემსწავლელი მიმართულებებისთვის, ასევე ფარმაციის და ფარმაცეპტიკის დარგებისთვის.

ბატონ ვასილას ჩვენს შეხვედრას წინ უსწრებდა მორიგი ლექცია, რომელზეც ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ პროფესორზე მეტად სტუდენტები აქტიურობდნენ. ინტერესი, რომელიც მათ ამ საგნისადმი გამოამყვანეს, შეთავაზებულმა თემამ და სწავლების იმ მეთოდმა გამოიწვია, რომელითაც ბატონი გია სტუდენტებთან მუშაობს. თავად გია მანაიძე სტუდენტთა ამგვარ დაინტერესებას სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ხსნის:

— ჩემი მიზანი იყო, რომ სტუდენტებს მაქსიმალურად ეაქტიურათ არა მხოლოდ დავალებების შესრულების, არამედ, ლექციების პროცესშიც. მასხოვს, როცა სტუდენტები ვიწვით, ზოგი ლექცია მოსაწყენი იყო და ერთი სული გვექონდა, როდის დასრულდებოდა, ზოგი კი იმდენად საინტერესო, რომ ჩვენც ვაქტიურობდით. აქედან გამომდინარე, ლექციების კურსი ავაგე ისეთნაირად, რომ მასში სტუდენტები აქტიურად ჩართულიყვნენ.

ლექციების კურსი, ფაქტობრივად, ორ მიმართულებას აერთიანებს — ერთია ფიზიკური მეთოდები ბიოლოგიაში და მეორე — ფარმაცეპტიკა და წარმოება. ლექციის ერთ ნაწილს თავად ვაცნობდი და რასაც ვერ ვასწავრებდი, ვაძლევდი დავალებას — ამ თემაზე მასალები მოეპოვებინათ და სემინარზე მოხსენების სახით წარმოეჩინათ.

სტუდენტები პრეზენტაციას ამზადებენ PowerPoint-ში და ეს კარგია, რადგან თემის თვალსაჩინოებასაც წარმოადგენენ და მას ვერბალურადაც ხსნიან. ცხადია, ფორმულების ან შემდეგმომდევნებისთვის დაფასაც ვიყენებთ. ამ მეთოდით ჩვენ რამდენიმე მიზანს ერთად ვაღწევთ — სტუდენტი სწავლობს, თუ როგორ უნდა გააკეთოს მოხსენება, რითაც მოსწავლის რანგიდან მკვეფვარის რანგში გადადის. მათ ძირითადი კურსები გაველილი აქვთ და შეგვიძლია არასტანდარტულად ვიმუშაოთ — მათი ინტერესის მიხედვით შევადგინოთ თემები და ავაგოთ ლექციები, რადგან ბოლონის პროცესი ამ მიმართებით გაცილებით მეტ თავისუფლებას გვაძლევს. მე სტუდენტებს ვასწავლავ — როგორ ისწავლონ დამოუკიდებლად.

— ბატონო გია, უცხოეთში მოღვაწე მეცნიერები თავიანთი სალექციო კურსების მოსმენის შემდეგ სტუდენტებს აძლევენ იმის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომ მათ ეს კურსი მოისმინეს, აპირებთ თუ არა თქვენ ასეთი საბუთის გაცემას?

— საქმე ისაა, რომ ეს არის ოფიციალური კურსი ბიოფიზიკაში. არსებობს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომლითაც სტუდენტებს ამგვარი ლექციების მოსმენა 5 კრედიტად ეთვლება. ამიტომ მათ რაიმე დამატებითი საბუთი არ სჭირდებათ, მაგრამ მიუხედავად იმისა, ეთვლებათ თუ არა ეს კრედიტები, სტუდენტები ძალიან აქტიურები და მონდომებულები არიან, რაც მათთან მუშაობისთვის დამატებით სტიმულს მძლევს. ისინი სემინარების, კოლოკვიუმების, გამოცდების შემდეგაც კი მოდიან და ესწრებიან ლექციებს. ასე რომ, ქართველი სტუდენტების შესახებ მთავარი მოსაზრება მათი სიზარმაცის გამო, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბიოფიზიკოსებს არ ეხებათ!

— ხომ არ აპირებთ გამორჩეული სტუდენტების მიწვევას ბაზელის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად?

— ამას თავისი წინაპირობა უნდა ჰქონდეს. შარშანდელი ვიზიტის შემდეგ ვესაუბრე ბაზელის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და შესაბამისი ფაქტორების დეკანს, რომელიც მიესალმება ამ ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის გაფართოებას. დაიგეგმა ბაზელისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმის გაფორმებაც. ასევე, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც გადანევენ — რა სახის ურთიერთობები შეიძლება ჩამოყალიბდეს უნივერსიტეტების სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებს შორის. ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ ამ ორი უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლით პროგრამებზე.

— ვიცით, რომ აპირებთ ბიოფიზიკის ლაბორატორიისთვის საჭირო ხელსაწყოების გადმოცემას...

— მაქვს დაგროვებული ბიოფიზიკური



ლაბორატორიისთვის საჭირო აღჭურვილობა, რომელიც რაღაც ფორმით უნდა მოვანოდოთ უნივერსიტეტს. აქამდე ეს შეუძლებელი იყო, რადგან სათანადო ფართი არ არსებობდა, ახლა არის ოთახები, სადაც ეს აღჭურვილობა შეიძლება განთავსდეს და როგორც კი ოფიციალური მხარე მოგვარდება, საკითხიც გადაწყდება. ხელსაწყობებს შორის, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადამოცემა, არის ბიოფიზიკური კვლევებისთვის მნიშვნელოვანი აპარატურა, სპექტროფოტომეტრები, ცენტრიფუგები, კალორიმეტრები, ლაბორატორიული მონაცემილობები — პიპეტები, საღებავები, ფილტრები და ა.შ. ანუ ყველა ნვრდელი ფარმაცეპტიკის ინდუსტრიის ლაბორატორიისთვის. აღჭურვილობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პროფესორებების აღზრდასა და სამეცნიერო კვლევებში დაეხმარება.

— ბატონო გია, მიუხედავად იმისა, რომ წლებია ბაზელის უნივერსიტეტში მოღვაწეობთ, კარგად იცნობთ ქართულ საგანმანათლებლო სისტემას მიმდინარე პროცესებს. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა ამ კუთხით, როგორ გამოიყურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეფორმის შემდეგ?

— აშკარაა, რომ უნივერსიტეტი სიტუაცია უფრო დალაგებულია. იგრძნობა წინსვლა, რასაც მოწმობს სამეცნიერო გრანტების რაოდენობა და თანამედროვე მეთოდების დანერგვა სწავლების პროცესში. სტრუქტურა უფრო დახვეწილია. იმის გათვალისწინებით, რომ რეფორმის პროცესი მტკიცეული და რთულია, იგრძნობა სიახლეებისკენ სწრაფვა, რაც საბოლოოდ შედეგს აუცილებლად გამოი-

ღებს. მომწონს ისიც, რომ დაინყო ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცალკე ფაკულტეტებად ჩამოყალიბების პროცესი. ეს მართლაც აუცილებელი და ლოგიკური გადანეშვებითაა, რადგან ეს ორი მეცნიერება სრულიად განსხვავებული ბუნებისაა და მათი განვითარების სხვადასხვა გზა არსებობს. სხვათა შორის, ბაზელის უნივერსიტეტშიც ანალოგიური პროცესი განვითარდა. იქაც გაერთიანებული იყო ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და რამდენიმე წლის წინ განაცალკევეს, რითაც ბევრი უხერხულობა აიცილეს თავიდან.

ერთადერთი, რაც ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში არ მომწონს, ორი ერთნაირი პროფილის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების არსებობაა. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველო, არ შეუძლია ერთდროულად ორი ერთნაირი უნივერსიტეტი სათანადოდ დაფინანსოს. მე ვიცი რა ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და ვიცი, რომ მათში ბევრი პროფესიონალი და მაღალი კლასის მეცნიერია, მაგრამ ამ უნივერსიტეტს ჰქონდა პედაგოგიური პროფილი და კარგი იქნება, თუ ისევ ეს პროფილი დარჩება. დანარჩენი მიმართულებები, ჩემი აზრით, უნდა გაერთიანდეს, რომ შეიქმნას ერთი ძლიერი მრავალპროფილიანი უნივერსიტეტი. ცხადია, ეს გარკვეულ საკადრო წმენდას გამოიწვევს, მაგრამ რეფორმის პროცესში ეს ბუნებრივი მოვლენაა და ამას ყველა უნდა შეეგუოს.

რა შემთხვევაში უნდა იყოს მიუღებელი ესა თუ ის სასწავლებელი აბიტურიენტისთვის?



თამარ მარაშვილი

10 მაისს აშშ-ის საფოლკის უნივერსიტეტის პროფესორმა, საერთაშორისო პროგრამების ვიცე-პრეზიდენტმა, დოქტორმა მარგარეტ დენისმა თსუ-ის სტუდენტებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „უმადლესი განათლების მიმართულებები“, რომელიც მოზარდ-ისათვის მნიშვნელოვან თემას ეხებოდა, კერძოდ: — თუ რა კრიტერიუმებით უნდა ავირჩიოთ სწავლის გასაგრძელებლად უმადლესი სასწავლებელი.

„სასწავლებლის სწორად შერჩევა უმთავრესი ინვესტიციაა დროისა და ფულის დაზოგვის თვალსაზრისით. იგი მრავალგზის მოახდენს გავლენას თქვენი ცხოვრების წარმართვაზე. უკანასკნელი წლების კვლევების შედეგებმა დაადასტურა, რომ ყოველი მეორე სტუდენტი არ ამთავრებს იმ სასწავლებელს, რომელიც აირჩია. ჩემი ღრმა რწმენით, ამ სტატისტიკას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. ერთ-ერთი — სასწავლებლის სწორად შერჩევაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ სად, როგორ გარემოში მოუწევს სტუდენტს სასწავლო პროცესის გავლა. გარდა ამისა, აუცილებელია ფაკულტეტის სწორად შერჩევაც.

გასათვალისწინებელია პედაგოგის შერჩევის ფაქტორიც, რადგან იგი აუცილებლად ცოდნის ხარისხზე უნდა იყოს ორიენტირებული. შერჩეულ სასწავლებელში, ასევე, საყურადღებოა ის ფაქტორი, თუ რომელი უფრო პრიორიტეტულია — სასწავლო თუ კვლევითი პროცესი. და კიდევ, მნიშვნელოვანია წინასწარ დაეზუსტოთ ამ სასწავლებლის აკადემიური პროგრამა“. — განაცხადა პროფესორმა მარგარეტ დენისმა.

მან ისაუბრა უცხოელი სტუდენტებისთვის საჭირო საცხოვრებელი ფართისა და კამპუსების გამოყოფის საკითხებზე, ასევე სტუდენტის საცხოვრებელი პირობების შესახებ მისი ოჯახის წევრების ინფორმაციისა და კოორდინატორთან კონტაქტის აუცილებლობაზეც.
„როგორც ცნობილია, უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა, შესაბამისი საფინანსო ფონდების მხარდაჭერით, აკადემიურ კარიერას აშშ-ში იწყებს, თუმცა კარგი იქნება თუ წინასწარვე გაარკვევთ — რა დახმარებებსა და ფინანსურ მხარდაჭერას გთავაზობენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ასევე სასურველია, სტუდენტის ოჯახი ინფორმირებული იყოს სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში მომხდარი ამა თუ იმ კრიმინალური ფაქტების შესახებ. მათ ამის ცოდნის უფლებას აშშ-ის ფედერალური კანონი აძლევს“, — აღნიშნა მან.
ქალბატონმა მარგარეტ დენისმა ქართველ სტუდენტებს გაუზიარა ის ათი ნიშნა, რომლითაც სასურველი სასწავლებლის შერჩევისას არ უნდა იხელმძღვანელონ. აი, რა შემთხვევაში უნდა იყოს მიუღებელი ესა თუ ის სასწავლებელი აბიტურიენტისთვის?

ვთქვათ, მე ავირჩიე ეს სასწავლებელი იმიტომ, რომ:

- ჩემი მშობლები ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან;
- ყველა ჩემი მეგობარი ამ სასწავლებლის სტუდენტია;
- სასწავლებელი პრესტიჟულია;
- ეს სასწავლებელი სპორტულ ინტერესებზეა ორიენტირებული (რადგან იქ ყველაზე კარგი საფეხბურთო მოედანი ან საცურაო აუზია);
- სასწავლებელს საინტერესო და მიმზიდველი web-საიტი აქვს;
- ტერიტორიული თვალსაზრისით მიმზიდველია;
- სხვაგან არსად მიმიღეს;
- სწავლის გასაგრძელებლად კონკრეტული მიზანი არ გამაჩნია...

მარგარეტ დენისის საჯარო ლექციამ სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია. საფოლკის უნივერსიტეტის პროფესორმა მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას და სტუდენტებს გულთბილი მიღებისა და საინტერესო შეხვედრისთვის.

პარშავის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

თამარ მარუაშვილი

30 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა ვარშავის უნივერსიტეტის ექვსკაციან დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: რექტორი კატაჟინა ჰალასინსკა-მაცუკოვი, მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი ალოიზი ნოვაკი, ისტორიის ფაკულტეტის დეკანი ვლადიმირ ლენგაუერი, იურიდიულ და ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი თადეუშ ტომაშევიჩი, აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრის დირექტორი იან მალიცკი.



ვიზიტის მიზანს შეადგენდა ქართულ და პოლონურ უნივერსიტეტებს შორის 2000 წელს დადებული ხელშეკრულების გადახედვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ გიორგი ხუბუასთან და ფაკულტეტების დეკანებთან შეხვედრებზე განიხილეს მომავალი ურთიერთობის პერსპექტივები.

ვარშავის უნივერსიტეტის დელეგაცია დაინტერესდა თსუ-ის გაცვლითი პროგრამებით. თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ აქტიური ურთიერთთანამშრომლობის სურვილი გამოთქვა და აღნიშნა: „თსუ-ისა და ვარშავის უნივერსიტეტის საქმიანი, ნაყოფიერი პარტნიორობა ნამდვილად მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა გამორჩეული იყოს სხვა პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის. ამ შეხვედრით განისაზღვრება მეცნიერების ის სფეროები, სადაც ყველაზე აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებთ.“

როგორც თსუ-ის რექტორმა აღნიშნა, ასეთი სახის ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპერთიანებასა და ნატოში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

— რა კონკრეტულ გეგმებს სთავაზობს ვარშავის უნივერსიტეტი ქართულ მხარეს?

— ჩვენი სურვილია არა მარტო საუნივერსიტეტო სამეცნიერო წრეებთან გვეკონდეს აქტიური ურთიერთთანამშრომლობა, არამედ გვინდა, დიდაქტიკურ-საგანმანათლებლო განხორციელებაში გავეზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, რომელიც სტუდენტების მომზადებასა და საერთაშორისო დონის სასწავლო პროგრამების განხორციელებაში შეგვხება. ჩვენი უნივერსიტეტების სამეცნიერო წრეებს შორის თანამშრომლობას უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს... საქმიანი ურთიერთობები ძალიან წარმატებ-

ბულია ფილოლოგიაში, ეთნოლოგიაში და კულტუროლოგიაში.

— უახლოეს პერსპექტივებზე რას გვეტყვი?

— უკვე ერთი წელია, თსუ-ში ფუნქციონირებს ვარშავის უნივერსიტეტის ცენტრი, რომელიც ორგანიზებას უწევს ორივე მხარის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების საქმიან შეხვედრებს. ვმართავთ დისკუსიებს, ვეძებთ ისეთ თემებს, რომელიც ორივე მხარეს დაინტერესებს. ვმართავთ დისკუსიებს მეცნიერულ კვლევებზე, სასწავლო პროგრამების ხარისხზე და პედაგოგების მომზადების დონის ამაღლებაზეც.

თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნების უახლოეს ისტორიას, ბევრ საერთოს აღმოვაჩენთ. საქართველოც და პოლონეთიც სულ ცოტა ხნის წინ გათავისუფლდნენ საბჭოთა რეჟიმის გავლენისგან. ამდენად, ჩვენთვის ძალიან საინტერესოა თქვენი ისტორია, კულტურა და თანამედროვე ცხოვრება.

— რამდენად წარმატებული გამოდგა თქვენი ვიზიტი თსუ-ში?

— რა თქმა უნდა, ჩვენი საქმიანი შეხვედრები წარმატებულია და ნდობის ფაქტორზეა გათვლილი. ბატონი გიორგი ხუბუა მონდომებულია, რომ დამყარდეს რეალური, პარტნიორული ურთიერთობები. ორივე მხარე ვეძებთ პრაქტიკულ გზებს საერთო ინტერესების განხორციელებისთვის. ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობა არა მარტო ფილოლოგიურ, არამედ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების მხრივაც შედეგიანი იქნება. ვისაუბრეთ კომპიუტერული ცენტრების შექმნის შესახებაც. ჩვენი სურვილია, უნივერსიტეტი გახდეს ისეთი ინსტიტუცია, რომელიც მაღალი დონის საერთაშორისო ექსპერტებს მოამზადებს.

აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თსუ-ის ადმინისტრაციას, პედაგოგიურ კოლექტივს საქმიანი ვიზიტის ნაყოფიერად წარმართვისა და მეგობრული მასპინძლობისთვის.

ფილმი „იუნკარები“ პოლონეთის არმიის ქართული ოფიცრების გმირობაზე მოგვითხრობს

30 მაისს თსუ-ში ვარშავის უნივერსიტეტის დელეგაციის საქმიანი ვიზიტის ფარგლებში ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის, კავკასიის ბიუროს, საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს და თსუ-ის მხარდაჭერით ითმენო რეჟისორების: იეჟი ლუბახისა და ირაკლი ტრიპოლსკის ფილმის „იუნკარების“ ჩვენება, რომელიც XX საუკუნის 20-40-იან წლებში პოლონეთის არმიაში ქართველი ოფიცრების გმირობაზე მოგვითხრობს. ფილმის რეჟისორი იეჟი ლუბახი ავტორია ჯერ კიდევ 1995 წელს გადაღებული ფილმისა „თეთრი ანგელოზი“, რომელიც წმინდა გრიგოლ ფერაძეს მიეძღვნა. სწორედ მაშინ დაიბადა „იუნკარების“ გადაღების იდეა. ფილმის პრემიერა პირველად ვარშავაში შედგა. სტენარის ავტორი ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ყოლბაია გახლავთ, ხოლო მეცნიერკონსულტანტი თსუ-ის პროფესორი, საქართველო-პოლონეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონიას“ პრეზიდენტი მარია ფილინა.

თამარ მარუაშვილი

ფილმი გამდიდრებულია ორივე ქვეყნის საარქივო მასალებით, მოგონებებითა და სხვადასხვა დოკუმენტური წყაროებით. მასში ასახულია საზოგადოებისთვის უცნობი ფაქტები, რომლებიც რამდენიმე ქართველი ოფიცრის ტრაგიკულ ბედს ეხება პოლონეთის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში. „მნიშვნელოვანია ის დამოკიდებულება, რომელსაც პოლონელი ხალხი, პოლონეთის ხელისუფლება ამჟღავნებს ქართველი ოფიცრების სხონის მიმართ. ჩვენ, კიდევ ერთხელ, გვეძლევა საშუალება, ვიამაყოთ ქართველი ოფიცრების თავდადებული ბრძოლით“, — აღნიშნა ფილმის ჩვენებამდე თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

ტივს მიაგებს იმ ქართველ ოფიცრებს, რომლებიც პოლონეთის მიწა-წყლის დასაცავად იბრძოდნენ. ვიმედოვნებ, ეს ფილმი ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობის შესწავლის ახალ ეტაპს დაუდებს საფუძველს, — განაცხადა პოლონეთის საელჩოს წარმომადგენელმა იან მალიცკიმ. მისივე განმარტებით, ქართველი ოფიცრების პოლონურ არმიის მიღება პრომეთეის იდეის ფარგლებში მოხდა. მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესული იმ ქვეყნების მხარდაჭერა, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის დროს თავიანთი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა სცადეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, 20-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა და მთელი ომთაშორისი პერიოდის განმავლობაში არსებობდა ქართული კომიტეტი პოლონეთში.

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ქართველები მსახურობდნენ როგორც ქვეით, ისე საპაერო ძალებში, არტილერიაში, ცხენოსან ჯარში და ა.შ. ვარშავის თავდაცვითი ომის დროს 1939 წელს „ოხოტას“ ფრონტის დანაყოფს განსაკუთრებული სიმამაცით იცავდა სუვალსკის ქვეითი პოლკის 41-ე ბატალიონი მაიორ არტემ არონიშვილის მეთაურობით. პოლონეთი ალექსანდრე ვაჩნაძე ვარშავის ქვეითი ჯარის 28-ე დივიზიის ედგა სათავეში. პოლონეთის რომან გველესიანი კი კრაკო-

ვის ვაროვნის ოლქის ქვეითი ჯარის მე-6 დივიზიის მეორე მეთაური გახლდათ. პოლონეთის ვიქტორ ლომიქე სამხედრო გეგმის „გრიფის“ კაპიტანი იყო.

1939 წლის 17 სექტემბერს აღმოსავლეთ პოლონეთში შეიჭრა ნიჟერე არმია, მას კვალში „ენკავედე“ მიჰყვა. შინაგან საქმეთა ეროვნული კომიტეტის წევრებმა პოლონეთის არმიის მომსახურე ქართველი ოფიცრების სასტიკი დევნა დაიწყეს. მათი ტრაგიკული ბედის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. „ენკავედე“ საოცარ დაუნდობლობას იჩენდა პოლონეთში მყოფი ქართველი ოფიცრების მიმართ. როგორც ახლახანს საჯაროდ გამოცხადდა საინფორმაციო არქივები მოწმობს, აგენტები და სხვა პირები, რომლებიც „ენკავედესთან“ თანამშრომლობდნენ, შორიდან ადევნებდნენ თვალს ქართველებს, აკვირდებოდნენ ე.წ. პრომეთეს ლიგის სხდომებს და სპეციალურ სივებს ადგენდნენ. ამ სივების საფუძველზე 1939 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ პოლონეთის ტერიტორია-

ზე უამრავი ქართველი ემიგრანტი დააკავეს და დახვრიტეს. ქართველები იბრძოდნენ პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში, მათ შორის პოლონეთის ვალერიან თევზაძე, მაიორი არტემ არონიშვიცი, მაიორი ლადო ხუნდაძე და სხვები. როგორც გენერალი ალექსანდრე ზაქარიძე იხსენებს, ნიჟერე არმიის პოლონეთში მეორედ შეჭრის შემდეგ, 1944 წელს, ყველა ოფიცერი, რომელიც მათ ჩაუვარდათ ხელში, სიკვდილით დასაჯეს.

ყველა ეს მასალა ასახულია ფილმში „იუნკარები“, რომელიც საუნივერსიტეტო საზოგადოებამ დიდი გულისხმიერებით მიიღო.

საქართველო-პოლონეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონიას“ პრეზიდენტმა მარია ფილინამ აღნიშნა, რომ პოლონელი ხალხი ამ ფილმს უწოდებს მისიას, ვალს, რომელიც უნდა დაგვებრუნებინა იმ ქართველი ოფიცრებისთვის, ვინც თავი განირო პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.



აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრის დირექტორი იან მალიცკი

კუმანიტარულ მესნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა II საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია შალვა ნუსუბიძის 120 წლისთავს მიეძღვნა



სახელგანთქმული ფილოსოფოსის, ქართული ფილოსოფიური სკოლის შემქმნელის, აღმოსავლური რენესანსის ავტორის, რუსთაველოლოგის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, დიდი მოაზროვნისა და ორატორის შალვა ნუსუბიძის 120 წლისთავს მიეძღვნა 10 ივნისს გამართული კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა II საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც საზეიმო ვითარებაში გახსნა პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.

შურთსხია ბაროშვილი

ივანე ჯავახიშვილის დარბაზში შეკრებილ სტუმრებს: შალვა ნუსუბიძის შვილებს, მეგობრებს, კოლეგებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მნიშვნელოვანი თარიღი უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მიულოცა. მან ვრცლად ისაუბრა უნივერსიტეტში პირველად შექმნილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიულ-საგანმანათლებლო მისიაზე და აღნიშნა, რომ დღევანდელი პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სახელოვან წინამორბედთა გზის ღირსეული გამგრძელებელია.

„უნივერსიტეტის ისტორიაში ამ ფაკულტეტის მისია ყოველთვის გამორჩეული იყო, იგი მუდამ იდგა ქართული სულიერების განვითარების სამსახურში და ალბათ ასე გაგრძელდება მომავალშიც“, — აღნიშნა რექტორმა. მან დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა შალვა ნუსუბიძის დამსახურება უნივერსიტეტისა და ქვეყნის წინაშე.

„მის ორატორულ ნიჭზე ლეგენდები დადიოდა. მან მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მართალია, სიცოცხლეში შალვა ნუსუბიძეს ხშირად უსამართლოდ ექცეოდნენ, მაგრამ იგი მაინც ბოლომდე უნივერსიტეტის ერთგული დარჩა. დიდი ფილოსოფოსის დანატოვარს ისევე ჩვენ უნდა მოვუაროთ“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

პროფესორმა დემურ ჯალალონიამ თავის გამოსვლაში შალვა ნუსუბიძის სამეცნიერო მიღწევებზე ისაუბრა. მისი აზრით, შალვა ნუსუბიძემ, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, თავიდანვე ითავა ფილოსოფიური აზროვნების ძველი ტრადიციის აღორძინება.

„შალვა ნუსუბიძემ დამტკიცა, რომ ცნობილი არეოპაგიტული წიგნების ავტორია V საუკუნის ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი, ხოლო „აღმოსავლური რენესანსის თეორია“ შექმნილი მან საკაცობრიო და კულტურის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში სრულიად ახალი სიტყვა თქვა.

მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან სამოცდაათიან წლებამდე შალვა ნუსუბიძე ამშვენებდა ქართულ საზოგადოებას. ის იყო შესანიშნავი ორატორი, მისი მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვა ერთ საათში მთელმა თბილისმა იცოდა. მასზე ითხზებოდა ლეგენდები. თამაზ ჩხენკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, მან იცოდა სად მთავრდებოდა ფილოსოფია და სად იწყებოდა პოეზია.

შალვა ნუსუბიძე „ფილოსოფიის შესავლის“ წინასიტყვაობას ასე ასრულებს:

„მშობლიურ ნიადაგზე მეცნიერების აღორძინებამ ფრთები შეასხა არა ერთ ოცნებას. წინამდებარე წიგნი ნაწილია ამ ოცნებათა განხორციელების გარიჟრაჟისა. მასში ბევრი ნაკლია, მაგრამ ჩვენზე ბუნდოვანი თაობა, რომელიც სამშობლოს აღორძინების მზეს მოესწრება, გვაპატიებს ამ ბურუსს, რაც განთიადის თანმშლელია“.

შალვა ნუსუბიძემ ყველაფერი გააკეთა ამ ბურუსის გასაფანტად. მისი უდიდესი დამსახურებაა დღეს ქართული მათემატიკური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური სკოლების გვერდით ქართული ფილოსოფიური სკოლა, რომ არსებობს. ბარტოლანდერის აზრით, ფილოსოფია მოძრაობაა სრულყოფილებისკენ. შეიძლება ითქვას, რომ შალვა ნუსუბიძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ეს იყო მოძრაობა სრულყოფილებისკენ, — განაცხადა დემურ ჯალალონიამ.

საიუბილეო საღამოზე მონაწილე საზოგადოება დიდი ინტერესით უსმენდა შალვა ნუსუბიძის შვილების: თამარ და თამაზ ნუსუბიძეების მონათხრობს.

როგორც ქალბატონმა თამარმა გაიხსენა, მის სახელოვან მამას ბევრი გულსიტკივილი ახსოვს მისი თანამედროვეებისგან, იგი არც იუბილეებით ყოფილა განებივრებული და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ სათანადოდ არავინ დააფასა.

„როდესაც მამა გარდაიცვალა, მთავრობამ, როგორც იქნა, გამოიტანა დადგენილება მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება, ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დარქმეოდა. დედამ ითხოვა, შალვა ნუსუბიძის სახელი პეროვსკაიას ქუჩას მიწიჭებოდა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი მიიღო. არგუმენტად კი დაუსახელებს ის, რომ სოფი პეროვსკაია ცნობილი რევოლუციონერი იყო.

ამის შემდეგ დაისვა მისი დასაფლავების საკითხი. დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ გიორგი ჯიბლაძე დაინიშნა.

როგორც გავიგეთ, ზოგიერთი მეცნიერი წინააღმდეგი იყო, იგი უნივერსიტეტში დაეკრძალათ, რადგან მას უნივერსიტეტში ლექციების კითხვა აკრძალული ჰქონდა.

ბატონმა გიორგიმ დედას უთხრა: მივალწი, რომ იგი დიდუბის პანთეონში დავასაფლავოთო. დედამ უპასუხა: დიდი მადლობა, მაგრამ შალვას კომუნისტებისგან არც სიცოცხლეში არ უნდოდა არაფერი და არც საფლავი უნდა მაგათიო. თუმცა, საბოლოოდ, ალბათ საზოგადოების განწყობამაც იმოქმედა და იგი უნივერსიტეტში დაიკრძალა.

საფლავიც დიდხანს იყო მოუვლელი. დედა წავიდა ფოსტაში და პირდაპირ შევარდნაძეს გაუგზავნა დეკრეტი, სადაც წერდა, რომ თუ სახელმწიფოს არ შესწევს ძალა, საფლავს მოუაროს, მაშინ სხვაგან გადავავლებთო. საფლავზე სქელ ფენად სასწრაფოდ დაასხეს ბეტონი. მოგვიანებით მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ პატარაძის განკარგულებით, ძეგლიც დადგეს. მართალია, იგი კომუნისტები იყო, მაგრამ მან იცოდა შალვა ნუსუბიძის პიროვნების მნიშვნელობა.

მაინც რამ გადაარჩინა მამა და როგორ შეინარჩუნა ის გაუტყეველი, ქედუხრელი სული? — ეს კითხვა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც დამისვა.

ჩემი აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, ეს იყო გენეტიკა, — ის ასეთი დაიბადა. ამავე დროს იგი იზრდებოდა სასულიერო გარემოში. ბუნებით ძალიან ფილოსოფიური ადამიანი იყო. საბჭოთა რეჟიმს ფასებდა, როგორც ბოროტისა და კეთილის ბრძოლას, მაგრამ დიდი ოპტიმისტი იყო და სჯეროდა, რომ ბოლოს სიკეთე გამარჯვდება.

მამა ძალიან დიდ პატივს სცემდა გერმანულ ფილოსოფიას და გერმანელებს. იგი ხომ ფილოსოფოსი იყო და ალბათ სხვანაირად არც შეიძლება. ჩვენ სახლში ინახება

ღია ბარათი გოეთეს გამოსახულებით, რომელიც ტყეშია წამოწოლილი. იგი გვეწერდა: მეც გოეთესავით წამოწოლილი ვარ გერმანიის ტყეში და მასავით პოეტურ-ფილოსოფიურ გუნებაზე ვარო.

ტელევიზორი არ გვაყდინა. მისი აზრით, ჩვენ მხოლოდ წიგნი უნდა გვჭეროდა ხელში. ისე გარდაიცვალა, რომ ტელეფონიც კი არ დაიდგა.

როდესაც 7 ნოემბრის და პირველი მაისის დღესასწაულები მოახლოვდებოდა, ქალაქიდან გარბოდა, — მე ამათი „ვაშა“ და „ურას“ გაგონება არ შემიძლია, შემეტყობინეთ, ყველა პლაკატს რომ ჩამოხსნიან, მაშინ დავბრუნდებითო. იგი ხშირად ამბობდა: მოვა დრო, როდესაც რუსები აქედან გაიქცევიანო.

ძალიან ბევრს ეცადნენ, რომ მისთვის სახელი გაეტყებინათ, შეურაცხყოფაც ბევრჯერ მიაყენეს... მახსოვს, უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილესთვის საგანგებოდ როგორ მოემზადა, (ჩაცმა უყვარდა ძალიან) კოსტუმის ჯიბეში თეთრი ცხვირსახოცის ჩადებაც არ დაავიწყდა. მიდიოდა ამაყად, იგი ხომ მისი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. მაგრამ სიტყვაც კი არ მისცეს.

მამა არც რუსთაველის იუბილეზე მიიწვიეს. ერთმა უცხოელმა მეცნიერმა განაცხადა: „მე ჩამოვედი იმ ქვეყანაში, სადაც შალვა ნუსუბიძემ აღმოსავლური რენესანსის დროს ააფრიალაო“. როცა მან შალვა ნუსუბიძის ნახვა მოინდომა, უთხრეს, რომ ნუსუბიძე ავადმყოფობის გამო ვერ შეხვედებოდა.

80 წლის ასაკში, როგორც იქნა, იუბილე გადაუხადეს. სახლში გვითხრა: როდესაც იუბილეზე გამოვალ, მადლობას კი არ გადავუხდით მთავრობას და პარტიას, არამედ ვიტყვი: „მთავრობამ ყველაფერიც გამიკეთა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლოო“.

მისი სიტყვები აღსრულდა, აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, საბჭოთა რეჟიმიც დაემხო, ბოლონის პროცესაც შეუერთდით, ჩვენ არავისთან მიერთება არ დაგვჭრდებოდა, ის დონე, რომელიც პირველად იყო უნივერსიტეტში, შენარჩუნებული რომ ყოფილიყო. ეს შეერთება ძალიან დიდი ხნის წინ ბუნებრივად მოხდებოდა. ჩვენს დიპლომს ვერავინ დაინუნებდა, მაგრამ კომუნისტები წლების განმავლობაში ანგრევდნენ ამ სისტემას, თუმცა ბოლოს თვითონ მოყვნენ ამ ნაგრეველებში.

ისინი წავიდნენ და უნივერსიტეტი დღეს თავის 90 წლისთავზე მადლობას ეუბნება დამაარსებლებს. ისინი ჯავახიშვილის მეთაურობით იბრძოდნენ და ყველა ბრძოლა მოიგეს“, — ამ ეპიზოდებით გაიხსენა მამა თამარ ნუსუბიძემ, რომელსაც სიტყვა მისმა ძმამ, თამაზ ნუსუბიძემ ჩამოართვა და აღნიშნა:

„ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმე იყო 1956 წელი, როდესაც გარდაიცვალა სტალინი. ბერია დაპატიმრეს და მის საბრალდებოდ დასკვნაში ჩაინერა, რომ მან ციხიდან გაათავისუფლა გერმანიის იმპერიის აგენტები: სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ნუსუბიძე და სხვები... დაიწყო ჩვენი ოჯახის დევნა. არც ერთ სკოლას არ სურდა ჩვენი მიღება. მახსოვს, იმ პერიოდში პარიზიდან ჩამოვიდა ერთი ემიგრანტი იმ პათოსით, რომ დარჩენილი სიცოცხლის წლები საქართველოში გაეტარებინა. იგი გლდანში, აგარაკზე გვეწვია. სტუმარს რალაცამ აწყინა და ძალიან ცუდად გახდა, დედა ძალიან შეწუხდა. მამამ თქვა, ქეთო, ამას რომ რამე დაემართოს, ჩვენ დაგვბრალდებო. საბედნიეროდ, სტუმარი სწრაფად გამოჯანმრთელდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ცხადია, კომუნისტებმა „გააქრეს“. მამა ამბობდა, ჩვენს სახლში მაინც გარდაცვლილიყო, საფლავი გვეცოდიდებოდაო.

იმ წლებში შალვა ნუსუბიძე გარიცხეს ყველა საზოგადოებიდან, წამოვიდა უნივერსიტეტიდან, აკადემიიდან, პედაგოგიკის ინსტიტუტიდან... ნაცნობები მას ქუჩაში თვალს არიდებდნენ. ერთხელ ერთი კაცი შეხვდა, რომელსაც საკმაოდ დიდხანს ელაპარაკა, დედამ მისი ვინაობა ჰკითხა. შალვა უთხრა: ეს კაცი მონადირეთა კავშირის თავმჯდომარეა, მარტო მაგან არ გამრიცხა თავისი საზოგადოებიდანო“. — გაიხსენა თამაზ ნუსუბიძემ.

შალვა ნუსუბიძის მეცნიერულ დამსახურებაზე ისაუბრეს უნივერსიტეტის პროფესორებმა: ელგუჯა ხინთიბიძემ და ირაკლი ბრაჭულამ.

ღონისძიების მონაწილეებმა უნივერსიტეტის ეზოში შალვა ნუსუბიძის ძეგლი ყვავილებით შეამკეს, შემდეგ კი მისი სახელობის კაბინეტი გახსნეს.



ჩვენ, ყველანი, ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან მოვლივართ

კურსდამთავრებულებთან შეხვედრა

უნივერსიტეტიდან არავინ არ მიდის, აქ მხოლოდ მოდიან! — ითქვა უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე, რომელიც 13 ივნისს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში მასშტაბურად აღინიშნა. ყოფილ უნივერსიტეტელებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავლად იყვნენ ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები: ჟურნალისტები, მომღერლები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკოსები.

შურთხია გაროშვილი

საპატიო სტუმრებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე და ფაკულტეტის თანამშრომლები მასპინძლობდნენ. დარბაზში გამოფენილი იყო უნივერსიტეტის ისტორიის ასახველი უნიკალური ფოტომასალა, რომელზედაც ზოგმა თავისი წინაპარი, ზოგმაც საკუთარი თავი ამოიცნო.

„სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტამდე!“ — ასე ვუნოდეთ ჩვენი ფაკულტეტის ისტორიის ამსახველ გამოფენას, რომლის მომზადებაში თსუ-ის სამუზეუმო სამსახურთან ერთად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. ეს ფოტომასალა გვახსენებს იმ დიდ ისტორიას, რომელიც 90 წლის წინ პირველი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილებით დაიწყო, შემდეგ ისტორიის, ფილოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელოვნებისა და საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტების მიერ შექმნილი ტრადიციებით გაგრძელდა და მემკვიდრეობად მიიღო დღევანდელმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა“, — აღნიშნა სტუმრებთან საუბრისას დარეჯან თვალთვაძემ.

ქალბატონმა დარეჯანმა დიდი მონივნებით მოიხსენია ყველა ის პროფესორი, რომლებიც ფაკულტეტს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ და რომელთაც უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს ფაკულტეტის სამეცნიერო და სასწავლო ტრადიციების შექმნაში. მან, ასევე, მოიხსენია ის პროფესორები და მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებიც ახალი სპეციალობებისა და კვლევების ფუძემდებლები არიან.

ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც უნივერსიტეტში იღვწოდა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიას ქმნიდა.

„განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმამ უკანასკნელ წლებში ფაკულტეტი მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაშე დააყენა. ეს იყო ურთულესი, ხშირ შემთხვევაში, მტკივნეული პროცესი, მაგრამ ფაკულტეტის პროფესორის და ჩვენი სტუდენტების ერთობლივი ძალისხმევით ფაკულტეტმა თავი გაართვა ამ რთულ ამოცანას. ჩვენი პროფესორის სამეცნიერო და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ არა მარტო შეუნარჩუნა ფაკულტეტს ტრადიციული ავტორიტეტი, არამედ ახალ რეალობაში ახალი პერსპექტივები გადაუშალა წინ.

გვყავს საოცრად ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები. იმედი მაქვს, ისინი ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას ახალ საფეხურზე აიყვანენ.

ჩვენი სასწავლო პროგრამები სულ უფრო და უფრო უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს. ტრადიციული დარგების გვერდით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტერდისციპლინარული დარგების განვითარებას, სტუდენტების აღზრდას დემოკრატიული და ეროვნული ფასეულობებით. ამჟამად ფაკულტეტზე 4500-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს 27 საბაკალავრო და ამდენივე სამაგისტრო პროგრამაზე, წელს პირველად მივიღეთ დოქტორანტები ახალ სადოქტორო პროგრამებზეც. ჩვენს სტუდენტებს საშუალება აქვთ ძირითად სპეციალობასთან ერთად დამატებით სპეციალობასაც დაეუფლონ. მჯერა, რომ ჩვენი სტუდენტები ჩამოყალიბდებიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებად და ღირსეულ მოქალაქეებად.

უნივერსიტეტი მასპინძლობს სხვადასხვა თაობის წარმატებულ კურსდამთავრებულებს და ამავე დროს გზას ულოცავს წლ-

ევანდელ გამოშვებას — ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტებს, რომელთათვისაც დღეს ბოლო ლექციები ჩატარდა და სტუდენტობის ოთხი დაუვიწყარი წელიწადი დასრულდა. ისინი ხვლიდან ახალ ცხოვრებას დაიწყებენ, მაგრამ მათ უნივერსიტეტის და უნივერსიტეტელების მხარდაჭერა, თანადგომა კვლავ დასჭირდებათ. გვინდა, რომ მათ თქვენი იმედიც ჰქონდეთ, რადგან ჩვენ, ყველანი, ერთი უნივერსიტეტიდან მოვდივართ“, — მიმართა დარეჯან თვალთვაძემ მონივრულ სტუმრებს.

ლონისძეების მონაწილეთათვის სიურპრიზი აღმოჩნდა ამავე დღეს კურსდამთავრებულთა კლუბის დაარსების იდეა. ამ კლუბის წევრი შეიძლება გახდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნებისმიერი კურსდამთავრებული. კლუბის მემორანდუმში წერია:

„ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ფაკულტეტის საქმიანობის პოპულარიზაციას, მხარი დაუჭიროთ ფაკულტეტის ყველა მნიშვნელოვან ნაშრომს, დავეხმაროთ სტუდენტებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს პროფესიულ თვითრეალიზაციასა და სამოქალაქო ინტეგრაციაში, მივცეთ საშუალება ახალგაზრდებს ჩამოყალიბდნენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებად და ღირსეულ მოქალაქეებად.

ჩვენ, კურსდამთავრებულთა კლუბის წევრები, მზად ვართ, ყოველთვის ვიყოთ საუნივერსიტეტო იდეალების ერთგულები, ჩვენი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება უშურველად გადავცეთ მომავალ თაობას, ვაზიაროთ ისინი უნივერსიტეტის საუკეთესო ტრადიციებს, რათა შევინარჩუნოთ უწყვეტი კავშირი თაობებს შორის.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა წევრობას ვადასტურებ ხელმოწერით...“

თეთრ დაფაზე თავიანთი ნება ხელმოწერით დადასტურეს ადამიანებმა, რომელთა განწყობას უკომენტაროდ და რეგალიების გარეშე ვთავაზობთ მკითხველს, რადგან ისინი ამჯერად როგორც „უნივერსიტეტელები“ ისე შეხვდნენ ერთმანეთს.

იულიან ბაბოშვილი:

— უნივერსიტეტში მოსვლა ყოველთვის უდიდეს ემოციებთან არის დაკავშირებული. დღეს ყველაზე მეტად მახარებს ის, რომ აქ კვლავ დამხვდა ჩემი პირველი ლექტორი ოთარ ჯაფარიძე. ჩემი სტუდენტობა ძალიან საინტერესო პერიოდს უკავშირდება. მე მასწავლიდნენ საუკეთესო ლექტორები: შოთა მესხია, ოთარ ჯაფარიძე, ლალი ჯავახიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, დათიკო გვრიტიშვილი და სხვები.

უნივერსიტეტს დიდი მისია ჰქონდა ყოველთვის, დღეს კი — განსაკუთრებით. იყო ჩემი პერიოდიც, როდესაც აქ ფულისა და ჩანჩუკის გარეშე გავიჭირებოდა მოხვედრა, მაგრამ ახლა ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა. დარწმუნებული ვარ, ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება.

ოთარ ჯაფარიძე, უნივერსიტეტის

კურსდამთავრებულთა უზუცესი წევრი:

— უნივერსიტეტში 1939 წელს, როგორც სტუდენტმა, ფეხი შემოვდგი და იმ დღიდან მოყოლებული ყველა საფეხური გავიარე. ვემსახურე უნივერსიტეტს, როგორც შემეძლო. ძალიან მიხარია, რომ დღეს აქ ბევრი ჩემი ყოფილი სტუდენტიცაა. მარტალია, ზოგიერთი ძალიან შეჭალარავებულია, მაგრამ მხნედ არიან და ძალიან მახარებს.

მარიამ ლორთქიფანიძე:

— ბატონებო, გიყურებთ და სიხარულსა და ცოტა ტკივილსაც განვიცდი. ტკივილს იმიტომ, რომ დღეს ჩვენს გვერდით ბევრი ჩემი ყოფილი სტუდენტი აღარ არის. მიხარია, რომ უნივერსიტეტში ღირსეული თაობა მოვიდა და ისინი თავის სიტყვას ამბობენ.

მე და ჩემი მეგობარი ოთარ ჯაფარიძე სანამ ფეხზე ვდგავართ, ვეცდებით, ბოლომდე ვემსახუროთ უნივერსიტეტს. ძალიან მახარებს კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა. ასეთი შეხვედრები ტრადიციად უნდა იქცეს.

გულნაზ ბაღდავა:

— დღეს პატივი მაქვს მოგმართოთ არა როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, არამედ როგორც ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა. მართალია, შემდგომში მეორე პროფესიად იურიდიული მეცნიერება ავირჩიე, მაგრამ ჩემი შინაგანი განწყობით, ყოველთვის ვიყავი და დავრჩები ფილოლოგად.



ჩვენ, ყველანი, ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან მოვლივართ

ალექსანდრე ცინკარიძე, თ

კურსდამთავრებულებთან შეხვედრა

მე-11 გვიპრადიან

თუ თავის მოწონებაში არ ჩამომართმევთ, მეც ამ ფაკულტეტის ერთ-ერთი წარჩინებულთაგანი გახლავართ, ძველი ტერმინი რომ მოვიშველიო, „წითელდიპლომოსანი“.

ამას წინათ ერთმა კოლეგამ მითხრა: ქალბატონო გულიკო, რატომ გაექცეით ფილოლოგიას და რატომ გადაინაცვლეთ იურისპრუდენციაში, იმიტომ ხომ არა, რომ ფიქრობდით, რომ იმ არენაზე ვერ შეძლებდით თქვენი პოტენციალის გამოყენებასო. მე მას ვუთხარი და ნამდვილად ასე ფიქრობ, რომ ნამდვილად ფილოლოგს ყველაფრის მიღწევა უფრო ადვილად შეუძლია.

ჩვენი სურვილია, წარმატებული იყოს ის გზა, რომლითაც გვინდა გავაგრძელოთ წინაპრების დატოვებული მემკვიდრეობა. ყველაზე დიდი თანავარსკვლავედი ხომ სწორედ ამ მეცნიერების ფარგლებში იყო წარმოდგენილი და დღესაც შეიძლება ძალიან ამაყად, ძალიან ხმაბალა განვაცხადოთ, რომ ჰუმანიტარულ ფაკულტეტს არა აქვს ალტერნატივა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

სოხარ სუბარძი:

— შეიძლება ხამბალად ნათქვამად ჩამეთვალოს, მაგრამ ჩემი აზრით, თითქმის საუკუნის განმავლობაში უნივერსიტეტი უდრიდა საქართველოს. რომ არა უნივერსიტეტი, ვერც კი წარმოვიდგენთ, როგორი იქნებოდა ჩვენი ისტორია, შევძლებდით თუ არა ქართველობის შენარჩუნებას.

უნივერსიტეტი იყო არა მარტო მეცნიერების კერა, არამედ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება. უნივერსიტეტის წიაღში შეიქმნა მრავალი სამეცნიერო ინსტიტუტი, ამავე დროს ეს იყო ადგილი, სადაც ადამიანებში ღვივდებოდა ეროვნული სულისკვეთება.

მეც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ვარ, სწორედ ის ფაკულტეტი დავამთავრე, რომელიც წამყვან როლს ასრულებდა ეროვნული შენარჩუნების სთვის. 1982-1987 წლებში, ეროვნულ მოძრაობაში, უნივერსიტეტებთან ერთად ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლაში მეც ჩავერთე. აქ ჩამოვყალიბდი როგორც პიროვნება და მოქალაქე და იმ იდეალების ერთგული ვარ დღემდე.

ინგა ბრიგოლია:

— ჩემთვის უნივერსიტეტი მართლაც ბავშვობის ოცნება იყო და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ მივიღე განათლება. მართალია, ძალიან რთულ პერიოდში — სამოქალაქო ომის წლებში მომიწია სწავლა, მაგრამ მიუხედავად ქალაქში გამეფებული ქაოსისა, არც ერთ ლექციას არ ვაცდენდი. ჯიუტად ვიჯექი გაყინულ აუდიტორიაში და ვუსმენდი ლექციებს.

პროფესორი ფილოლოგი ვარ, მაშინ ლიტერატურით ვიყავი გატაცებული. მიუხედავად სირთულეებისა, ჩემი ცხოვრების ბედნიერი წლები მაინც უნივერსიტეტს უკავშირდება. ახლაც უნივერსიტეტის დიდი გულშემატყვიარი ვარ. თვალს ვადევნებ აქ მიმდინარე მოვლენებს და ვხედავ, რომ დიდი ცვლილებები მიმდინარეობს. მტკივნეული პროცესების მიუხედავად, ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა და ეს, როგორც უნივერსიტეტს, ძალიან მახარებს. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ობიექტურად ავსახოთ ის პროცესები, რომლებიც უნივერსიტეტში ხდება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოს თაობებს უზრდოდნენ.

ვასილ მაღლაფერიძე:

— როდესაც სიტყვა — უნივერსიტეტს ამბობენ, დღესაც მხოლოდ ამ სასწავლებელს ვგულისხმობთ მე და ჩემი მეგობრები. შეუძლებელია დიდი მონივნის გარეშე შემოგდა აქ ფეხი. ჩემი სტუდენტობისდროინდელი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 14 აპრილი იყო, ამით ალბათ ყველაფერია ნათქვამი...

კოტე ჩოლოყაშვილი:

— ჩემთვის დიდი პატივია მოგმართოთ. ჩვენ როდესაც ახალგაზრდები ვიყავით და ეკლესიაში შესვლა აკრძალული გვქონდა, ამ მისიას უნივერსიტეტი ასრულებდა. ეს ერთადერთი დანებებულება იყო, სადაც ეროვნული სული ტრიალებდა. არ დამავინყდებია — ომი რომ დაიწყო, უნივერსიტეტი შავიად შეღებეს. ერთმა მეეტლემ, რომელმაც აქ ჩაიარა, გაცემისგან სადავეებს ხელი გაუშვა, ეტლი შეაჩერა და დაიყვირა: ხალხო, ჩვენი უნივერსიტეტი შავად შეღებესო! უნივერსიტეტი მხოლოდ იმათი კი არ იყო, ვინც იქ სწავლობდა და ასწავლიდა, არამედ ყველა ქართველის გახლდათ და ეს ახლაც ასეა.

ნოდარ ასათიანი:

— მე ბედნიერება მქონდა, მთელი ათი წელი მანძილზე ისტორიის ფაკულტეტის დეკანი ვყოფილიყავი. საკმაოდ რთული პერიოდი იყო. მაშინ ისტორიის ფაკულტეტს, როგორც ეროვნული ცენტრს, ისე აღიქვამდნენ და ასეც იყო. ჩვენს წინააღმდეგ ხშირად რეპრესიებსაც მიმართავდნენ. „სრუშოკოშინის“ პერიოდში საქართველოს ისტორიის კურსის შემცირება და ზოგიერთი საგნის ამოღება უნდოდათ, მაგრამ ჩვენმა ფაკულტეტმა მოახერხა წინააღმდეგობის დაძლევა. თქვენ ასეთი წინააღმდეგობების გადასაწყვეტად ალარ გელით, მაგრამ გაქვთ დიდი მისია — თქვენ უნდა შეძლოთ იმ დიდი მიღწევების შენარჩუნება და ტრადიციების გაგრძელება, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერი უნივერსიტეტი იამაყება.

ნელის მანძილზე ისტორიის ფაკულტეტის დეკანი ვყოფილიყავი. საკმაოდ რთული პერიოდი იყო. მაშინ ისტორიის ფაკულტეტს, როგორც ეროვნული ცენტრს, ისე აღიქვამდნენ და ასეც იყო. ჩვენს წინააღმდეგ ხშირად რეპრესიებსაც მიმართავდნენ. „სრუშოკოშინის“ პერიოდში საქართველოს ისტორიის კურსის შემცირება და ზოგიერთი საგნის ამოღება უნდოდათ, მაგრამ ჩვენმა ფაკულტეტმა მოახერხა წინააღმდეგობის დაძლევა. თქვენ ასეთი წინააღმდეგობების გადასაწყვეტად ალარ გელით, მაგრამ გაქვთ დიდი მისია — თქვენ უნდა შეძლოთ იმ დიდი მიღწევების შენარჩუნება და ტრადიციების გაგრძელება, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერი უნივერსიტეტი იამაყება.

მაია ჯაბაშვილი:

— ჩემთვის ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი უნივერსიტეტი იყო და ყოველთვის ასეთად დარჩება. 1986 წელს დავამთავრე დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ჩემთან ერთად ყოფილი „მზიურებიც“ სწავლობდნენ, გვინდოდა ანსამბლი უნივერსიტეტშიც შევქმენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოვახერხეთ, რადგან მათი პირადი ცხოვრება სხვადასხვაგვარად წარიმართა. მე გავაგრძელე სიმღერა და აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი სტუდენტურ დღეებში. ეს იყო ყველაზე სახალისო, საინტერესო ღონისძიება, რომელშიც ყველა ფაკულტეტი იღებდა მონაწილეობას.

მიხეილ ქურდიანი:

— რუსთაველი ბრძანებს: „ამა მონათა ჩემზედა გარდაუხდელი გულია“. ჩვენ ყველას უნივერსიტეტის წინაშე „გარდაუხდელი გული“ გვაქვს, ამიტომ თუ ჩვენ პატიოსანი ადამიანები ვიქნებით, არავის სამოწყალოდ არ დავტოვებთ უნივერსიტეტს.

ებრაელთა თერთმეტი ტომის მსგავსად, რომლებიც თავისი შემოსავლის ნაწილს ლევიტებს აძლევდნენ, ჩვენც ასევე უნდა გადავდოთ შემოსავლის ერთი პროცენტი უნივერსიტეტისთვის, შევქმნათ ფონდი და თუნდაც გარდაუხდელი გულის მაგივრად გარდაუხდელი ვალი მაინც მოვიხადოთ მის წინაშე.

დღეს აქ ივანე ჯავახიშვილმა დაგვიძახა... ჩვენ ამ უნივერსიტეტს არ დავუთმოთ არც დროს, არც მოვლენებს და ყველაფერს გადავკეთებთ მისთვის.

ყველა კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ უნივერსიტეტი არა მარტო დედაუნევერსიტეტი, არამედ, დედა ჩვენი!

სასილი გოგობერიძე:

— მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება უნივერსიტეტს უკავშირდება. ჩემი ოჯახის წევრებიც სულთ ხორცამდე უნივერსიტეტელები არიან. გამოფენაზე ჩემი ბაბუის სურათიც არის... ალბათ იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როდესაც უნივერსიტეტი შვილად მიგიღებს და გალიარებს.

ირმა რატიანი:

— პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ამ საღამოს ორგანიზატორებს, რომლებმაც საშუალება მოგვცეს კიდევ ერთხელ შევერებილიყავით და ქედი მოგვეხარა ჩვენი პედაგოგების წინაშე. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ კვლავაც ერთად გავაგრძელებთ გზას, რადგან უნივერსიტეტი თაობათა კავშირის უმშვენიერესი ნიმუშია, მითუმეტეს, რომ შეიქმნა ასეთი შესანიშნავი კლუბი...

ქალბატონმა დარეჯან თვალთაძემ სტუმრებს იმ უნივერსიტეტელების მილოცვები გააცნო, რომლებმაც საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს მოსვლა.

ვასუში კოტიქიშვილი:

— უნივერსიტეტი... ჩემი სტუდენტობისას ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა წონა, სხვა ელფერი.

უნივერსიტეტი ერთადერთი იყო მთელ საქართველოში და ის ნამდვილად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლისგან. ის მართლაც უმაღლესი იყო არა მხოლოდ პედაგოგიური სემანტიკით, არამედ გამოირჩეოდა როგორც ქვეყნის ინტელექტუალურ-ზნობრივი ტაძრის საკურთხეველი. მის ნათელ დერეფნებში ჯერ კიდევ გაისმოდა უნივერსიტეტის დამაარსებელთა ფეხაკრეფილი ნაბიჯების მიმქრალი ექო.

სამწუხაროა, რომ მე უნივერსიტეტის მართლ ყველა ზმნის ხმარება წარსულ დროში მომიხდა. ეს ჩემი ხანდაზმული ასაკის ბრალი არ გახლავთ, ეს დრო მოიტანა, ახლამა ხანამ, რომელსაც ჯერ არ გამოჰყვებით თავისი პროფილი. ვიმედოვნებ, რომ როდესაც თვით საქართველო დაიბრუნებს თავის ჩვეულ იერ-სახეს, უნივერსიტეტიც ფენიქსისებრ აღდგება. ღმერთო, შენითა!

ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო...

13 ივნისს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა საზეიმო გაცილება მოუწყო თავისი 90-ე გამოშვების სტუდენტებს. ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ და პედაგოგ-მასწავლებლებმა შეძლეს, რომ ეს დღე დაუვინყარი ყოფილიყო თითოეული სტუდენტისთვის.

უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ მეოთხეკურსელებს ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთაძემ მიმართა: „მართალია, ამ კვლევებში თქვენ ლექციებს აღარ ჩაგიტარებენ როგორც ბაკალავრიატის სტუდენტებს, მაგრამ აქ ისევ შეგიძლიათ დაბრუნდეთ, როგორც მაგისტრანტები და დოქტორანტები. იმედი მაქვს, რომ ეს ოთხი წელიწადი დაუვინყარი იყო თქვენს ცხოვრებაში.“

უნივერსიტეტი სულ თქვენთან იქნება. არასდროს დაივინყოთ, რომ თქვენ პირველი ქართული უნივერსიტეტის ალზრდილები ხართ — ეს კი ბევრს გავალბებ. ამის შემდეგ, რამდენი უმაღლესი სასწავლებელიც არ უნდა დაამთავროთ, პირველი თქვენთვის ყოველთვის ჩვენი უნივერსიტეტი და ჩვენი ფაკულტეტი იქნება. გახსოვდეთ, უნივერსიტეტი თქვენია და თქვენ უნივერსიტეტს ეკუთვნიან!“

საზეიმო საღამოზე დარეჯან თვალთაძემ სტუდენტურ კონფერანციაში მონაწილე სტუდენტები დიპლომებით დააჯილდოვა, სპეციალური დიპლომები კი იმ სტუდენტებს გადაეცათ, რომლებმაც, როგორც ქალბატონმა დარეჯანმა აღნიშნა, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი უძილო ღამე გაათეინეს, ყველაზე მეტი იმრომეს და რომლებსაც ყველაზე უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ.

სპეციალურად მეოთხეკურსელი სტუდენტებისთვის გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს „უნივერსიტეტელმა“ მომღერლებმა: თიკა ფაცაცია და ანანო მჟავიამ. როგორც თიკა ფაცაცია აღნიშნა, უნივერსიტეტში სიმღერა მისთვის განსაკუთრებული პატივია.

საზეიმო საღამოს დასასრულს სტუდენტებმაც მიმართეს თავიანთ პედაგოგებს და მეგობრებს. ლელა ნინოშვილმა ყველას დიდი მადლობა გადაუხადა იმ განუმეორებელი დღეებისთვის, რომლებიც აქ გაატარა. გიორგი ასტამაძემ კი თანატოლებს სთხოვა, კიდევ ერთხელ შეეფიცათ უნივერსიტეტისთვის ერთგულება.

„ამის შემდეგ სადაც არ უნდა ვისწავლოთ, იქ მივიღებთ მხოლოდ განათლებას. ჩვენთვის უნივერსიტეტის ყოველთვის იქნება ყოველთვის საუკეთესოს ნიმუში. შევფიცოთ ერთმანეთს, რომ არასოდეს არც ერთ ნაბიჯს არ გადავდგამთ უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ!“

ფიციცაო! — იყო პასუხი... როგორც ამ საღამოზე მეოთხეკურსელმა ლევან კიკვიძემ თქვა: მართლაც, სხვა არის უნივერსიტეტიდან დანახული საქართველო...



საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ნ ე ს დ ე ბ ა

პ რ ა ე მ გ უ ლ ა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ჰუმანიტარული ტრადიციების, გელოგიისა და იყოლოის აკადემიების სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრეა. უნივერსიტეტი ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა.

ილია ჭავჭავაძის იდეათა კვლევითი ცენტრი ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა მიერ 1918 წელს დაარსებული უნივერსიტეტი ქართველი ერის ნებისა და სულიერების უმაღლესი გამოხატულებაა. უძველეს ქართულ კულტურასა და კაცობრიობის თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული უნივერსიტეტის მიზანია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია.

ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული ქართული უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისთვის განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა.

თ ა ვ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. უნივერსიტეტის წესდების მოქმედების სფერო

ეს წესდება აწესდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უნივერსიტეტის მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი

- უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
- უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი). უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა „უსუ“ უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0128, თბილისი, საქართველო.
- უნივერსიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივლისის 277 ბრძანებულებით.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები

- უნივერსიტეტის მიზანია:
- მომავალი თაობების აღზრდა ქართული კულტურითა და ტრადიციებით; საუნივერსიტეტო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების განვითარება;
 - მალაქაული ცოდნის კადრების მომზადება ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით;
 - უნივერსიტეტში აკადემიური განათლების სამსაფუხრის სწავლების ციკლის (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტიურა), დიპლომირებული მედიკოსის სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ფორმალური და არაფორმალური სახელობის, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების, მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ექსპერიმენტების განხორციელება;
 - სტუდენტის ჩამოყალიბება ჭეშმარიტ მოქალაქედ, თავისუფლებისმოყვარე და დემოკრატიული პიროვნებად;
 - უნივერსიტეტის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში; საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
 - უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზება ქართული საზოგადოების წიაღში;
 - სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა.

მუხლი 4. უნივერსიტეტის სიმბოლო

- უნივერსიტეტს აქვს თავისი გერბი, დამტკიცებული 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დიდი საბჭოს მიერ.
- უნივერსიტეტის დროშასა და ჰიმნს აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 5. საუნივერსიტეტო დღესასწაული

საუნივერსიტეტო დღესასწაულია 8 თებერვალი – უნივერსიტეტის დაარსების დღე.

თ ა ვ ი II

უნივერსიტეტის მართვა

მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურა

- უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია – აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის ფაკულტეტის მართვის ორგანოებია – ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების: რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან, აგრეთვე საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მნიშვნელობის სხვადასხვა საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან.
- გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

უნივერსიტეტო მნიშვნელობის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 7. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
 - უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის;
 - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;
 - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;
 - თანასწორ მოპოვობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
 - უნივერსიტეტში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღვევა ნორმები.

მუხლი 8. აკადემიური საბჭო

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში – აკადემიური საბჭო) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში არიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები.
- აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად
- შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
 - ფაკულტეტის პერსონალის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
 - ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;
 - თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარულ კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;
 - წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;
 - წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;
 - წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;
 - მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;
 - სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;
 - აღდგენს სხვა უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხების, აგრეთვე უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ცნობის წესს;
 - ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოების დებულებებს;
 - წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;
 - აღდგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, პროფესორის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
 - წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
 - ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საბატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;
 - აღდგენს ფაკულტეტის დეკანების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
 - ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;
 - უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული და სხვა გადაწყვეტილებების განხორციელების მიზნით, წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, ქმნის დროებით კომისიებს. კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე;
 - აკადემიური საბჭო საჭიროების შემთხვევაში იწვევს ექსპერტს.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

- აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს სამდივნო.
- აკადემიური საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.

მუხლი 11. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

- აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.
- აკადემიური საბჭო იკრიბება ორ კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. თავმჯდომარეს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3 მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
- აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 12. აკადემიური საბჭოს სხდომათა დღის წესრიგი

- აკადემიური საბჭოს სამდივნო, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების წესებს, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.
- აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც სამდივნოს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 დღისა.
- აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 13. გადაწყვეტილების მიღება

აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულია ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

მუხლი 14. ხმის მიცემა

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია.
- აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

მუხლი 15. ოქმის წარმოება

- აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ინარმოება ოქმი.
- ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი ან საბჭოს სხდომის მდივანი.

მუხლი 16. უნივერსიტეტის რექტორი

- რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, რომელსაც აკადემიური საბჭო ირჩევს 4 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- რექტორი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს წევრთა აკადემიური საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია, უნივერსიტეტის სახელით დასაფაროს უნივერსიტეტის სახელმძღვანელო და შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. რექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.
- რექტორი ახორციელებს კანონმდებლობითა და წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 17. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) (შემდგომში – წარმომადგენლობითი საბჭო) არის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ირჩევა 4 წლის ვადით.

მუხლი 18. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილების სფერო

- წარმომადგენლობითი საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:
 - შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებს აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
 - შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;
 - ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;
 - ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;
 - ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;
 - ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;
 - ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სტრუქტურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საფუძველზე;
 - ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;
 - აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით, ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
 - ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;
 - ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;
 - ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

6. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტების დეკანების, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების წესს;

7. წარმომადგენლობითი საბჭოს თითოეული სხდომა აისახება ოქმით. ოქმს ხელს აწერს სპიკერი (ან სხდომის წარმმართველი საბჭოს წევრი) და საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი ან სხდომის მდივანი.

მუხლი 24. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროებში და წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მუხლი 25. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
 - ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;
 - ბ) უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შესაბამისად დააღოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები;
 - გ) ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს;
 - დ) ადგენს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს;
 - ე) ამზადებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს;
 - ვ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს;
 - ზ) გამოისცემს ინდივიდუალურ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
 - თ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;
 - ი) ასრულებს ამ ნუსხეში გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე.
3. გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების ზოგადი საფუძვლებისა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა) წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარი წლიური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
 - ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

მუხლი 26. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელიც მონაწილეობას იღებს აგრეთვე დაწესებულების სტრუქტურით და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

2. უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ამ ნუსხეების შესაბამისად.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მჭიდრო კავშირს აყვარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოისცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზით და აკრედიტაციის პროცესისთვის თვითშეფასების მომზადებას.

თავი III

უნივერსიტეტის ფაკულტეტები

მუხლი 27. ფაკულტეტები

1. უნივერსიტეტში ქქსი ფაკულტეტია:
 - ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;
 - ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა;
 - გ) ეკონომიკისა და ბიზნესის;
 - დ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა;
 - ე) იურიდიული;
 - ვ) მედიცინის.
2. გადაწყვეტილებას ფაკულტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. ფაკულტეტების შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, ასევე გადაწყვეტილებას საფაკულტეტო მნიშვნელობის ახალი ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს. საფაკულტეტო მნიშვნელობის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.
4. ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.
5. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

3) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ნუსხეებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. წარმომადგენლობითი საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით

3. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, აგრეთვე მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სამუშაო და საქმისწარმოების ენაა ქართული ენა.

მუხლი 19. კორუმი და სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
2. თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულია ჩაითვალოს, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრეთა ნახევარზე მეტი.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა კანონით და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარს დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.

მუხლი 20. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო თავისი რიგებიდან წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით - 4 წლით.
2. სპიკერი:
 - ა) ორგანიზებას უწევს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას და თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;
 - ბ) უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვასა და საკითხის სრულყოფილ, ყოველმხრივ განხილვას;
 - გ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
 - დ) უფლებამოსილია დასვას საკითხი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის რიგგარეშე განხილვისა და კენჭისყრის შესახებ;
 - ე) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებში;
 - ვ) ხელს აწერს საბჭოს სხდომების ოქმებს.

მუხლი 21. წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მუშაობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო, სპიკერთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს საბჭოს წევრებს. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც სამდივნოს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 დღისა.

მუხლი 22. წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი სამუშაო ჯგუფების ფორმირება

1. წარმომადგენლობითი საბჭოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის მიზნით, წარმომადგენლობითმა საბჭომ თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება შექმნას დროებით სამუშაო ჯგუფები გარკვეული ვადით;
2. დროებითი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს არანაკლებ 3 წევრით. ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ჯგუფის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

მუხლი 23. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების მონევა და მიმდინარეობა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომები მოიწვევა სემესტრში ორჯერ მაინც. საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა (სხდომები).
2. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს წარმართავს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მის მიერ დროებით უფლებამოსილი წარმომადგენლობითი საბჭოს რომელიმე წევრი. ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ჩატარების შესახებ სხდომის ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, გამოეკრება საჯარო გაცნობისათვის უნივერსიტეტის შენობაში სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე მაინც ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას და ეცნობება საბჭოს წევრებს.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის ინიციატივით ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით.
4. რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნა წერილობითი ფორმით გადაეცემა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს რიგგარეშე სხდომის მოწვევის აუცილებლობის დასაბუთებას.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს რიგგარეშე სხდომას იწვევს საბჭოს სპიკერი მისი მოწვევის აუცილებლობის შემთხვევაში.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს რიგგარეშე სხდომა განიხილავს მხოლოდ რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

თავი IV

საგარეო ურთიერთობებისა და ფაქულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევის წესი

მუხლი 33. მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევის უზღვევითი პრინციპები

1. უნივერსიტეტისა და ფაქულტეტების მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნები ტარდება თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 34. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

1. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაქულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაქულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტი.

2. აკადემიურ საბჭოში ფაქულტეტებიდან აირჩევა 12 წევრი. თითოეული ფაქულტეტი ირჩევს 2 წარმომადგენელს. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

3. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა.

4. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას და განისაზღვრება 4 წლით.

5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ.

მუხლი 35. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აირჩევა 4 წლის ვადით დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან — ფაქულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ამ ერთეულებზე წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის მომენტში მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

3. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობს ხმის უფლების მქონე პირთა 1/3 მინც, ცალ-ცალკე, როგორც აკადემიური, ისე სტუდენტების რაოდენობიდან.

4. მიღებული ხმების დათვალი ხდება ცალ-ცალკე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

5. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

6. პროფესორისა და სტუდენტისთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

9. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი საბჭოს არჩევნებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

10. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სითი შემადგენლობის უმრავლესობა.

11. წარმომადგენლობითი საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილებას ცნობს საბჭო პირველ სხდომაზე, სითი შემადგენლობის უმრავლესობით.

12. პირველ სხდომაზე წარმომადგენლობითი საბჭო ფარული კენჭისყრით, საბჭოს სითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სპიკერს. კენჭისყრას ატარებს დაწესებულების საარჩევნო კომისია.

13. წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 10 პროცენტი, სპიკერის არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, დაწესებულების საარჩევნო კომისიას წარუდგენს სპიკერის კანდიდატურას, არჩეულად ჩაითვლება პირი რომელიც მიიღებს წარმომადგენლობითი საბჭოს სითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

14. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო თავისი რიგებიდან წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით - 4 წლით.

მუხლი 36. რექტორის არჩევის წესი

1. რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული პროფესორი. რექტორს 4 წლის ვადით ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სითი შემადგენლობის უმრავლესობით. თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 და არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 თვით ადრე. საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს ადგენს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, გამჭვირვალობის, თანასწორებისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არ-

ჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. პირი, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

5. რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო ავასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

მუხლი 37. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით. ერთი და იგივე პირი აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობითი საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა 4 წელია.

3. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. პირი, რომელსაც ეკავა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც რექტორის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან რექტორის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 38. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ამ ნესდების შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით სითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 39. ფაქულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაქულტეტის საბჭო არის ფაქულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაქულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაქულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაქულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 40. ფაქულტეტის დეკანის არჩევის წესი

1. ფაქულტეტის დეკანი აირჩევა გამჭვირვალობის, თანასწორებისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაქულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 და არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე.

2. ფაქულტეტის დეკანად შეიძლება ირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი. კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ავტობიოგრაფიისა და ფაქულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას ღებულობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. თითოეული კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. ფაქულტეტის დეკანს ირჩევს ფაქულტეტის საბჭო. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებული დეკანის გამოვლენამდე. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

მუხლი 41. ფაქულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. ფაქულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრად შეიძლება იყოს ფაქულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

2. ფაქულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით ირჩევს ფაქულტეტის საბჭო. ფაქულტეტის საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებული გამომავლენამდე. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

თავი V

საგარეო ურთიერთობების პერსონალი

მუხლი 42. უნივერსიტეტის პერსონალი

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

მუხლი 43. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 44. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 1 და კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე.

3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 45. აკადემიური თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. დამატებით პირობები შეიძლება განსაზღვროს აკადემიურმა საბჭომ. ამ პირობებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

მუხლი 46. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- გ) ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეზი ან სისტემატური დარღვევა;
- დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- ე) პენსიაზე გასვლა;
- ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 47. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით.

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 2009-10 სასწავლო წლიდან არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

მუხლი 48. აკადემიური წოდებები

1. აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.

2. უნივერსიტეტის 65 წლის ასაკს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება.

3. ემერიტუსის წოდების მქონე პირის ემერიტუსის წოდების მინიჭებამდე არსებული ხელფასისა და სახელმწიფო პენსიის ოდენობებს შორის განსხვავებას ფარავს უნივერსიტეტი. ამასთანავე, ემერიტუსის წოდების მქონე პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე და ისარგებლოს დამატებითი სოციალური გარანტიებით ამ დაწესებულების ბიუჯეტიდან.

მუხლი 49. აკადემიური პერსონალის უფლებები

- აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
 - ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში;
 - ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
 - დ) 5 წელთან დაახლოებით კვალიფიკაციის ასამაღლებლად აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შევებულება არა უმეტეს ერთი სასწავლო წლის ვადით;
 - ე) განახორციელოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 50. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

- აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
 - ა) დაიცავს უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნები;
 - ბ) დაიცავს ეთიკის კოდექსს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
 - გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
 - დ) კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მუხლი 51. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ფაქულტეტების დეკანები და მათი მოადგილეები, უნივერსიტეტისა და ფაქულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.

2. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეული ან დანიშნული იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

3. მასწავლებლთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.

4. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ ნესდებით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

მუხლი 52. ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განათვისუფლების საფუძველი

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განათვისუფლების საფუძველია:

- ა) პირადი სურვილი;
- ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- გ) გარდაცვალება;
- დ) სასამართლოს მიერ ქმედუწიარად ან შეზღუდულქმედუწიარად აღიარება;
- ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები

მუხლი 53. თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. ადმინისტრაციული თანამდებობის პირს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა ან იყოს სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

2. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს ნარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

3. ნარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა.

**თავი VI
სტუდენტი**

მუხლი 54. უნივერსიტეტში სტუდენტად მიღება

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც "უმალესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტი წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.

2. უნივერსიტეტი მაგისტრატურაში მიღების წესს განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტის დებულება. უნივერსიტეტი დოქტორანტურაში მიღების წესს ადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დებულება.

მუხლი 55. სტუდენტის უფლებები

- უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:
 - მიიღოს ხარისხიანი განათლება;
 - მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მეცნიერულ კვლევაში;
 - უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;
 - საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს ნარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ნარმომადგენლობითი ორგანოებში;
 - თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
 - თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
 - საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
 - აირჩიოს სასწავლო პროგრამა;
 - მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;
 - პერსონალურად მოახდინოს უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
 - განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება;
 - მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები.
- უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სტიპენდიის დანიშვნის, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის თუ სხვა შეღავათების დადგენაში.

მუხლი 56. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაცვას უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი.

მუხლი 57. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება "უმალესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტი შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესით.

მუხლი 58. სტუდენტური თვითმმართველობა

- უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.
- ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა ნარმომადგენს უნივერსიტეტის თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.
- სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:
 - უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;
 - ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
 - ირჩევს ნარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;
 - უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გა-

საუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, ნარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;

- განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- მონაწილეობას იღებს სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმის განხილვაში.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.
- უნივერსიტეტის ბიუჯეტში სტუდენტური თვითმმართველობის ღონისძიებებისთვის განსაზღვრული ასიგნება არ უნდა იყოს უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავლების 1%-ზე ნაკლები.

მუხლი 59. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თავი VII

თსუ განათლების საფინანსო

მუხლი 60. განათლების საფინანსო

- თსუ-ში აკადემიური უმალესი განათლების მიღება შეიძლება ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი და სამსაფეხურიანი სწავლების საფუძველზე.
- აკადემიური უმალესი განათლების სამსაფეხურიანი სწავლების საფუძველია:
 - ბაკალავრიატი – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტსა;
 - მაგისტრატურა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტსა;
 - დოქტორანტურა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტსა.
- ერთსაფეხურიანი სწავლება თსუ-ში არის:
 - დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა (პროფესიული უმალესი განათლების პროგრამა).
 - დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა.

მუხლი 61. აკადემიური ხარისხის ან დიპლომის მინიჭება

- აკადემიურ ხარისხს ან დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომს უნივერსიტეტი ანიჭებს დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც საკმარისია სწავლების მოცემული საფეხურის დასასრულებლად.
- განათლების ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ თსუ გასცემს სათანადო დიპლომს სტანდარტული დანართით.

მუხლი 62. საპატიო დოქტორის წოდება

აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს, ფაკულტეტის წარდგინებით მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება პირს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი იმ მეცნიერებაში/მეცნიერებებში, რომელსაც ეს ფაკულტეტი წარმოადგენს.

მუხლი 63. ჯილდოები, მედლები

- სამეცნიერო, პედაგოგიურ ან/და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის უნივერსიტეტი ანიჭებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალს. გადაწყვეტილებას მედლის მინიჭების თაობაზე იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს ნარმომადგენლობითი საბჭო.
- უნივერსიტეტს შეუძლია აგრეთვე დაანუსოს სხვა ჯილდოები და მედლები.

თავი VIII

უნივერსიტეტის დაფინანსება, უნივერსიტეტის ქონება და სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 64. უნივერსიტეტის ბიუჯეტი

- უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის ნარმომადგენლობითი საბჭო.
- უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ნარმომადგენლობითი საბჭო.
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შეიმუშავებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგენს ნარმომადგენლობითი საბჭოს.
- ნარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს წარმოდგენილ ბიუჯეტს და ამტკიცებს მას ან შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
- თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დაეთანხმება წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტს შენიშვნების გათვალისწინებით ამტკიცებს ნარმომადგენლობითი საბჭო.
- იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ ეთანხმება წარმომადგენლობითი საბჭოს შენიშვნებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლება აქვს ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი აკადემიური საბჭოს წინადადებებითა და დასაბუთებული შენიშვნებით დასამტკიცებლად დაუბრუნოს ნარმომადგენლობითი საბჭოს.
- ნარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბიუჯეტის განმეორებით დაუმტკიცებლობა იწვევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტას და ბიუჯეტის დამტკიცება მოხდება ახალარჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 65. უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობა

უნივერსიტეტი - შეიძლება ეწეოდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამასთან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უნივერსიტეტი არსებითად არ უნდა გადავიდეს სამენარმოე საქმიანობაზე."

მუხლი 66. უნივერსიტეტის დაფინანსება

- უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაფინანსება ორიენტირებულია სწავლებაზე და სამეცნიერო კვლევაზე, ამ დაწესებულებისათვის კადრების მოზადებაზე, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
- უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:
 - სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით;
 - შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრე-

- ბი;
- კერძო გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
- საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
- დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნივერსიტეტის ფინანსები მოლიანად ხმარდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. უნივერსიტეტის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 67. უნივერსიტეტის ქონება

უნივერსიტეტის ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი ქონებისაგან.

მუხლი 68. უნივერსიტეტის ქონებით სარგებლობა

- სახელმწიფო კონტროლის განმარტული ორგანოს თანხმობით უნივერსიტეტს შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
 - უმრავი ქონების შექმნა, გასხვისება და დაციკლირება;
 - სესხის აღება;
 - თავდებობა;
 - საშტატო ვანრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა.
 - სხვა გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებით თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.
- ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.
- უნივერსიტეტის ქონების ან მისი ნაწილის შექმნა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სახელმწიფო კონტროლის განმარტული ორგანოსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სახელმწიფო კონტროლის განმარტული ორგანოს უარი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.

მუხლი 69. უნივერსიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონება

- დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაეცემა შესაბამისი ქონება.
- უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად უბრუნდება სახელმწიფოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 70. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლი

უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმარტული ორგანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, უფქტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს უნივერსიტეტს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოღვევნა.

მუხლი 71. უნივერსიტეტის ბალანსის შედგენა და შემოწმება

უნივერსიტეტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს შესაბამის სახელმწიფო კონტროლის განმარტული ორგანოს. უნივერსიტეტის წლიურ ბალანსს ამომწებს სახელმწიფო კონტროლის განმარტული ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

თავი IX

უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- მუხლი 72. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**
 - უნივერსიტეტის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
 - უნივერსიტეტის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით.

თავი X

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 73. უნივერსიტეტის წესდების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება

- უნივერსიტეტის წესდებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის ნარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
- უნივერსიტეტის წესდების მიღება, გაუქმება მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით, ნარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ეწინააღმდეგება ნარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ინგლისურ-ქართული ლექსიკონის XIII ტომის პრეზენტაცია

თამარ მარუაშვილი

11 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში ინგლისურ-ქართული ლექსიკონის XIII ტომის პრეზენტაცია გამართა.

„ეს ღონისძიება არ არის მხოლოდ ინგლისურ-ქართული ლექსიკონის XIII ტომის პრეზენტაცია, ეს არის ჩვენი ფაკულტეტის 22 წლიანი მუშაობის, საქმიანობის ანგარიში საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე.“

სასწავლო-სამეცნიერო ლექსიკოგრაფიული ცენტრი თსუ-ში სულ ცოტა ხნის წინათ დაარსდა, შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა – „ენა და ლექსიკოგრაფია“. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს თსუ ამ მამულიშვილურ საქმეს. ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე გაჩნდა ახალი პროფესია — ლექსიკოგრაფი. ლექსიკოგრაფის საქმიანობა არის ის „გასაღები“, რომლის საშუალებითაც საკუთარი ერი სხვა, მეორე ერის კულტურას, ტრადიციებს, ღირებულებებს ეზიარება. ეს უაღრესად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეა...“ — აღნიშნა პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

ქართულ ლექსიკოგრაფიას დიდი და მდიდარი ტრადიციები აქვს. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი ფუძვდება რა ქართული ლექსიკოგრაფიის მდიდარ ტრადიციებს, იგი, ამავე დროს, ახალი სიტყვაცაა ქართულ ორენოვან ლექსიკოგრაფიაში როგორც მოცულობით, ისე ლექსიკოგრაფიული პრინციპებით.

ლექსიკონი განკუთვნილია არა მხოლოდ ინგლისური ენის სპეციალისტებისთვის — ენათმეცნიერების, ლიტერატორების, მთარგმნელებისა თუ პედაგოგებისთვის, არამედ ინგლისური ენით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. ლექსიკონი დიდ სამსახურს გაუწევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებსაც, რამდენადაც მასში დიდი რაოდენობითაა შეტანილი როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ასევე ეკონომიკური, ხელოვნების თუ სხვა სფეროებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

ინგლისურ-ქართული ლექსიკონი XVIII ტომად გამოიცემა და 160 000 სიტყვა-სტატიას მოიცავს. ეს გახლავთ პირველი დიდი ორენოვანი ლექსიკონი ქართული ენისა ვეროპულენტთან მიმართებაში.

დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი გამოდის ნაკვეთებად, რვეულების სახით. დღესთვის გამოცემულია ლექსიკონის ცამეტი რვეული, პროექტი დასრულებულია სამ წელიწადში. მისი შექმნა ჯერჯერობით მხოლოდ ლექსიკოგრაფიის ცენტრში შეიძლება, რომელიც უახლოეს მომავალში მის ელექტრონულ ვერსიასაც შემოგვთავაზებს.

ლექსიკონზე მუშაობამ მთელი რიგი ეტაპები განვლო. მისი შექმნის იდეა გასული საუკუნის 60-იან წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე ჩაისახა. ქართველი მეცნიერისა და მთარგმნელის, იმდროინდელი კათედრის გამგის, პროფესორ გივი გაჩეჩილაძის ინიციატივით. თავდაპირველად ლექსიკონის შექმნას საფუძვლად გ. მიულერის ინგლისურ-რუსული ლექსიკონი დაედო, რომელიც ქართულად ითარგმნა. მოგვიანებით იგი ჩაანაცვლა გალპერინის ინგლისურ-რუსულმა ლექსიკონმა. გალპერინის ლექსიკონი გახდა დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ერთ-ერთი წყარო, ვინაიდან ლექსიკონის შესაქმნელად 150-ზე მეტი ლექსიკოგრაფიული წყარო გამოიყენეს.



1984 წელს ინგლისური ფილოლოგიის კათედრამ სარედაქციო სამუშაოებისა და მთლიანად პროექტის ხელმძღვანელად მიიწვია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თინათინ მარგალიტაძე.

ლექსიკონის პირველი პრეზენტაცია გაიმართა 1995 წლის ნოემბერში „ავაკასიურ სახლში“, მეორე და მესამე პრეზენტაცია 2006 წლის მაის-ივნისში მოეწყო სასტუმრო „შერატონ მეთეხი პალასში“, ამიტომ ძალიან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დღეს, პირველად, სწორედ საუნივერსიტეტო სივრცეში ხდება XIII ტომის პრეზენტაცია.

ინგლისურ-ქართული ლექსიკონმა წარმოშვა მეორე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელზე მუშაობა უკვე დასრულებულია. ეს არის დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი (140 000 სიტყვა) — ქართველი და ინგლისელი ლექსიკოგრაფების ერთობლივი პროექტი, რომელიც ბრიტანეთის მთავრობის გრანტით გამოიცა. ლექსიკონის მთავარი რედაქტორია ცნობილი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ რეიფილი.

ლექსიკოგრაფიული ცენტრი მუშაობს ორი მიმართულებით: ზოგადი და სპეციალიზებული

ლი ლექსიკოგრაფიის მიმართულებით. მიმდინარეობს მუშაობა ინგლისურ-ქართულ სასწავლო და ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონებზე. პრეზენტაციაზე ეს ლექსიკონები მაკეტების სახით იყო წარმოდგენილი.

ლექსიკოგრაფიული ცენტრის გეგმები მხოლოდ ინგლისურ-ქართული ლექსიკონების გამოცემით არ შემოიფარგლება. თსუ-ის სასწავლო-სამეცნიერო ლექსიკოგრაფიული ცენტრი სამომავლოდ აპირებს გამოსცეს ციკლი ევროპულ-ქართული ლექსიკონებისა.

„ნებისმიერი ენა მატარებელია ერის სულისა, ნებისმიერ ენაში განიფლებულია ერის კულტურა, მსოფლმხედველობა, ფასეულობები... ამიტომ ამ „მაგიასთან“ შეხება საპასუხისმგებლო და თანაც საპატიო საქმეა. ეს საქმე კი ვერაფრით იქნება მოსაწყენი, როგორც ზოგიერთი აღნიშნავს ხოლმე.“ — განაცხადა ქალბატონმა თინათინ მარგალიტაძემ, რომელმაც დიდი პატივისცემით და მადლიერებით მოიხსენია ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ავტორები: რედაქტორი გიორგი მელაძე, პროფესორი არიანე ჭანტურია, პროფესორი შუქია აფრიდონიძე, დოქტორი გელა ხუნდაძე, რედაქტორები: გულნარა ანთელავა, ნათია კვერნაძე, ხათუნა გურიელი და სხვები.

„ლექსიკოგრაფია მთლიანად მოიცავს ენას, ყველა მის სპექტრს, ამიტომ მისი

შეზღუდავი მიზანშეწონილი არ არის. ლექსიკოგრაფიული პრინციპების დამუშავებას ძალიან დიდი ცენტრის შექმნა სჭირდება, უნდა მოვიზიდოთ სპეციალისტები. თუ ლექსიკოგრაფიული საქმიანობა არ განვითარდა, ვერც ქართული ლინგვისტიკა განვითარდება. დიდი ძალისხმევა სჭირდება ამ საქმეს, ძალისხმევა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა,“ — განაცხადა პრეზენტაციაზე ენათმეცნიერმა, პროფესორმა ნათელა ქუთელიამ.

„ქართული მეცნიერებისთვის, კულტურის განვითარებისთვის წამოწყებულ მნიშვნელოვან საქმეს მართლაც დიდი სახელმწიფოებრივი თანადგომა სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ ვერ მოვახერხეთ ამ მხარდაჭერის მოპოვება. ქართველი მეცნიერები საკუთარი ძალებით ვეჭიდებით ამ დიდ საქმეს და მისი შუა გზაზე მიტოვება ყოვლად დაუშვებელია,“ — გულსიტყვილით აღნიშნა ქალბატონმა თინათინ მარგალიტაძემ, რომლის უდიდეს წვლილსა და ძალისხმევაზე, თავდაუზოგავ შრომასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა ინგლისურ-ქართული ლექსიკონის რედაქციის წევრმა, პროფესორმა შუქია აფრიდონიძემ.

თუ რაოდენ საქვეყნო და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრი თავისი მოღვაწეობით, ამას ის გამოხმაურებებიც ადასტურებს, რომლებსაც აღნიშნული ცენტრი არა მარტო ქართველი მეცნიერებისგან, არამედ უცხოელი, საერთაშორისო დონის სპეციალისტებისგანაც იღებს. ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰოვარდ ი. არონსონი თავის წერილში ასე მიმართავს ქართველ მეცნიერებს: „გილოცავთ თქვენ და მთელ სარედაქციო კოლეგიას ამ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას. უდავოდ ეს იქნება სრული ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც მნიშვნელოვნად დაჩრდილავს მსგავსი ლექსიკონის შექმნის ყველა ადრეულ მცდელობას... ეს ლექსიკონი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ქართველებისთვის, ასევე ქართული ენის ინგლისურენოვანი სპეციალისტებისთვის. ამგვარი ნაშრომის გარეშე ჩვენთვის ქართული ენის სიმდიდრე და მასში დაუნჯებული საგანძური მიუწვდომელი და შეუცნობელი დარჩება... ეს ლექსიკონი დიდად გააადვილებს ქართული ენის შესწავლის საქმეს და გახსნის კარს ქართული კულტურის საიდუმლოებათა უკეთ ჩასანვდომად და აღსაქმელად...“

ამ შეხედულებას იზიარებს კემბრიჯის უნივერსიტეტის დოქტორი ვივიენ ლოც: „მიიღეთ ჩემი გულწრფელი მილოცვა თქვენს ინგლისურ-ქართულ ლექსიკონთან დაკავშირებით. ეს უზარმაზარი პროექტია და მე გულწრფელად ვარ აღფრთოვანებული თქვენი გამბედაობით. სრულიად ნათელია, რომ სამუშაო სრულდება ძალზე დიდი გულსისყურითა და საქმის ჩინებული ცოდნით... წინამდებარე ლექსიკონი უაღრესად სასარგებლო იქნება ინგლისური ენის ქართველი სპეციალისტებისა და შემსწავლელთათვის...“

ინგლისურ-ქართული ლექსიკონის XIII ტომის პრეზენტაციამ საინტერესოდ ჩაიარა. ლექსიკოგრაფიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი მომავალში კიდევ ბევრ სახალისე მოგვთავაზებს, რომელიც ქართულ კულტურას, მეცნიერებას ახალ მწვერვალებზე აიყვანს და მომავალი თაობის გზამკვლევი გახდება ლექსიკოგრაფიის, ზოგადად ენათმეცნიერების ამოუწურავ შესაძლებლობებში.

ვიქტორინა-კონკურსის თემატიკა უნივერსიტეტის ისტორიას მიეძღვნა

შურთხია ბერძენიძე

11 ივნისს უნივერსიტეტის საექტორინი დაარსების ფოიეში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში გამართული ვიქტორინა-კონკურსის თემატიკა მთლიანად უნივერსიტეტის ისტორიას მიეძღვნა. კონკურსში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების გარდა სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ვიქტორინის მონაწილეებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე მიესალმა და მათ წარმატებები უსურვა.

ვიქტორინას ინტელექტუალურ თამაშებში დიდი გამოცდილების მქონე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი უძღვებოდა.

ვიქტორინა-კონკურსში ექვსი გუნდი მონაწილეობდა: „კანუდოსი“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), „ინტერი“ (იურიდიული ფაკულტეტი), „გუგულის ბუდე“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტები), „ბურძღვა“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, იურიდიული,

ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტები), „კარდუ“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და „პირველები“ (იურიდიული ფაკულტეტი).

თამაში თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. პირველი ხუთი კითხვის შემდეგ ხუთი ქულით „კანუდოსი“ დანინაურდა. მან მალაღი მარჯვენებელი მეორე და მესამე ტურებშიც საკმაო სხვაობით შეინარჩუნა. მეორე და მესამე ადგილებისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ „პირველები“, „გუგულის ბუდე“, და „კარდუ“.

როგორც მოსალოდნელი იყო, საბოლოო გამარჯვება ათი ქულით გუნდმა „კანუდოსი“ მოიპოვა. ცხრა ქულით მეორე ადგილი დაიკავა გუნდმა „გუგულის ბუდე“, 8-მ ქულით მესამე ადგილი გაიყვეს გუნდებმა „ინტერი“ და „პირველები“, მეოთხე ადგილი ერგო გუნდს „კარდუ“, მეექვსე ადგილი დაიკავა გუნდმა „ბურძღვა“.

თეიმურაზ პაპასქირის თქმით, ასეთი ტიპის ვიქტორინა უნივერსიტეტში პირველად ჩატარდა.

კონკურსში გამარჯვებული გუნდები ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ ნიგნები-თა და სამახსოვრო სიგელებით დააჯილდოვა.



მედია არის ინფორმაციის მოხრობა და არა რეკლამა

მანა ტორაძე

კონფერენციის ორგანიზატორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის დალი ჩიკვილაძის საკონფერენციო მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების 90-ე წლისთავს ეხმიანებოდა და უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ნიკოლოზ ცხვედაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხებოდა.

„ნიკო აღმაშენებელი“ — ასე უწოდებია ილია ჭავჭავაძის თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის — მომავალი უნივერსიტეტის მშენებლობის სულისჩამდგმელისთვის. მას უნივერსიტეტის მშენებლობა 35 ათასი მანეთით დაუწია, შეუძენია 14 400 საფენი მინა ვაკის „უდაბნოში“, „მელიქებისა და ტურების საუფლოში“ და 1900 წლის 14 ოქტომბერს მეცნიერების ტაძრის საძირკველიც გაუთხრა.

სწორედ ნიკო ცხვედაძის დაუღალავი შრომით და ქართველ მენარმეთა შემოწირულობებით აშენდა უნივერსიტეტის ის შენობა, რომელიც დღეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის საგანმანათლებლო კერას წარმოადგენს.

„ნიკო ცხვედაძეს სამაგალითო პედაგოგიური აზროვნება და უწინაპრების მახვილი კალამი გამოარჩევდა. მისი წერილები, ლექციები, მოხსენებები, პედაგოგიური ანგარიშები XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართულ პრესაში იბეჭდებოდა („დროება“, „ივერია“, „მოამბე“). მათგან აღსანიშნავია სტატია „დასავლეთი ევროპის გონებით და ეკონომიკური მოძრაობა თავისი მიზეზებით XVI საუკუნეში“ (ყურნ. „კრებული“, 1872წ., 10-12, 1873წ. 1). ეს სტატია გამოორჩევა ევროპის განათლების, კულტურისა და ეკონომიკური განვითარების კარგი ცოდნით, იმ სწორი საფუძვლის მიგნებით, რაც ევროპას საბერძნეთის ელინურმა კულტურამ მისცა და რასაც რენესანსი ეწოდა. ამასთან პაპის „უფლების თეორიის“ კრიტიკაც პირველად ქართულ პრესაში ამ სტატიით გაცხადდა. ნიკოლოზ ცხვედაძე ქართველთა შორის ერთ-ერთი პირველია, ვინც ევროპული რენესანსის საწყისად საბერძნეთისა და რომის კულტურა აღიარა“, — აღნიშნა მოხსენებში.

თვალსაზიროვნებით ქართველი მეცნიერის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფილიპე გოგიანიშვილის პუბლიცისტიკა განიხილა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა მარი წერეთელმა. მოხსენებაში ფართო სპექტრით იყო გაანალიზებული ფილიპე გოგიანიშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა მოსკოვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი ირინა ბაგრატიონ-მუხრანელი. მის მოხსენებაში „Грузия и кавказоведение в русском богословии, политике, журналистике и науке XIX века“, განათლებული იყო საქართველოს შესახებ რუსეთის მედიაში დაბეჭდილი მასალები XV საუკუნიდან XX საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ინტერესი გამოიწვია თსუ-ის ასოცირებული პროფესორის მარინე ლომიძის მოხსენებამ „სპინი“ და საზოგადოებრივი აზრი“, რომელიც ახალი ტერმინის — „სპინის“ განმარტება და უწინაპრების შეხედულებების ანალიზი იყო საუბარი. „სპინი“ ინგლისური სიტყვაა. ჩვენითვის შედარებით ახალია ტერმინი, თორემ სპინის არსის გაგება ძველია. ეკონომიკური კომუნიკაციის, ტექსტის სასურველი მიმართულებით წარმართვის ხელობა ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარებისთანავეა ცნობილი. სპინის შეთოდის ანალიზი და შეიძლება განვიხილოთ უწინაპრების მცოდნეობაში ტენდენციის გამჟღავნების ხერხებად წოდებული ზოგიერთი ფორმა (სათაური, სახეობა ნიშანი, კითხვის დასმის ნიმუში და სხვ.)“ — ნათქვამი იყო მოხსენებაში. მარინე ლომიძის გამოსვლაში დაკონკრეტებული იყო ამ მეთოდის გამოყენების მაგალითები ქართულ მედიაში. მან აუდიტორიას შესთავაზა სხვადასხვა მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკის ანალიზი, რომლითაც გამოიკვეთა მთავარი პრობლემა — „საკუთარი სიმართლე“, რომლის დროსაც, მომხსენებლის აზრით, ვიღებთ არა ჯანსაღ პლურალიზმს, არამედ მკვეთრი დაპირისპირების ფაქტორს. „დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ინფორმირებული მოქალაქეებია. ინფორმაციის ფლობა არათუ უფლება, მოვალეობაცაა. ამდენად, მედია, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ინსტიტუტი, მოვალეა, ყველა მისთვის არსებული რესურსით განახორციელოს უპ-

3-4 ივნისს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკის მიმართულებაზე გაიმართა უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი XIV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „მედია გუშინ, დღეს, ხვალ“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ურნალისტიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები, დოქტორანტიები, მოქმედი ურნალისტიკები და მოწვეული სტუმრები, მათ შორის, მოსკოვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი ირინა ბაგრატიონ-მუხრანელი.

მომხსენებლები აუდიტორიის წინაშე საინტერესო და მრავალფეროვანი თემატიკით წარდგინეს. მოხსენებათა თემატიკა შეეხებოდა როგორც ურნალისტიკის ისტორიას, ასევე თანამედროვეობას, მედიის სარეკლამო ენასა და სტილს, ურნალისტიკის განათლების საკითხებს, ბავშვთა საკითხების გაშუქებას მედიაში და თანამედროვე ურნალისტიკის სხვა პრობლემატიკას.



ირველესი ფუნქცია — ინფორმირება არა შერჩევით, შეზღუდულად, ვისამე გუნება-განწყობის შესაბამისად, არამედ საყოველთაოდ, ყოვლისმომცველად და გასაგებად“, — ითქვა მოხსენების დასკვნით ნაწილში.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის, ელზა ლომიძის მოხსენებაში „Русизмы в современной грузинской прессе от «текста-удовольствия» к тексту-наслаждения“, საუბარი იყო მომეტებულ „რუსიზმებზე“ ქართულ პრესაში. მომხსენებელმა, სათანადო მაგალითების განხილვით შემდეგ, რომელიც ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული მასალებიდან ამოკრებილ ფრაზებს მოიცავდა (მაგ: „სახლში მენვიე, შენი „სეკრეტარიც“ წამოიყვანე და მეზობელი შე-მიშინე“ („ალია“ 46); „რა ვენა, ძმაო, სიგარეტის „ბიჭოკებს“ პირდაპირ ქუჩაში ვისვრი“ („ალია“ 20); „თათარაშვილი ს ვეშაში“; „ცნობილი ქართველი მომღერალი თემურ თათარაშვილი 7 იანვარს ოჯახის წევრებთან ერთად „ვებოდაზე“ გაატარებს“ („ალია“ 1)), აღნიშნა, რომ ეს საკითხი მეცნიერებისგან სათანადო შესწავლას მოითხოვს. თავის მხრივ, მან დაასკვნა, რომ ქართულ პრესაში „რუსიზმების“ გამოყენების პრობლემას თავისი კანონზომიერება აქვს: „ავტორთა მიერ „რუსიზმები“ წარმატებით გამოიყენება ფრაზების ირონიული შეფერილობისთვის, რაც უზრალოდ „ირონიზმი“ გადაიზრდება. გამოყენებული „ირონიზმი“ ამსუბუქებს ავტორის მიმდებარე განსჯას“, — განაცხადა მკვლევარმა.

თანამედროვე სამაუწყებლო მედიის პრობლემებზე და ტენდენციებზე გამახვილდა ყურადღება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის ნინო ჭავჭავაძის მოხსენებაში: „არავერბალური კომუნიკაცია სატელევიზიო „ახალ ამბებში“. მკვლევარის ინტერესის საგანი ამჯერად კომუნიკატორი, ნამეყვანი, სატელევიზიო პერსონალიზაციაა. მან სათანადო მაგალითებზე დაყრდნობით ძალზე საინტერესოდ ისაუბრა არავერბალური კომუნიკაციის თემაზე, რაც ნაკლებად შესწავლილი თემაა.

აუდიტორიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის ირინა ლვინერიას მიერ წარმოდგენილი მოხსენებამ „ბავშვთა იდენტიფიკაციის საკითხი მედიაში“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მედიაში ბავშვთა უფლებები ხშირად ირღვევა და ამ თემაზე საინტერესო თვალსაზირობა მასსავე წარმოადგინა. მანვე განსაკუთრებით გამოკვეთა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საკითხების გაშუქების პრობლემა და დასკვნის სახით აუდიტორიას მისი გადაჭრის გზაც შესთავაზა: „თანამედროვე ქართული მედიის მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა ურნალისტიკები არ ფლობენ საკმარის უნარებს, რათა პროფესიონალურად გააშუქონ იმ ბავშ-

ვთა ცხოვრება, რომელთაც კანონთან პრობლემები აქვთ, იმის მიუხედავად, მსხვერპლის როლში არიან ისინი წარმოჩენილი თუ დამნაშავეს. არ არის საკმარისი, მოუწოდოთ მათ, არ გამოაქვეყნონ ბავშვების სურათები, ან მათი იდენტიფიკაციისთვის საკმარისი სხვა ინფორმაცია. საჭიროა, მიეცეთ სტუდენტ-ურნალისტიკებს საშუალება, თვითონ მივიდნენ დასკვნებამდე, თუ რა გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მედიაში ბავშვის ვინაობის გამჟღავნებას“.

აუდიტორიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოხსენებამ: „ბავშვებისა და დანაშაულის თემის გაშუქება ქართული მედიაში“, რომელიც ურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორმა დალი ოხენავილიმ წარმოადგინა. მან აუდიტორიას კვლევის შედეგები და საინტერესო სტატისტიკა შესთავაზა. როგორც აღინიშნა, 2007 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ამ თემაზე 189 სტატია დაიბეჭდა. აქედან 93 ეხებოდა დანაშაულს, 23 სექსუალურ ძალადობას, 31 განათლების საკითხებს, ხოლო 42 სხვა ისეთ თემებს, როგორცაა სახელმწიფოს ვალდებულებები და ბავშვები, შვილად აყვანის პრობლემა, მზრუნველობის მოკლებული ბავშვები და სხვ.

როგორც მოხსენებელმა აღნიშნა, კვლევის შედეგები მოწმობს, რომ ქართული ბეჭდური მედია დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვებისა და დანაშაულის თემას, ამიტომაც, პუბლიკაციების დიდი ნაწილი პირველ გვერდზეა განთავსებული.

კონკრეტული პუბლიკაციების ანალიზისა და სათანადო სტატისტიკის მოშველიების შედეგად მოხსენებელმა აუდიტორიას წარუდგინა დასკვნა, რომ ქართულ მედიაში შშირია ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები. „უდანაშაულობის პრეზუმციისა და კონფიდენციალურობის დარღვევა, როგორც დანაშაულში ეჭმიტანილი მოზარდის, ასევე მსხვერპლი ბავშვებისა, ერთ-ერთი უხეში შეცდომაა და ლახავს ბავშვთა უფლებებს“, — განაცხადა მან და იქვე აღნიშნა, რომ ამ კვლევის მიზანი იყო არა ერთი რომელიმე გაზეთის კრიტიკა, არამედ ზოგადი ტენდენციის ჩვენება, რომელიც თანამედროვე ქართულ მედიას ახასიათებს.

„ურნალისტიკური განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემები“ საინტერესოდ გააანალიზა ურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა ხათუნა ჩარკვიანი. „კვლევაში გვიჩვენა, რომ დღევანდელი ქართული მედია გავრცელებული მკვეთრად უარყოფითი მუხტით და ამ მუხტს ატარებს არა მხოლოდ ამბავი, რომელიც ურნალისტიკის მიერ შეუქმდება, არამედ თავად ურნალისტიკი. გაზეთების გამოცემები, გადაცემების პროდიუსერები და ავტორები ამ ფაქტს ხშირად იმით ხსნიან, რომ სენსაციური ამბის ამგვარად გაშუქება საზოგადოების დაკვეთაა. ასეთმა მიდგომამ უარყოფითი გავ-

ლენა იქონია საზოგადოების ცნობიერებაზე და შედეგად მივიღეთ ის, რომ დაიკარგა მოვლენათა პოზიტიური ხედვის უნარი“, — ნათქვამია მოხსენებაში. ამ პრობლემის მოგვარების გზად მკვლევარს საჭიროდ მიჩნია მედიასა და საზოგადოებას შორის წდობის ფაქტორის აღდგენა. მისი აზრით, ამ ნეგატიური ტენდენციის შეჩერება პროფესიონალი ურნალისტიკური კადრების აღზრდით, სათანადო ტრენინგ-სემინარების ჩატარებით და რეგიონული მედიის განვითარებით არის შესაძლებელი.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორის ლაშა ტულუშის გამოსვლამ, რომელიც თანამედროვე მედიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპექტებს შეეხებოდა. მოხსენებაში გაანალიზებული იყო საქართველოში თავისუფალი მედიის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები. კერძოდ, საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის არარსებობა, საკუთრების გამჭვირვალობა, პოლიტიკური ზეგავლენა ნამეყვანი ტელევიზიების მფლობელებზე, არაკონკურენტუნარიანი მედიაბაზარი, დოკაციური ტელევიზიების არსებობა, სარედაქციო დამოუკიდებლობა და სხვ. ლაშა ტულუშის თქმით, თუ მედიის თავისუფლებას ამ კუთხით შეეხება, ცხადი გახდება, რომ საქართველოში თავისუფლებისთვის საჭირო ძირითადი კომპონენტების არარსებობის გამო თავისუფალი მედია არ გვაქვს. მომხსენებელმა პარალელი გაავლო ბეჭდურ მედიასთან და აღნიშნა, რომ დღეს ის შედარებით თავისუფალია, რადგან ეკონომიკურად და პოლიტიკურად არ არიან დამოკიდებული პოლიტიკურ ძალებზე.

„რეზონანსის“ რედაქტორმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქართული ტელევიზიების მიერ არჩევნების გაშუქების პროცესში დაშვებულ შეცდომებს: „ტყუილად და გვიხატვს საზოგადოებრივი არხი დემოკრატიის შექმნად, რადგან მან არჩევნების გაშუქების არ დაიცვა მთავარი — არ გამოიჩინა ერთ-მანეთისგან ოფიციალური და პოლიტიკური ნაწილი, რაც ეუთოს შეთანხმების მიხედვით უნდა გაკეთებულიყო. საინფორმაციო გამოშვების ოფიციალურ ბლოკში არ მგონია დღეს ვინმეს აინტერესებდეს, ვინ გახსნა ეს თუ ის ბუჩქი, ან პირველმა ვინ გაიპარა წვერი რომელიმე ახლად გახსნილ სადამსჯელო (თუნდაც ეს იყოს დეპუტატობის კანდიდატი). არადა, ასეთ ინფორმაციებს გვთავაზობდა ეს არხი ოფიციალურ ნაწილში და მიერ ამს საარჩევნო რეკლამაში არ თვლიდა. კიდევ უფრო უარესს აკეთებდა კერძო ტელევიზია“, — განაცხადა ლაშა ტულუშმა, რომელმაც თანამედროვე მედიის პრობლემების საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ აუდიტორიას ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზებიც შესთავაზა: „არსებობს ძალიან საშიში ტენდენცია — მედიის მიმართ ბრალდება, რომელიც ასე უღერს — „ესა თუ ის ტელევიზია (ან სხვა მედიასაშუალება) კი არ ასახავს რეალობას, არამედ ქმნის მას“. ამ მოტივით დახურეს „იმედი“ და ეს ბრალდება ასეთივე წარმატებით შეიძლება გამოიყენონ სხვა მედიასაშუალებების მიმართ. ამიტომ საჭიროა, ურნალისტიკამ საკუთარი უფლებები დაცვა და კოლეგიალური გახდეს, რაც ძლიერი მედიაციონანია ციციების შექმნით შეიძლება მივაღწიოთ“.

უნდა შეწყდეს აგრესია უცხოური კაპიტალის და ინვესტიციების მიმართ. ამის გარეშე ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ძალიან გააკვირვებდა.

უნდა გაგრძელდეს დისკუსიები და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვიდეთ იმ მოსაზრების ტყვეობიდან, რომ მედია არის რეკლამის ფაქტორი და იარაღი. ჩვენ უნდა შევქმნათ დაბალანსებული და პლურალისტური გარემო იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავუშვათ ამას სერტილი. ვერ განვითარდებით, თუ დავიჯერებთ, რომ ტელევიზია არის „ისკრა“, „გუშავი“ და ა.შ. ეს თუ არ გავაკეთებთ, ყოველთვის გვექნება მედიის შიში და არა მის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება — რომ მედია არის ინფორმაციის მომწოდებელი და არა რეკლამის მომწოდებელი, ან ხელისუფლების გამამტრიალებელი“, — ითქვა მოხსენების დასკვნით ნაწილში.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდნენ აგრეთვე ხათუნა კაჭარავა („თანამედროვე ქართული დოკუმენტური ფილმი სატელევიზიო სივრცეში“), მერი ტორაძე („რაციონალიზაცია ტიციან ტაბიძის პუბლიცისტიკაში“), პაატა ნაცვლიშვილი („ურნალისტიკის ფილოსოფია და ურნალისტიკის არქეოლოგია“), რეზო ჯორბენაძე („ისტორიული ჯგუფური ფანტაზიის“ მეთოდით პრესის შესწავლა“), ჯილადა ასათიანი („საინფორმაციო სააგენტოები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“), როზეტა დანელია (მედიამგანატივი და იმპერიები“).

როგორ დავეხმაროთ სიღარიბეს?

მეცნიერ-ეკონომისტთა რეკომენდაციები

16 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა“, რომელიც ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის დეპარტამენტმა მოაწყო და მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და თსუ-ის დაარსების 90 წლისთავს. კონფერენციაში თსუ-სთან ერთად მონაწილეობდნენ სოხუ-მის, გორის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების, ბათუმის საზღვაო აკადემიის, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების

სამინისტროს, აგრეთვე ბიზნესის სფეროს 100-ზე მეტი წარმომადგენელი და სტუდენტი.

კონფერენციაზე მოხსენებები გამოავლინეს და მონაწილეობა მიიღეს ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტთან სისტემატური სამეცნიერო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს ISAC-ის (იმპატიური მოდელირებისა და საქმიანი თამაშების მსოფლიო ასოციაცია) იტალიის განყოფილების პრეზიდენტმა, პროფესორმა ჯორჯო პანციმ, ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრა ფილიმონოვამ და ეკონომიკისა და ბიზნესის კათედრის გამგემ, პროფესორმა ზაურ მენაბდეძემ.

კონფერენციაზე, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ხელისუფლების ინიციატივის — „ერთიანი საქართველოს სიღარიბის გარეშე“ მხარდაჭერა, განიხილეს სიღარიბის დაძლევის და ხალხის ცხოვრების დონის

ამაღლებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები. კონფერენციის რეგლამენტი ითვალისწინებდა როგორც პლენარულ, ისე სექციებში მუშაობას. მოხსენიეს 68 მოხსენებლის 54 მოხსენება.

კონფერენცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამლეთ ჯანჯღავამ გახსნა. მონაწილეებს მიესალმა ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეიმურაზ შენგელია. კონფერენციის მიზნებსა და ამოცანებზე, აგრეთვე მუშაობის რეგლამენტზე ისაუბრა კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ ვასილ ლობჯანიძემ.

აღინიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში ფუნქციონირებს ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მთავარი მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის მოთხოვნების შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის, აგრეთვე თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ბიზნესის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის ხელშეწყობა, რომელიც ქვეყნის სტრატეგიული ამოცანის — „ერთიანი საქართველოს სიღარიბის გარეშე“ წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ამასთან ერთად, კონფერენცია მიზნად ისახავდა ქართველი მეცნიერ-ეკონომისტებისა და ბიზნესმენების დაახლოებას და მათი კავშირების განვითარებას მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მეცნიერთან. კონფერენციებს შორის პერიოდში გათვალისწინებულია მრავალი მავიდის მუშაობა (ელექტრონული ფოსტის და საზოგადოებრივი მაუწყებლობის დახმარებით). ეს ქართველ და სხვა ქვეყნების მონაწილე მეცნიერ-ეკონომისტებს საშუალებას მისცემთ სისტემატურად იმსჯელონ ბიზნესის როლზე თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გლობალური პრობლემის — სიღარიბის დაძლევისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების — გადაწყვეტის საკითხებზე და ხელისუფლებას და მთლიანად საზოგადოებას მიანოდონ თავიანთი რეკომენდაციები.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებლებმა (რევაზ გველეხიანმა, გულნაზ ერქომაიშვილმა, დემნა კვარაცხელიამ, პაატა კოლუაშვილმა, ვასილ ლობჯანიძემ, უშანგი სამადაშვილმა, ლარისა ყორღანაშვილმა, თეიმურაზ შენგელიამ, გიორგი შიხაშვილმა) ყურადღება გაამახვილეს სიღარიბის პრობლემაზე მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში. მათ აღნიშნეს, რომ სიღარიბის დაძლევა მიეკუთვნება მსოფლიოს გლობალური პრობლემების რიცხვს, რაც ნებისმიერ ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მუდმივ ზრუნვას მოითხოვს. მოხსენებლებმა განიხილეს სიღარიბის და ცხოვრების დონის მდგომარეობა საქართველოში, წარმოადგინეს ამ პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგია და მიმართულებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლების მიზნობრივი პროგრამის წარმატებით შესრულებას. მათ მრავალი საინტერესო რეკომენდაცია წარმოადგინეს, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს სიღ-

არიბის აღმოფხვრას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარებას, დემოკრატიის განმტკიცებასა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, ქვეყნის მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში ინტეგრირებას. გამომსვლელთა აზრით, ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მთავარი ფაქტორია მატერიალური და ფინანსური რესურსებით დასაბუთებული სიღარიბის აღმოფხვრის და ცხოვრების დონის ამაღლების სტრატეგიის მაღალ მეცნიერულ დონეზე განსაზღვრა და მისი შესრულების სწორი ორგანიზება.

I სექციაზე — „ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში და მისი პერსპექტივები“ (სექციის ხელმძღვანელი ვასილ ლობჯანიძე) მოხსენებებით გამოვიდნენ: მაია ვეშაგური, ლარისა თაკალანძე, ირმა კაპანაძე, ვასილ ლობჯანიძე, ეკატერინე ვილი, ირინე მამამთავრიშვილი, რომან მამულაძე, ჯუმბერ ვარდმანიძე, თეა მუხეიშვილი, გიორგი ნანუაშვილი, მარინა ნანუაშვილი, მარინა ნაცვალაძე, დავით სიხარულიძე, გიული ქველაშვილი, შოთა შაბურიშვილი, რუსუდან მაისურაძე, მარინა ჩავლეიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ელისაბედ ხახუტაშვილი.

II სექციაზე — „ბიზნესის გარემო საქართველოში და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“ (სექციის ხელმძღვანელი ლარისა ყორღანაშვილი) მოხსენებით გამოვიდნენ: ვახტანგ ანთია, ბესიკ ბოლქვაძე, ანზორ დევიძე, ემირ ეთერია, ნაზირა კაკულია, ნუგზარ თოდუა, დინარა ლომინაძე, იოსებ მასურაშვილი, ბაბუია მღებრიშვილი, ნინო პაპაჩაშვილი, შოთა შაბურიშვილი, გოდერძი შანიძე, გიორგი ცაავა, კახაბერ ციმიცია, ჯამლეთ ჯანჯღავა.

III სექციაზე — „ბიზნესის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში“ (ხელმძღვანელი გულნაზ ერქომაიშვილი) მოხსენებით გამოვიდნენ: ნინო აბესაძე, რუსუდან ქინკლაძე, ციალა ბენაშვილი, ელენე ამირჯიანი, კარინა ბერძენიშვილი, შალვა გოგიაშვილი, ეკატერინე გულუა, ფანა თოლორაძე, ნინო ფარესაშვილი, რამაზ ფუტყარაძე, ლილია ქადაგიშვილი, დავით შაბურიშვილი, ირმა ჩხაიძე, ბადრი გეჩიაია, ლალი ხიხაძე, ლელა ჯამაგიაძე.

სექციებში მუშაობის დამთავრების შემდეგ მოენყო მრავალი მავიდა (წამყვანები: ვასილ ლობჯანიძე, შოთა შაბურიშვილი, პაატა კოლუაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი). მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს კონფერენციის მუშაობა და დაგეგმეს კონფერენციის ყოველწლიური ჩატარება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა რეგიონიდან, მათ შორის, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან (ცხინვალის პროვინიდან), ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებიდან, ბიზნეს ცენტრებიდან და ბიზნეს კომპანიებიდან. სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები გამოქვეყნდება კრებულის სახით, რომელშიც კონფერენციის მონაწილეთა რეკომენდაციებიც შევა.

პასილ ლობჯანიძე,
პროფესორი



თსუ-ის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები მედისინის ფაკულტეტზე

თსუ-ის 90 წლის საიუბილეო ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში მედიცინის ფაკულტეტზე განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ამ თემაზე თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ცინსპარჩიძე გვსაუბრობს:

— მედიცინის ფაკულტეტის მონაწილეთა თბილისის ესტუმრა ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პოსტიტალის ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი ნეიროტრანსპლანტაციის მიმართულებით და ერთ-ერთი წამყვანი ექიმი ნეიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობის სფეროში პროფესორი ულე ლინდვალი. მონაწილეობდა პროფესორმა ქართველ კოლეგებსა და სტუდენტებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „თავის ტვინის დაავადებების მკურნალობა ლეროვანი უჯრედებით — რეალობა თუ ფიქცია?“

მედიცინის ფაკულტეტის დეპარტამენტების ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები, რომელიც მიეძღვნა მედიცინის აქტუალურ საკითხებს. რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემატიკა დაედო საფუძველად კონფერენციას „რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები და პერსპექტივები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებმა. მოხსენებელთა შორის იყვნენ: რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი სანდრა-ელისაბედ რულოვსკი, ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის, ა. ნულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის, ა. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

მედიცინის ფაკულტეტის დეპარტამენტების ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები: „ბადარი გარისი და მინსებრი სხეულის ქირურგია“ (ოფთალმოლოგიის დეპარტამენტი, პროფესორი მ. ოშიაძე), „უროლოგიის აქტუალური საკითხები“ (უროლოგიის დეპარტამენტი, პროფესორი ლ. მანაგაძე) და საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი, პროფესორი გ. გალდავა). საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა მიიღეს დარგის გამოჩენილმა უცხოელმა ექსპერტებმა.

საიუბილეო ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში მედიცინის ფაკულტეტზე ჩატარდა ლექციათა ციკლი თემაზე: „ცხოვრების ჯანსაღი წესი“. ფაკულტეტის პროფესორებ-

მა თენგიზ ცერცვაძემ, ჯენარო ქრისტესაშვილმა, პაატა იმნაძემ, გიორგი გალდავამ სტუდენტებს წაუკითხეს ლექციები შიდსის, ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის, რეპროდუქციული სისტემაზე სქესობრივი გზით გადადებელი დაავადებების გავლენისა და მისი პროფილაქტიკის, ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ.

ჩვენთვის, როგორც ექიმებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უფასო სამედიცინო კონსულტაციების ჩატარება მოსახლეობისთვის. პუბლიკარული აქცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში. პაციენტებს კონსულტაციები ჩაუტარეს ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის, თერაპიის, ქირურგიის, ოფთალმოლოგიის, გინეკოლოგიისა და რეპროდუქციოლოგიის დეპარტამენტების თანამშრომლებმა (პროფესორი მ. შაქარშივილი, ასოცირებული პროფესორი დ. გუგუცია, მედიცინის დოქტორი მ. კეზელი, მედიცინის დოქტორი ნ. კვიციანი, ასოცირებული პროფესორი დ. გიგინეიშვილი, პროფესორი ბ. ქობულა, პროფესორი ბ. წინამძღვრიშვილი, ასოცირებული პროფესორი პ. მაჭავარიანი, ასისტენტ პროფესორი გ. აბულაძე, ასისტენტ პროფესორი ნ. მამამთავრიშვილი, მედიცინის დოქტორი ე. გიორგაძე, მედიცინის დოქტორი

ქ. ასათიანი, მედიცინის დოქტორი მ. ლომიძე, მედიცინის დოქტორი მ. კორინთელი, ნ. ჯიქურაული, ასოცირებული პროფესორი ა. გვენეტაძე, პროფესორი მ. კილაძე, პროფესორი ზ. ჩხაიძე, პროფესორი მ. ოშიაძე, ასოცირებული პროფესორი ნ. ანთივაცია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, მედიცინის დოქტორმა გურამ ქარაზანაშვილმა. აქციას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა გაეროს ფონდმა. უფასო სამედიცინო კონსულტაციები ჩატარდა უროლოგიის, დერმატოვენეროლოგიის, პედიატრიის, სტომატოლოგიის დეპარტამენტების თანამშრომლების (პროფესორი ლ. მანაგაძე, ასოცირებული პროფესორი თ. ჩიგოგიძე, მედიცინის დოქტორი, პროფესორი რ. ქარსელაძე, ასოცირებული პროფესორი ლ. ჟორჯოლიანი, ასისტენტ პროფესორი ბარაბაძე, პროფესორი გ. გალდავა, ასოცირებული პროფესორი თ. ქიტუაშვილი, პროფესორი მ. მარგველაშვილი) მიერ. თითოეულმა თანამშრომელმა 40-50 პაციენტი მიიღო.

საიუბილეო წლის ბოლომდე მედიცინის ფაკულტეტს კიდევ სხვა ღონისძიებები აქვს დაგეგმილი, რომელთა განხორციელება, ვფიქრობთ, საინტერესო და ღირებული იქნება როგორც აკადემიური სფეროსთვის, ისე, ზოგადად, მოსახლეობისთვის.

ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები

სათუნა ხატიაშვილი

28 მაისს იენის უნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ჰერბერტ ვიტტე და ილმენაუს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი კლაუს აუგსტურგი ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ესტუმრნენ.

უცხოელი სტუმრები თსუ-ის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას შეხვდნენ, რის შემდეგაც პროფესორი ჰერბერტ ვიტტე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული დეპარტამენტების ხელმძღვანელების წინაშე მოხსენებით წარდგა.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პრორექტორს, პროფესორ ჰერბერტ ვიტტეს ესაუბრა:

— საინტერესოა, თქვენსა და თსუ-ის

რექტორ გიორგი ხუბუას შორის გამართული შეხვედრის დეტალები. რას გულისხმობს ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოება, რომელიც ახლო მომავალში იგეგმება?

— ჩვენი სტუმრობის მიზანია ფედერაციული მხარის ტურინგენის უნივერსიტეტებსა და თსუ-ს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავება. არსებობს ტრადიციული კავშირები, განსაკუთრებით, იენის უნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რაც ორმხრივ კავშირებს განსაკუთრებულად ანიჭებს. საქართველოში პირველად 30 წლის წინ, სტუდენტობის პერიოდში ვიყავი და ბიოლოგიის სფეროში ბევრი რამ შევისწავლე. ჩვენი სურვილია, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტსა და თსუ-ის შორის ორმხრივი ურთიერთობა სხვადასხვა სფეროში გაფართოვდეს, მაგრამ პირველ რიგში თანამშრომლობა კონკრეტული საკითხებიდან უნდა დაიწყო. თსუ-ის რექტორი იენაში რამდენიმე წლის წინ იმყოფებოდა და დღევანდელ შეხვედრაზე სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ წინადადებებზე ვისაუბრეთ.

— რა აზრის ხართ თავად საქართველოზე

და როგორ აფასებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ამჟამინდელ ვითარებას? შეიძლება თუ არა წინსვლა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიმართულებით?

— ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა. ბოლოს საქართველოში 2006 წელს ვიყავი და მას შემდეგ წინსვლის თვალსაზრისით ბევრი რამ შეინიშნება.

ასევე გავცანი იმ აქტივობებს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარემონტო სამუშაოებს უკავშირდება. თსუ-ის რექტორისგან ვიცი, რომ 4-5 წელიწადში ახალი საუნივერსიტეტო ქალაქი გაშენდება, რაც მეტად სასიხარულოა. ჩვენი უნივერსიტეტის ახალი კორპუსი 7-8 წლის წინათ ჩაიბარა და უნდა გითხრათ, რომ ახალ შენობასა და აუდიტორიებში გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის განხორციელება ძალზე სასიამოვნოა. აღსანიშნავია, რომ მე და ბატონი გიორგი ხუბუა რექტორატებსა და ადმინისტრაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ შევთანხმდით. ჩვენი სურვილია, სისტემატიური შეხვედრების ორგანიზება



რექტორატებსა და საგარეო დეპარტამენტებს შორის. ორმხრივი ურთიერთობებს გააფართოვებთ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის სხვა დეპარტამენტებთანაც.

გერმანიის საელჩო სტუდენტების დასაქმების კონკურსს აცხადებს

სათუნა ხატიაშვილი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამის ფარგლებში დასაქმების მიზნით სტუდენტების მეოთხე ჯგუფის შესარჩევ კონკურსს აცხადებს.

13 იენის იენის უნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანიის პარლამენტის (ბუნდესტაგი) სტიპენდიის პროგრამის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია“ (IES) შესახებ გერმანულენოვან სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს საელჩოს მეორე მდივანმა, დოქტორმა თომას ჰენცელმა და მესამე მდივანმა ეკონომიკურ, კულტურისა და პრესის საკითხებში ჯესიკა ფერნანდესმა.

გერმანიის ბუნდესტაგი ბერლინის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ 100 ახალგაზრდას 21 სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად აძლევს იშვიათ შესაძლე-



ბლობას, უშუალოდ გაცნონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს, შეიძინონ საპარლამენტო სფეროში პრაქტიკული გამოცდილება.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება პროგრამის მიზნებსა და 2009 წელს მასში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის შეტანის პროცედურების შესახებ ინფორმაციის გაცნობას დაეთმო. ითქვა, რომ საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც კარგად ფლობს გერმანულ ენას. 2009 წლის სტიპენდიის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადები გერმანიის საელჩოში მიიღება.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პროგრამა „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია“ (IES) დღემდე 1246 სტუდენტმა გაიარა, რომელთაგან 24 ქართველი იყო. იგი გრძელვადიანი პროგრამაა და ახალგაზრდა საზოგადოებისთვის დემოკრატიისადმი ინტერესის ამაღლებას ითვალისწინებს.

„გერმანიის საპარლამენტო საქმიანობის ახლოს გაცნობა სტუდენტებს საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პროცესებში მონაწილეობის სურვილის გაღვივებაში უწყ-

ობს ხელს. IES გრძელვადიანი ინვესტიციაა დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების, ევროპაში კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების განმტკიცების საქმეში“, — აღნიშნა დაინტერესებულ ახალგაზრდებთან შეხვედრისას დოქტორმა თომას ჰენცელმა.

პროგრამის ფარგლებში მზავრობის, ბინის, კვების, დაზღვევისა და ყოველთვიური სტიპენდიის (თვეში 450 ევრო) ხარჯებს გერმანიის ბუნდესტაგი გაიღებს.

15 კვირიანი დასაქმებისთვის სტიპენდიანტებს შეარჩევს გერმანიის ბუნდესტაგის დამოუკიდებელი კომისია. სტიპენდიანტების მსურველებისთვის აუცილებელი წინაპირობებია: საქართველოს მოქალაქეობა, სრული უმაღლესი განათლება, გერმანული ენის ძალიან კარგი ცოდნა, 30 წლამდე ასაკი სასტიპენდიო პროგრამის დასაწყისში. განაცხადის საელჩოში შეტანის ბოლო ვადა 30 ივნისია.

„საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ინტერნეტ ვებ-გვერდებზე: www.bundstag.de/ips www.tiflis.diplo.de

კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო

სამეცნიერო კონფერენცია ბათუმში

იენის უნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების, ახალგაზრდული კლუბი „თაობა“-ს და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით (იენის ავტორები: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები — ციალა ქათამიძე, ილია გუჩმაზიძე, ბონდო თედორაძე) 14-17 მაისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო“, რომელიც მონაწილეობდნენ ბათუმის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები და პროფესორები, ასევე, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი, საქართველოს ევროპული მოძრაობის თავმჯდომარე ვასილ ჭყოიძე და თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების თავმჯდომარე ტარიელ კვიციანი.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექს ბაკურიძემ. მან ისაუბრა კონფერენციის თემაზე აქტუალობაზე და იმდე გამოთქვა, რომ ასეთი ღონისძიებები კიდევ უფრო ხშირად გამართება. კონფერენციაზე ბათუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორმა მურმან გორგოშიძემ ნაიკითხა მოხსენება

თემაზე — „კოსოვოს პრობლემა — სამართალი თუ პოლიტიკა“, პროფესორმა ირაკლი მანველიძემ და მერაბ ხალვაშმა წარმოადგინეს ერთობლივი მოხსენება თემაზე — „კოსოვოს პრობლემა საერთაშორისო ასპექტში“, პროფესორმა ლევან ჯაყელმა ნაიკითხა მოხსენება თემაზე — „კოსოვოს პრეცედენტი და თანამედროვე საერთაშორისო მართლმწიფი“. საინტერესო მოხსენებები ნაიკითხეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტებმა: ბონდო თედორაძემ — „საერთაშორისო პოლიტიკა და არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტები“, ილია გუჩმაზიძემ — „კოსოვოს პრეცედენტი — საქართველოსათვის“, აბელ სალაძემ — „კოსოვო — კონფლიქტიდან დამოუკიდებლობამდე“, თსუ-ის IV კურსის სტუდენტებმა: ირაკლი ჟორჟოლიანმა — „კოსოვოს დამოუკიდებლობა“ (ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები), დიმიტრი სილაქაძემ — „ქართული სამშვიდობო მისია კოსოვოში“, ვასილ პაპიაშვილმა — „პარალელური კოსოვოსა და ყარაბაღის კონფლიქტებს შორის“.

აღსანიშნავია, რომ მოხსენებები მოიცავდა კოსოვოს დამოუკიდებლობის სამართლებრივ, სამხედრო-პოლიტიკურ, ისტორიულ და ეთნიკურ ასპექტებს, ასევე პარალელური გაკეთდა სხვადასხვა კონფლიქტებთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხებზე დისკუსიამ საინტერესო ხასიათი მიიღო, ძირითადად დებატები გამართა საკითხზე — ეს პრეცედენტი როგორ გავლენას მოახდენს საქართველოში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. კონფერენციის დასასრულს

მონაწილეთა საერთო აზრი დაფიქსირდა კომუნიკეში, სადაც წერია, რომ კოსოვოს პრეცედენტი არ შეიძლება გატარდეს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რადგანაც აქ სრულიად სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე როგორც სამართლებრივი, ასევე ისტორიულ და ეთნიკური თვალსაზრისით.

სამეცნიერო კონფერენციის მონაწი-

ლებს გადაეცათ სერტიფიკატი და სამაგისტრო საჩუქრები. დაიგეგმა, რომ უახლოეს მომავალში სამეცნიერო კრებულის სახით გამოიცეს კონფერენციის მასალები.

დიმიტრი სილაქაძე, თსუ-ის IV კურსის სტუდენტი



თარგმანთან დაკავშირებული საჭირობოროტო საკითხები

ხათუნა ხატიანაშვილი

სამაგისტრო პროგრამა „თარგმანის ხელოვნება“ თსუ-ში 2005 წლიდან ხორციელდება. ამ პროგრამის ფარგლებში პროფესორ-მასწავლებელთა საუკეთესო გუნდი ახალგაზრდა სპეციალისტების მოსამზადებლად არსებულ პოტენციალს შესაძლებელზე მეტად იყენებს.



2 ივნისს პროგრამის აკადემიურმა წრემ, მიმდინარე სემესტრში ჩარიცხულმა 8 მაგისტრანტმა და მეცნიერების ამ დარგთან დაკავშირებულმა საზოგადოებამ სპეციალური სხდომა გამართა, რომელზეც ფართოდ განიხილეს თარგმანთან დაკავშირებული საჭირობოროტო საკითხები. ღონისძიების პრაქტიკული და მხატვრული ელფერის მისაცემად კი ამ პროგრამაში მონაწილე სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მათ მიერ შესრულებული პოეტური თარგმანები წაიკითხეს.

ის, რომ უდიდესი გამოცდილების პროფესორები: ინესა მერაბიშვილი, დალი ფანჯიკიძე, თინათინ მარგალიტაძე, ელგუჯა ხინთიბიძე, კახა ლორია, ლადო მინაშვილი, იუზა ევგენიძე,

ლალი კერესელიძე, ნუგზარ რუხაძე და ინესა კიკნაძე დღეს ახალგაზრდებს თარგმანის ხელოვნებაში კლასიკური განათლებისკენ გზას უკვალავენ, სალი აზრის გამარჯვებას ადასტურებს. პროფესორთა ასეთი ძლიერ გუნდს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს გამოცდილი ინგლისელი პედაგოგი ლილია ვესტი. ამ პროგრამის ყველაზე ახალგაზრდა პედაგოგი კი ლელა ებრაღიძეა, რომელიც თავად არის მთარგმნელი და მკვლევარი.

ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურა ხელოვნების ერთადერთი დარგია, რომელიც, როგორც სიტყვაზე აგებული და ნაშენი, საკუთარ საზღვრებშია მოქცეული და მხოლოდ ერთი ენის მფლობელისთვის არის გასაგები. ამის მიუხედავად, მხატვრული ლიტერატურა, როგორც ხელოვნება, გასცდა ყველა საზღვარს და მთელი მსოფლიო მოიცვა. ეს მხოლოდ თარგმანის საშუალებით მოხდა. ასე რომ არ იყოს, ქართველებს არ გვეცოდინებოდა არც დანტე, არც სერვანტესი, არც შექსპირი, არც ბაირონი...

სამაგისტრო პროგრამა „თარგმანის ხელოვნების“ ხელმძღვანელის, პროფესორ ინესა მერაბიშვილის თქმით, საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობა ქართული მწერლობის განვითარების სათავეებთან დგას. თავად თარგმნის საქმიანობა კი პეროდოტეს ცნობით, ჯერ კიდევ ჩვენს ნელთადრიცხვამდე VIII საუკუნეში ყოფილა ფეხმოკიდებული. ქართული მთარგმნელობითი ტრადიციების ერთ-ერთ მწვერვალად XII საუკუნეში შესრულებულ სპარსულ „ვისრამინი“-ს პროზაულ ვარიანტს მიიჩნევენ.

„რა თქმა უნდა, შექსპირის მარაბლისეული თარგმანის ღირებულება ყველას მშვენივრად მოეხსენება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შექსპირი ხელახლა შესასწავლი და გადასახვედი არ არის. ეს ეხება სონეტებსაც, რომელიც XX საუკუნეში ორჯერ გამოიცა ჯერ გივი გაჩეჩილაძის, შემდეგ კი რევაზ თაბუკაშვილის თარგმანში. ანგო გაჩეჩილაძე არის პირველი ქართველი ანგლისტი, პროფესორი, მთარგმნელი, რომელმაც მეცნიერული ცოდნა ევროპისა და რუსეთის კვლევის თანადროულად დაამკვიდრა საქართველოში. მისი თარგმანის თეორია 1959 წელს გამოიცა. ეს სწორედ ის დროა, როცა ანდრეი ფედოროვი რუსეთში აქვეყნებს თარგმანის თეორიას, ამერიკაში იუჯინ ნაიდა გამოდის ასპარეზზე, ბრიტანეთში — პიტერ ნიუმარკი“, — აღნიშნა ინესა მერაბიშვილი.

თარგმანის ხელოვნებაში სამეცნიერო კვლევისა და მხატვრული შემოქმედების დაახ-

ლოება თანამედროვე სპეციალისტებისთვის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს. მხატვრული თარგმანი ხშირად შემოქმედებით საქმიანობად განიხილება, მაგრამ ის რეალურად ფილოლოგიური გამოკვლევისა და არტიტული შესრულების ერთობას წარმოადგენს და სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართოს მომავალი საქმიანობა ახალგაზრდა თაობამ.

როდესაც საკითხი პოეტური ნაწარმოების თარგმანს ეხება, პირველ რიგში, რასაც სპეციალისტები ასწავლიან სტუდენტებს, ის არის, რომ ლექსიდან ჯერ ლექსი უნდა შეიქმნას, ხოლო შემდეგ ყოველივე ის, რასაც ტექსტის შინაარსობრივი პარამეტრები ჰქვია, რომ აღარაფერი ვთქვათ ბგერწერაზე, რიტმსა და პარამონიაზე. თუ ლექსი არ გაქვს, ბუნებრივად, პოეტური თარგმანი ვერ შედგება. ხშირია შემთხვევები, როდესაც თარგმანი ლექსად კარგად არის შესრულებული, მაგრამ მისი ავტორის, ანუ დედნისეული ღირებულებები დაკარგულია.

„მაშინ, როცა სამყარო განსაკუთრებულად პრავდატული ხდება, დარგობრივი თარგმანი ყურადღების მიღმა ვერ დარჩება. ადრე თსუ-ში ხელოვნების ფაკულტეტზე დარგობრივი თარგმანის კათედრა მუშაობდა, რომელიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ რექტორის გიორგი ხუბუას და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გულნაზ გალდავას დიდი ყურადღებითა და აკადემიური მხარდაჭერით მოხერხდა, რომ თსუ-ში ეს დარგი გადარჩა. მაგისტრატურა პირველად რუსუდან ლორთქიფანიძის რექტორობის პერიოდში გაიხსნა და მალე მეორე გამომგება დაასრულეს სამაგისტრო პროგრამას. როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს რეფორმა, იქმნება საშუალება, რომ ნაბან წყალს ბავშვი არ გადავაცოლოთ. შეცდომების დამწვევა ხშირად უყურადღებობის შემთხვევაში ხდება“, — აღნიშნა პროფესორმა ინესა მერაბიშვილი.

გერმანიის პროფესორის დალი ფანჯიკიძის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის ინესა მერაბიშვილის ორგანიზატორული ნიჭის დამსახურებაა, რომ თანამედროვე თსუ-ში სინამდვილედ იქცა გივი გაჩეჩილაძის ოცნება და ეს დარგი სწორედ ამ ფორმით აღორძინდა, რომელსაც ის გასულ საუკუნეში ამკვიდრებდა.

„ჩემთვის თარგმანი ფილოლოგიური პროგრამისთან შერწყობილი შემოქმედებაა. მასში იგულისხმება ავტორის დამოკიდებულების ამოცნობა, როგორც ენობრივი ფორმისადმი, ასევე იმ მოვლენისა თუ სიუჟეტისადმი, რასაც იგი ნაწარმოებიდან გადმოგვცემს. არ უნდა ვი-

ფიქროთ, რომ რადგან სხვადასხვა ენაში თავდება მხატვრული ნაწარმოები, იგი უნდა კარგადეს იმ ნიშნითვისებებზე, რაც მას დედანში აქვს. ეს ყველაფერი დიდი ფილოლოგიური შრომის საფუძველზე მიიღწევა და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება მთარგმნელს, უშუალოდ თარგმანს შეუდგეს. ძალიან ბევრი კურორული შემთხვევის გახსენება შეიძლება, როცა ჩვენი მთარგმნელები კონკრეტულ წიგნს ბოლომდე არ კითხულობდნენ და სათარგმნე ლიტერატურას მოცულობისა და კონორარის რაოდენობის მიხედვით განსაზღვრავდნენ. თარგმანისადმი ასეთი დამოკიდებულება კრიტიკის უქონლობაშიც მდგომარეობს ალბათ, — აღნიშნა სხდომაზე დალი ფანჯიკიძე და თარგმანის ხელოვნებისადმი ამგვარი მიდგომები დაასახელა უმთავრეს მიზეზად, რის გამოც საქართველოში შესრულებული თარგმანები ხშირად კვალიფიციურად ვერ ფასდება. კურორული უფლებით სხდომაზე წაიკითხეს ისეთი თარგმანების ნიმუშებიც, რომელიც აქარწყლებს იდეას — თითქოს პოეზიის თარგმანს შეუძლებელია. სპეციალისტების განმარტებით, არ არსებობს ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომლის ქართულად გადმოტანა შეუძლებელია. მთავარია, ის კვალიფიციურად მაღალი დონის მთარგმნელი ხელში მოხვდეს. „საკუთარ უმწიფობას ქართულ ენას ნურავინ დააბრალე“, — აღნიშნა დალი ფანჯიკიძე.

მაგისტრანტთა ჯგუფის კარგად სწავლასა და მონაწილეობაზე პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან ბევრი კარგი ითქვა. პროგრამის მიზანია, მაგისტრანტი ბილინგვისტად ჩამოყალიბდეს, რაც ნიშნავს, მშობლიური ენის გვერდით უცხოური ენის ისეთ ცოდნას, რომელიც ენის დაუფლების ბუნებრივ მდგომარეობასთან მიახლოებს. და მაინც, ღერძად ქართული ენა და კულტურა რჩება, რათა უცხოური ენიდან ნათარგმნა ქართული კულტურის პოპულარიზაცია შეძლოს.

ასეთი დამოკიდებულების მაგალითად მაგისტრანტებმა თავებ პროგრამის ხელმძღვანელი დაასახელეს. ინესა მერაბიშვილი არის ბაირონის ცნობილი მკვლევარი და ქართულ ენაზე მისი მთარგმნელი. მის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი გალაკტიონის ალბათ იმიტომ იმსახურებს უცხოელთა მაღალ შეფასებას, რომ წინ გალაკტიონის კვლევა უძღვის, ხოლო მთარგმნელი არის თარგმანის ის თეორეტიკოსი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ორტომად დასტამბული პოეტური თარგმანის ახალი თეორია.

„იმეგობრეთ პარადოქსებთან და თქვენც გენიოსი გახდებით!“

მანია ტორაძე

6 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული „საბავშვო უნივერსიტეტის“ ნორჩ ფიზიკოსთა სკოლაში ჩატარდა ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატის, თეიმურაზ ნადარეიშვილის ლექცია თემაზე: „ფიზიკა ფორმულების გარეშე“. ლექციას ესწრებოდნენ როგორც საჯარო სკოლების მოსწავლეები, ასევე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

ლექტორმა მოსწავლეებს ფიზიკის, როგორც მეცნიერების, მეტად საინტერესო ხედვა შესთავაზა. ლექციის თემატიკა იყო ფიზიკა, როგორც არა მხოლოდ მეცნიერება, არამედ, როგორც ცივილიზაციის ნაწილი.

ლექციასზე მოსწავლეთა ყურადღება რამდენიმე საკითხზე გამახვილდა.

პირველ ნაწილში საუბარი იყო ფიზიკის სწავლების ინდუქციურ და დედუქციურ მეთოდებზე. ლექტორმა მოსწავლეებს აუხსნა, რომ ფიზიკა იყოფა 4 ნაწილად: კლასიკური (ნიუტონის მექანიკა), რელატივისტური კლასიკური მექანიკა (ფარდობითობის თეორია), არარელატივისტური კვანტური მექანიკა, რელატივისტური კვანტური მექანიკა. ფიზიკის ამ დარგების სწავლება, ტრადიციულად, მარტივიდან რთულსკენ მიმდინარეობს, რადგან იმისი აღმოჩენილია ამ თანმიმდევრობით და თანაც შესასწავლად ადვილია, მაგრამ მისი სწავლება შესაძლებელია დედუქციური მეთოდიცა — რთულიდან მარტივი დარგებისკენ, რადგან სამყარო არის კვანტური და რელატივისტური.


ლექციის მეორე ნაწილი მიეძღვნა ფიზიკის კანონების საზოგადოებრივ მეცნიერ-

ებებში ასახვის საკითხს. თეიმურაზ ნადარეიშვილმა ფიზიკის კანონზომიერებების ანალიზის მაგალითები მოიყვანა ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, საზოგადოებრივ და სხვა მეცნიერებებში. მან საჯარო სკოლის მოსწავლეებს აუხსნა, როგორია ნიუტონის I (ინერციის) კანონის ანალიზი აზროვნების ინერციასთან და ადამიანის უნარ-ჩვევებთან, ნიუტონის II კანონის (ძალა უდრის მასისა და აჩქარების ნამრავლს) ანალიზი ერთი და იგივე პირობებში სხვადასხვა ადამიანის სხვადასხვა გავარად ქცევის თავისებურებასთან; ნიუტონის III კანონის (ქმედება უდრის უკუქმედებას) ანალიზი ადამიანებს შორის ურთიერთობასთან („ხელი ხელს ბანს“, შურისძიება და ა.შ.). მან აღნიშნა, რომ ფიზიკაში კანონზომიერებები ფორმულებით გამოიხატება („ფორმულა ჩვენს მიერ მოგონილი თამაშის წესებია“), ხოლო ზედა სფეროებში, ანუ ფიზიკის გარეთ, ისინი ფორმულებით არ გამოიხატება, მაგრამ რეალურად არსებობს.

თეიმურაზ ნადარეიშვილმა ბავშვებისთვის გასახედა, პოპულარულ ენაზე ისაუბრა კვანტური მექანიკის ძირითად პრინციპებზე და აღნიშნა, რომ კვანტურ (მიკროსამყაროს) ფიზიკაში ჰეიზენბერგის თანაფარდობის გამო შეუძლებელია კვანტური ნაწილაკის (მაგალითად, ელექტრონის) ტრაექტორიის დადგენა, ანუ მისი მომავლის განსაზღვრა, რადგანაც კოორდინატის ზუსტი ცოდნა იწვევს მისი სიჩქარის არცოდნას და პირიქით. ეს პრინციპი ნილს ბორმა განაზოგადა დამატებითობის პრინციპის სახით და შეეცადა მისი ფიზიკის გარეთ (სხვა სფეროებში) გატანას. მაგ. გონება და ინსტიქტი, რწმენა და ცოდნა, სიცოცხელი, როგორც მთლიანი ფენომენი და მისი ფიზიკური-ქიმიური ასხნა, ცნობიერი და არაცნობიერი. ბორის დამატებითობის პრინციპს თანამედროვე ფსიქოლოგები ხშირად იყენებენ კვლევებში.

ლექტორმა საინტერესოდ ახსნა დუალიზმის (ადამიანის გარეობის) პრობლემა. მისი თქმით, თუ ჩვენ დავსვამთ კითხვას — რა არის სინათლე? ის არასწორი იქნება, რადგან ყველა შემთხვევაში ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში ვაჭარებთ ცდას — ფართო ხვრელში გავლისას სინათლე იქცევა, როგორც ნაწილაკი, ხოლო ვიწრო ხვრელში გავლისას — როგორც ტალღა (სინათლის ორგვარი ბუნება). ამის ანალიზად მოიყვანა მან კითხვა „ვინ არის ადამიანი — ანგელოზი თუ მხეცი?“ და დაასაბუთა, რომ ამ კითხვის პასუხიც ანალიზით — გააჩნია პირობებს. მაგ. მეომარი ომში მხეცია, იგივე მეომარი ბავშვთან ურთიერთობისას — ანგელოზი. ლექციის შემავრთველი ნაწილი მიეძღვნა პარადოქსების თემას. „რატომ ვავლებთ ასე ადვილად ანალიზებს? იმიტომ, რომ სამყარო ერთიანია და ეს ერთიანობა მომდინარეობს დიდი აუფეთქების თეორიიდან, რომლის თანახმადაც, 15 მილიარდი წლის უკან მთელი სამყარო პატარა მოცულობაში იყო მოქცეული და შემდეგ თანდათან გაფართოვდა. მიუხედავად ამისა, ერთად ყოფილი კვალ სამყაროს ახსოვს. ანალიზების გავლება იმიტომ არის შესაძლებელი ასე ადვილად“ — განაცხადა მან და ლექციის დასასრულს, ბავშვებს შესთავაზა ალექსანდრე პუშკინის ლექსის საკუთარი თარგმანი, რომელიც ზუსტად ესადაგებოდა ლექციის თემატიკას: „ო, რამდენ გასაოცარ აღმოჩენას/ გვიმზადებს სული განათლებისა/ ცდა — შეილობლი უმძიმესი შეცდომებისა/ და გენიოსი — მეგობარი პარადოქსისა“.

„იმეგობრეთ პარადოქსებთან და თქვენც გენიოსი გახდებით!“ — ამ სიტყვებით დაასრულა თეიმურაზ ნადარეიშვილი ლექცია, რომელიც, საჯარო სკოლების მოსწავლეთა აზრით, ძალიან საინტერესოდ და არაორდინალურად წარმოართა. თავად ბატონი თეიმურაზ ნადარეიშვილი



სიტეტის და კერძოდ, ნორჩ ფიზიკოსთა სკოლის მუშაობას. „იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ ხანს საგანმანათლებლო დონემ სკოლებში საგრძობად დაიწია, აუცილებელი იყო რაღაც ფორმით უნივერსიტეტის ჩართვა ამ პროცესში, რათა არ მომხდარიყო ცოდნის წყვეტა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის.

ლექციებზე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ბავშვებისთვის კარგად ნაცნობ თემებს პოპულარულ ენაზე ხსნიან და მათ უმაღლესი მეცნიერების საკითხებს აზიარებენ, რაც ბავშვების ამ საკითხებით დაინტერესებას აუცილებლად გამოიწვევს.“ — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

ამ ლექციით ნორჩ ფიზიკოსთა სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს თეორიული კურსები დასრულდა, თუმცა პრაქტიკული მეცადინეობები ერთი თვის განმავლობაში კიდევ გაგრძელდება.

მომავალ წელს „საბავშვო უნივერსიტეტი“ ახალ შეესებას მიიღებს.

თავისუფლებაგისთვის ბრძოლის იმპულსს ამერიკა „გვანდის“?

პირველი ინგლისურენოვანი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

თავისუფლებაგისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს სტუდენტების გააქტიურება, სამეცნიერო თუ შემოქმედებით მუშაობაში მათი ჩაბმა წარმოადგენს. თსუ-ის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ყოველთვის მიესალმება სტუდენტის საინტერესო შემოთავაზებას და მზადაა სხვადასხვა ტექნიკური თუ ფინანსური საშუალებებით მხარი დაუჭიროს მათი იდეების რეალიზაციას. ერთ-ერთი ასეთი სტუდენტური იდეა განხორციელდა სტუდენტური თვითმართვლობისა და თსუ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერით.

3 ივლისს თსუ-ში გაიმართა პირველი ინგლისურენოვანი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე — „ამერიკა“. სტუდენტების ოცნებები ნაშრომიდან საპრეზენტაციოდ მხოლოდ რვა მოხსენება შეირჩა.

კონფერენცია მიემართა ამერიკის ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღს — 1776 წლის 4 ივლისს, როცა ცამეტმა ჩრდილო-ამერიკულმა კოლონიამ შეერთებული შტატების შექმნა გამოაცხადა.

კონფერენციის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმართვლობის წევრმა თონა ლავრელაშვილმა აღნიშნა: — „ჩემი იდეა სტუდენტური თვითმართვლობის მხარდაჭერით განხორციელდა — ჩავატარე პირველი ინგლისურენოვანი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. თემაც საინტერესო შეგარჩით, რადგანც მიმართა, რომ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესები დღეს სწორედ ამერიკასთანა დაკავშირებული. ეს სახელმწიფო წამყვან როლს თამაშობს მსოფლიოს პოლიტიკაში. როგორც მოგვხსენებთ, დღეს, სტუდენტებს კარგი შესაძლებლობა გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ სასწავლო-გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო კონფერენციებში. ეს კონფერენცია კი სტუდენტებს, ამ მხრივ, დიდ გამოცდილებას შეგვძენს. შესაძლებლობა მოგვეცა — მაქსიმალურად წარმოვჩინოთ

ჩვენი ცოდნა, აუდიტორიას ინგლისურ ენაზე მივანდოთ საკუთარი შეხედულებები და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ დისკუსიაში...“ კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ ჟიურის წევრები: ამერიკის შესწავლის ცენტრის პრეზიდენტი, პროფესორი ვასილ კაჭარავა, ამერიკის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ელენე მემარიაშვილი, სასწავლო დეპარტამენტის თანამშრომელი ვახტანგ ლომჯარია და სხვები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა რვა სტუდენტი-მომხსენებელი: ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან I კურსის სტუდენტი რუხანა მელქუმოვა, II კურსის სტუდენტი ნინო ტაბუკაძე, IV კურსის სტუდენტი ნინო მაისურაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კი თამარ თოდრა, ივეტა გოგავა, ლევან კახიშვილი და თამარ მელაშვილი.

კონფერენციაზე წარმოდგენილ ნაშრომთა თემატიკა მრავალფეროვანი გახლდათ. ჟიურის წევრებმა თითოეულ მათგანს მაღალი შეფასება მისცეს და აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი მოხსენებები არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო-სტუდენტურ კონფერენციებშიც უდავოდ გამოჩნეული და მაღალრეიტინგული იქნება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საუკეთესოს გამოსავლენად გადამწყვეტილების მიღება ჟიურის ძალიან გაუჭირდა, რადგან თითოეული მოხსენება მეტად აქტუალური და თემატიკურად საინტერესო იყო.

საბოლოოდ, ჟიურის წევრებმა ასეთი გადამწყვეტილება მიიღეს: I ადგილი ერგო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს თამარ გელაშვილს თემისთვის — „ბიტნიკები: საუკუნის ხავილი და კულტურათა შეჯახება“. მომხსენებელმა ბიტნიკთა მოძრაობის შესახებ მოგვითხრო, რომელიც 1950-იან წლებში ომის შემდგომ ამერიკაში აღმოცენდა: „ის თავიდან ლიტერატურულ ფენომენს წარმოადგენდა, თუმცა მალე მან ათასობით ადამიანის ცხოვრების წესი შეცვალა. ბიტნიკები ქადაგებდნენ, რომ ადამიანები ორიგინალური და ინდივიდუალური უნდა იყვნენ. მათ დაივიწყეს ძველი შეხედულებები მუსიკა-

ზე, რელიგიასა და ლიტერატურაზე. მათი ნაწარმოებები ხშირად იკრძალებოდა, თუმცა ბიტნიკთა აქტუალობა და მათი ზეგავლენა ამას არ შეუმჩნეობია. ბიტნიკები რომ არა, შეიძლება როკ-ენ-როლი, როგორც მუსიკალური მიმდინარეობა, არც ჩამოყალიბებულიყო და მსოფლიოს არ ჰყოლოდა ბითლ-



ზე, ბოზ დილანი, ან ჯიმ მორისონი, ჰიპები და ამბოხებული პანკები, რადგან მათ იმპულსი სწორედ ბიტნიკების თავისუფლებამ და ორიგინალურმა ხედვამ მისცათ“, — აღნიშნა თამარ გელაშვილი.

მომხსენებელს მიაჩნია, რომ „ბიტნიკები დღესაც საჭირონი არიან და შეიძლება კიდევ უფრო მეტადაც, ვიდრე 1950-იან წლებში, რადგან გლობალიზაციის ეპოქაში სწორედ მათი შემოქმედება გვაძლევს იმპულსსა და გამბედაობას ვიბრძოლოთ ჩვენი თავისუფლებისთვის, ინდივიდუალურობისთვის და გლობალიზაციის პროცესებს არ მივცეთ იმის შესაძლებლობა, რომ „გლობალური სოფლის“ პრიმიტიულ არსებებად გადაგვაქციოს“.

კონფერენციის გამარჯვებულები — II ადგილის პრიზიორის ლევან კახიშვილის მოხსენებაც, რომელიც აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობებს შეეხო, აქტუალობით გამოირჩეოდა. „უმთავრესი, რაც აშშ-ს შეუძლია გააკეთოს საქართველოსთვის, დიპლომატიური მხარდაჭერა გახლავთ. საქართველომ, თავისი განვითარების გზაზე, შესაძლოა შეც-

დომები დაუშვას, მაგრამ ის მარტო არ უნდა დატოვოს საერთაშორისო საზოგადოებამ. როგორც ბატონი ლევან მიქელაძე ამბობს, ჩვენ ვართ დემოკრატიულად ორიენტირებული, პროამერიკული ქვეყანა... ჩვენ ვართ მოდელი დიდ და პატარა ერებს შორის მეგობრობისა“, — ასკვნის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ლევან კახიშვილი.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის რუხანა მელქუმოვას მოხსენება — „ამერიკული ოცნება“ ამ ტერმინის წარმომოხსნა, ემიგრანტების „ამერიკული ოცნების“ ფრთაშესხმის შესაძლებლობას ეხებოდა. „ამერიკული ოცნება“ ყველა მოქალაქეს აძლევს საშუალებას, თვითონ აგოს პასუხი საკუთარ კეთილდღეობაზე და არ იყოს დამოკიდებული მკაცრ კლასობრივ სტრუქტურაზე“, — აღნიშნავს ავტორი.

კონფერენციაში მონაწილე სხვა სტუდენტების ნაშრომებიც არანაკლებ აქტუალობითა და საკითხის სიღრმისეული წვდომით გამოირჩეოდა, რომლებმაც მსმენელისა და ჟიურის მალაღობა შეუფასებ დაიმსახურეს.

საინტერესო იყო ამერიკის შესწავლის ცენტრის დამფუძნებლის, პროფესორ ვასილ კაჭარავას შეფასებაც: „აღფრთოვანებული ვარ კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების ინტელექტით, მოხსენებების დონითა და ხარისხით. თითოეული მათგანი ნებისმიერი საერთაშორისო სტუდენტურ-სამეცნიერო კონფერენციაზე უმაღლეს შეფასებას დაიმსახურებდა. იმედი მაქვს, რომ ახალგაზრდა თაობა ამერიკის შესწავლის ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებს. მართალია, ეს კონფერენცია სტუდენტებმა მოამზადეს და გამართეს, მაგრამ ამ ფაქტს კონფერენციის დონესა და ხარისხზე წამდგომად არ უშოქმედია, პირიქით, გაცივებული ვარ აქ წარმოდგენილი მოხსენებების შინაარსითა და მაღალი დონით“, — აღნიშნა მან.

მართლაც, სტუდენტთა მიერ მომზადებული ნაშრომები ინგლისურენოვან სამეცნიერო კონფერენციაში მუშაობა წარმატებულად დაასრულა. კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტებს სერტიფიკატები და საინტერესო ნივთები გადაეცათ.

სტუდენტური ორგანიზაცია „პირველები“ გაზაზგი საკოორდინაციო ჯგუფი „აფხაზეთი“ ჩამოყალიბდა

საკოორდინაციო

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე არსებული სტუდენტური ორგანიზაცია „პირველები“ გაზაზგი საკოორდინაციო ჯგუფი „აფხაზეთი“ ჩამოყალიბდა, რომლის მიზანი საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციულობის დონის ამაღლებაა.

4 ივნისს საკოორდინაციო ჯგუფმა გია ტარიელაძის, ანი ქოჩუას, უჩა ძიმისტარაშვილის, ნინო თანდლიაშვილის, კახა ურიადემყოფელის, კონსტანტინე ჩოკორაიას შემადგენლობით პრეზენტაცია გამართა, რომელზეც სტუდენტებმა აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის თაობაზე საკუთარი მოსაზრებები მონვეულ ექსპერტებს: ტერორისტული მიდინარობის აღდგენის საკითხთა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს შოთა მალაშვილს, ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს, პოლიტოლოგ პაატა ზაქარაიას, არასამთავრობო ორგანიზაცია „Coaxation Resources“-ის ამიერკავკასიის ბიუროს ხელმძღვანელს ჯონათან კროენს წარუდგინეს.

„აფხაზეთის“ მიზნები და ამოცანები ითვალისწინებს ექსპერტთა, სპეციალისტთა შეხვედრების ორგანიზებას და ერთიანი სტრატეგიის შექმნისკენ მიმართული ჯგუფის ფორმირების ხელშეწყობას, აფხაზი საზოგადოების დაინტერესებას ქართულ სახელმწიფოსთან თანასწორი ურთიერთობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მათთვის ქართული რეალობისა და პრობლემების მოგვარების შესაძლო გზების გაცნობას, ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის უზრუნველყოფას.

საქართველოს ტერიტორიული მონყობის, ეკონომიკის, განათლების, კომუნიკაციის საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების შესახებ ექსპერტებსა და სტუდენტებს შორის ერთობლივი დისკუსია გაიმართა, რომელზეც

პროფესიონალი სპეციალისტების მხრიდან კონკრეტულ მოსაზრებებთან დაკავშირებული შენიშვნები და ახალგაზრდა იურისტებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოითქვა.

„გვინდა, აფხაზ საზოგადოებას ხმა მივანდინოთ, რათა შევძლოთ აფხაზ ახალგაზრდობასთან საერთო ენის გამოხატვა და იმ სულისკვეთების გაღვივება, რომელიც ქართველ და აფხაზ ხალხში წამდგომად არსებობს. უნდა დავიფიქსოთ ომი, ისტორიის საშინელებები და რეალური პრობლემის მოსაგვარებლად ცივ გონებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები მივიღოთ“, — განაცხადა პრეზენტაციებზე ურთიერთი ფაკულტეტის სტუდენტმა გია ტარიელაძემ.

გამომხველემბა დასახული მიზნის მისაღწევად საჯარო, საქმიანი შეხვედრების ორგანიზების, ტელე-ხილის, ინტერნეტისა და მედიასაშუალებების გამოყენების აუცილებლობა დაასახელეს.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის უჩა ძიმისტარაშვილის განმარტებით, საკოორდინაციო ჯგუფი „აფხაზეთი“ აპირებს, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით, მოიძიოს ყველა სამართლებრივი აქტი, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში მიღებული და ძირფესვიანად გააანალიზოს ყველაფერი. მისი თქმით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაეროს გენერალური ასამბლეის 2008 წლის 15 მაისის რეზოლუცია, რის საფუძველზეც გაერომ აღიარა ყველა დევნილის, იძულებით გადაადგილებული პირისა და მათი შთამომავლების უფლება — დაბრუნდნენ აფხაზეთში.

„მიგვაჩნია, რომ საქართველოსთვის ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტია და მისი მიღება კვიპროსის პრეცედენტის ფონზე მოხდა. კვიპროსთან დაკავშირებული რეზოლუციაში, ჩვენგან განსხვავებით, კონფლიქტი გვარდება იმის ხარჯზე, რომ გარკვეული წლების განმავლობაში ლტოლვილები საკუთარ სახლებში არ დაბრუნდნენ. დოკუმენტების ანაღ-

იზი სტუდენტებს და დანარჩენ საზოგადოებასაც მოგვეცეს საშუალებას, კარგად გავარკვიოთ, რა საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი გააჩნია საქართველოს მოქმედებისთვის. ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ იმ პრეცედენტების გამოვრება საქართველოში, რა პრეცედენტებაც საქართველოს მავალითების თანახმად დაგროვდა“, — აღნიშნა უჩა ძიმისტარაშვილი.

„საქართველო და ნატო“ არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელი მიმართულებით მუშაობასაც მომავალი იურისტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. აქ იგულისხმება რუსეთის ფაქტორიც, რომელიც სერიოზულ შესწავლას საჭიროებს. მათი აზრით, ნატოს წევრობის შემთხვევაში საქართველო იქნება ძლიერი სახელმწიფო და მომავალში აფხაზეთს, შესაძლოა, არჩევანის გაკეთება რუსეთსა და საქართველოს შორის მოუხდეს. ნატოში გაწევრიანებისთვის კი საქართველოს სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მოუწევს.

პრეზენტაციაზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების კუთხით დისკუსია შეეხო განათლების საკითხს, სადაც აღნიშნა, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ჰარმონიზაციას განიცდის, ხორციელდება გაცვლითი პროგრამები საზღვარგარეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში მათში, როცა არალიარებული აფხაზეთში მცხოვრები სტუდენტები, ძირითადად, რუსეთში მიემგზავრებიან და მოკლებულნი არიან ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობას. ქართული საგანმანათლებლო სივრცე არის სწორედ ის ბერეკტი, რომლითაც აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის დაინტერესება შეიძლება.

ახალგაზრდების მოსაზრებებთან დაკავშირებით მონვეული ექსპერტების შენიშვნები, ძირითადად, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყობის საკითხებს მოჰყვა. ამ თემაზე პოლიტიკური და საზოგა-

დობრივ წრეებში ყველაზე მეტი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშვილმა არ გაიზიარა სტუდენტური მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უპირატესობა დეცენტრალიზაციას, სახელმწიფოს ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპზე დაფუძნებას და მის ფარგლებში აფხაზეთისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს. მისი თქმით, დღეს მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, რომ სახელმწიფოებრივი მართვის საუკეთესო სისტემა არის უნიტარული, მაგრამ დეცენტრალიზებული სახელმწიფო.

„მსოფლიო პოლიტიკა გვეუბნება, რომ თანამედროვე სახელმწიფოსთვის უკეთესია მცირე, მოზილური, მართვადი ხელისუფლება და არა ბიუროკრატიული სტრუქტურებით გადატვირთული სისტემა. სხვადასხვა ევროპული მაჩვენებლები, რომლებიც წამყვანი სახელმწიფოების მაგალითებზე არსებობს, გვაჩვენებს, რომ სამხრეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას მიდრეკილება აქვს ბიუროკრატიის გაზრდისკენ მაშინ, როცა საუკეთესო მაჩვენებლად ესპანეთისა და ცენტრალური ევროპის სხვა სახელმწიფოები სახელდება“, — აღნიშნა შოთა მალაშვილმა. მან სტუდენტებს ურჩია, კონკრეტულ საკითხებზე მუშაობისას ექსპერტები დაიხმარონ და მოსაზრებების საჯაროდ გამოცხადება მათთან სათანადო კონსულტაციები უფრო აქტიურად გამართონ.

მოძრაობა „პირველები“ საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობის საბოლოო შედეგები, რაც ქართველი და აფხაზი ხალხის ნების ამსახველი კვალიფიციური კონცეფციის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, ორიენტირებული იქნება მხარეებს შორის არსებული გაუცხოებისა და შიშის დაძლევისა და მშვიდობიან თანარსებობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბების მცდელობაზე.

ეკლესიისა და უნივერსიტეტის ურთიერთანამშრომლობა ბრძელდება

ნაყოფიერად ვითარდება უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში 30 მაისს მაღლივ კორპუსში, ფ. გოგიჩაიშვილის სახელობის აუდიტორიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა“.



კონფერენცია გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ჯამლეთ ჯანჯღავამ. „უკვე ტრადიციად დამკვიდრდა თანამშრომლობა ფაკულტეტსა და თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიასთან არსებულ საღვთისმეტყველო ინსტიტუტს შორის. მათი და საქართველოს საპატრიარქოს ბოლნისის ეპარქიის ძალეობით ანალოგიური კონფერენცია გაიმართა მიმდინარე წლის 13 აპრილს ბოლნისის კულტურის სახლში. მღვდელი ბასილი (ახვლედიანი) ბოლნისის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, ეპარქიის ეკონომოსი — თსუ-ის დოქტორანტი, ფაკულტეტის პროფესორები კითხულობენ ლექციებს ზემოაღნიშნულ კურსებზე. მომავალში დაგეგმილია ანალოგიური კონფერენციების ჩატარება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ჩვენ ვამაყობთ, რომ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა) თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულა,“ — აღნიშნა ჯამლეთ ჯანჯღავამ.

დამსწრე საზოგადოებას დალოცვით და მისალმებებით მიმართეს სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა იეგუდიელმა (ტაბატაძემ) და ბოლნისის ეპისკოპოსმა ივრემმა (გამრეკელიძემ). მათ ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას და ისაუბრეს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: მეცნიერება, რელიგია, ეკონომიკა, შრომა, მონაცვლეობა, საზოგადოებრივი სიკეთეები, ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობა... მათ აღნიშნეს

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის როლი ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობაში.

პლენარულ სხდომაზე ნაიკითხვს საინტერესო და აქტუალური მოხსენებები: „წმ. ილია მარტალი (ჭავჭავაძე) ეკონომიკის შესახებ“ (მომხსენებელი მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია), სნოს წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი), „განათლებლის ორგანიზაცია საქველმოქმედო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის სფეროში“ (მომხსენებელი თსუ-ის ასოცირებული პროფესორი გ. შიხაშვილი), „სამეურნეო საქმიანობის განვითარება სტეფანწმინდის და ხევის ეპარქიაში“ (მომხსენებელი არქიმანდრიტი იაკობი (იაკობიშვილი), აჩხობის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, ეპარქიის კეთილმოწესე), „საქართველოს ეკლესიის როლი მიგრაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“ (მომხსენებელი თსუ-ის პროფესორი მ. ტუხაშვილი), „ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები ბოლნისის ეპარქიაში“ (მომხსენებელი მღვდელი ბასილი (ახვლედიანი), ბოლნისის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, ეპარქიის ეკონომოსი, თსუ-ის დოქტორანტი), „ზღვრული არჩევანის პრინციპი ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება“ (მომხსენებელი თსუ-ის პროფესორი ი. გაგნიძე), „ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მართლმადიდებლური საქმიანობა“ (მომხსენებელი თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის ლექტორი, თბილისის ქვაშვეთის ტაძრის ეკონომოსი ნ. სამხარაძე), „ქრისტიანობა და ქველმოქმედება“ (მომხსენებელი თსუ-ის პროფესორი ნ. ერქომაიშვილი), „რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (მომხსენებელი საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისიის წამყვანი სპეციალისტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი მ. მეტრეველი), „სასულიერო პირები ბუღალტრული აღრიცხვის სათავეებთან“ (მომხსენებელი თსუ-ის მაგისტრანტი ა. ჩეჩელაშვილი).

შესვენების დროს კონფერენციის მონაწილეები მაღლივ კორპუსში არსებულ წმ. გიორგის სახელობის სამლოცველოს ეწვივნენ. შემდეგ დაიწყო კონფერენციის მეორე ნაწილი, რომელზეც მომხსენებლებმა უზარუნად საინტერესო თემები განიხილეს, მათგან აღსანიშნავია: „სასულიერო პირები ბუღალტრული აღრიცხვის სათავეებთან“, „რელიგიის გავლენა

ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე“, „ქველმოქმედება: სიკეთე თუ უკეთუბება“, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების ფორმირებაში“, „ქრისტიანობა და ფიტომრეწველობის განვითარება საქართველოში“, „ეკონომიკის კონცეპტუალური საფუძვლები და ქრისტიანობა“, „რელიგიური სისტემები და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია“, „საქართველოს მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურის ცვლილება მე-20 საუკუნეში“, „ფულად-საქრედიტო სისტემა სარგებლის გარეშე“, „განათლება, ეკონომიკა, მეცნიერება და მართლმადიდებელი სარწმუნოება“, „ზნეობრივი ეკონომიკა — თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი მიმართულება“, „ქრისტიანობა და მეცნიერება-მედიცინის განვითარება საქართველოში“, „ეკონომიკა და ქრისტიანული მსოფლმხედველობა“, „ქრისტიანული მორალი და ბიზნესი“, „ქრისტიანობა და საქმიანი ურთიერთობები თანამედროვე ბიზნესში“ — საკონფერენციო თემების ეს ჩამონათვალი ნათლად მიუთითებს განსახილველი პრობლემების აქტუალობაზე თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისიამ, ჯანდაცვის სამინისტრომ, საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა. კონფერენციამ სამეცნიერო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. დაიგეგმა კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენებების კრებულის სახით გამოცემა. კონფერენციის თემატიკა აისახება ფაკულტეტის სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი“. აქვე დაიგეგმა, რომ მომავალ წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივი ძალეობით გამართონ საერთაშორისო კონფერენცია, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს მეცნიერებისა და რელიგიის, უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებით თანამშრომლობას.

გიორგი შიხაშვილი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის პროფესორი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის სტუდენტთა 68-ე სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა

თამარ მარუაშვილი

6 მაისს თსუ-ის მაღლივ კორპუსში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის სტუდენტთა 68-ე სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელზეც სამეცნიერო მომხსენებელი სტუდენტი წარდგა. კონფერენცია ორ მიმართულებად გაიყო — ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების მიხედვით.

კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი ჯამლეთ ჯანჯღავა და კომისიის სხვა წევრები: სრული პროფესორები: მ. მაღრაძე, ნ. თოდუა, ასოცირებული პროფესორები: გ. თუთბერიძე, თ. შენგელია, თ. ქობლანიძე, თ. კასრაძე, ი. ჭილაძე, ი. გაგნიძე და სტუდენტური თვითმართველობის წევრები ა. მიქაბერიძე და გ. გაფრინდაშვილი. კონფერენციის საპატიო წევრად მონაწილე იყო ბრემენის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, რექტორის მრჩეველი, თსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი იოხან ციმერმანი.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ჯამლეთ ჯანჯღავამ აღნიშნა: „ეს ფაკულტეტი მაღალი დონის სპეციალისტებს ზრდის და დღეს ჩვენი ფაკულტეტის უკვე ოთხსამდე სტუდენტია დასაქმებული მსხვილ საბანკო თუ საფინ-

ანსო სექტორში. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების დიდი ნაწილი თბილისის სხვა უნივერსიტეტებშიც ასწავლის, რაც მართებულად არ მიმაჩნია. ჩვენი უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელია და არ არის გამართლებული ჩვენთან შედარებით მცირე ანაზღაურების გამო კიდევ სხვა სასწავლებლებთან ითანამშრომლონ — ეს ჩვენი პრესტიჟის საკითხია. მაგრამ იმდენ მაქვს, ეს პრობლემა მაღა გადაწყდება და ჩვენი შედეგები მხოლოდ ჩვენს სტუდენტებს მოემსახურება. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორების მომზადებასა და სწავლების მაღალ ხარისხზე ის ფაქტივე მეტყველებს, რომ ამ კონფერენციაზე წარმოადგინო სტუდენტების მოხსენებები თავისი სიღრმისეული ანალიზით, პრობლემების ობიექტური ხედვითა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების ძიებით არაფრით ჩამოუყარდებ პრესტიჟული, უცხოური უნივერსიტეტების სტუდენტების საკონფერენციო ნაშრომებს“.

ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საკითხებზე სამეცნიერო სტუდენტმა საინტერესო, ობიექტურად გაანალიზებული ნაშრომი წარმოადგინა. კომპეტენტურმა კომისიამ საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გაანაწილა: — ეკონომიკის მიმართულებით I ადგილი ერგო II კურსის სტუდენტს გივი მელქაძეს თემისთვის — „ენერგეტიკის რეგულირების მიკროეკონომიკური ასპექტები“, II ადგილი — IV კურსის სტუდენტს გიორგი ყუფარაძეს თემისთვის — „ეკონომიკის ტერმინოლოგია და საქართველო“, III ადგილი — ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს შალვა გიორგაძეს თემისთვის —

„საქართველოს დემოგრაფიული სურათი 1990-2006 წლებში“.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით I ადგილი მიენიჭა IV კურსის სტუდენტს ვალერი მუშუდიაძეს თემისთვის — „ლიზინგის არსი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. ლიზინგის ცნება და მისი ძირითადი სახეები, ლიზინგით განხორციელებული მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, უპირატესობები, მისი განვითარება და მიკროლიზინგის პერსპექტივები საქართველოში — ეს ის საკითხებია, რომელიც მომხსენებელმა აუდიტორიასა და კომისიის წევრებს დამაჯერებლობით, საკითხების სიღრმისეული წვლილითა და საკუთარი შეხედულებების დემონსტრირებით წარმოუდგინა: „ლიზინგის განვითარება ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო, წარმოადგენს მისი ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს. სალიზინგო მომსახურებას საქართველომ დაიწყო მომავალი აქვს საქართველოში, რომელიც რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებს“, — ასკვნის ვალერი მუშუდიაძე.

მომხსენებელმა — „თანამედროვე web ტექნოლოგიების კრიტიკული ანალიზი“, რომელიც IV კურსის სტუდენტმა ზვიად ქვილითაიამ წარმოგვიდგინა II ადგილი დაიკავა. ნაშრომი საქართველოში web ტექნოლოგიების განვითარებას, დახვეწასა და ტექნოლოგიების მომხმარებელთა მოთხოვნებს ეხება. სტუდენტი საფუძვლიანად ერკვევა აღნიშნულ პროცესებს და საკუთარ კრიტიკულ ანალიზსაც გვთავაზობს. II კურსის სტუდენტების თამაზა კალანდარიშვილისა და მაია დვალის საკონფერ-

ენციო თემამ: „სასტუმრო ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“, III ადგილი დაიკავა. სტუდენტებმა გაანალიზეს სასტუმრო ბიზნესის სფეროში არსებული სიტუაცია და მისი განვითარების ტენდენციები, ასევე, ამ სფეროში არსებული სტატისტიკური მონაცემები.

არანაკლებ საინტერესო და შთაბეჭდავი იყო IV კურსის სტუდენტის ნიკოლოზ ფერიაშვილის საკონფერენციო თემა: „ბიზნეს-ადამიანების წებ-ადგილი“, II კურსის სტუდენტის გიორგი ჩილიაძის ნაშრომი: „ფირმის მარკეტ სტრატეგია“, ნინო ვახვახიშვილის საკონფერენციო თემა: „საქართველოს ტურისტული პოტენციალი“, შორენა პირველის — „ნონანსრობის წერტილის ანალიზი“ და სხვა.

თსუ-ის სტუდენტთა 68-ე სამეცნიერო კონფერენციის კომისიის წევრთა აზრით, კონფერენციაში მონაწილე ყველა მომხსენებელი სტუდენტის თემა მაღალ შეფასებას იმსახურებს. ასევე მნიშვნელოვანია იმ შედეგების ნაწილიც, რომლებიც მომზადების პროცესში ხელმძღვანელებდნენ და კომპეტენტურ რჩევებს აძლევდნენ სტუდენტებს.

საპრიზო ადგილებზე გასულ სტუდენტებს საზეიმოდ გადაეცათ ფულადი ჯილდოები. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტთა 68-ე სამეცნიერო კონფერენციაში ძალიან საინტერესო იმუშავა და ბევრი მართლაც ღირსეული სტუდენტი წარმოაჩინა, ვისთვისაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება აქედანვე გამომდინარე ფიქრისა და სამეცნიერო მუშაობის მთავარი საგანია.

ახალგაზრდა ნიადაგმცოდნეები დიპლომებით დაჯილდოვდნენ

სამუშაო სატიპი

10 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიადაგების გეოგრაფიის სპეციალობის 50-მდე სტუდენტი ოლიმპიადაში მიღწეული წარმატებებისთვის დიპლომებით, ხოლო წარჩინებულები სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ნიადაგების გეოგრაფიის საკითხებთან დაკავშირებულ ოლიმპიადაში ამ სპეციალობის II და IV კურსის სტუდენტებმა, პროფესორ გიზო ურუშაძის ხელმძღვანელობით, თემატური ნაშრომები ივნისის დასაწყისში მოამზადეს და როგორც დაჯილდოების ცერემონიაზე ითქვა, სტუდენტების წარმატება ამ სფეროში პირველი შემთხვევა არ არის. ნიადაგების გეოგრაფიის სტუდენტებმა გასულ ზამთარს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ გამართულ კონკურსში გრანტიც მოიპოვეს, რომელიც თბილისი-ახალქალაქი-ყარსის

მშენებარე რკინიგზის გასწვრივ ნიადაგურ-ეკოლოგიურ გამოკვლევას ეხებოდა. ოლიმპიადაში გამარჯვებულებს დიპლომები თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა რამაზ ბოჭორიშვილმა გადასცა და აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღ-

ვანელობის მხარდაჭერით, პროფესიული განათლებისა და გამოცდილების მიღების თვალსაზრისით, წინ მეტი პერსპექტივები ელით.

ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის გამგის გიზო ურუშაძის ინიციატივით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე თსუ-ში დაგეგმილია ნიადაგმცოდნეობაში რე-სპუბლიკური კონფერენციის გამართვა და სტუდენტი ახალგაზრდების საერთაშორისო ბანაკებში აქტიურად ჩართვა.

ასევე იგეგმება უცხოელი პროფესორების სასწავლო პროცესში მონაწილეობის გააქტიურება. ახლახან ნიადაგების გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისთვის ლექციების ციკლი ჩატარა გისენის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ლორენც კინგმა. სემესტრის დასაწყისში კი თსუ-ის აღნიშნული სპეციალობის სტუდენტებს ევროპის ნიადაგმცოდნე საზოგადოების კონფერენციის პრეზიდენტი, ვენის უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვინფრიდ შლიუმე ახალ სალექციო კურსს წაუკითხავს.



ბოლნისის მუზეუმის ექსპონატები თსუ-ში

თამარ მარუაშვილი

16 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექსპონატო დარბაზის ფოიეში გაიმართა სტუდენტური პროექტის პრეზენტაცია თემაზე: „გაეცანი წარსულს“.

გამოფენაზე წარმოდგინეს ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან 40-მდე ექსპონატი და კატალოგი, სადაც სრულად არის თავმოყრილი მუზეუმში დაცული ნივთების ფოტომასალა.

პროექტი, თსუ-ის ადმინისტრაციის დახმარებით, განახორციელეს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის სპეციალობის სტუდენტებმა: ინეზა მეტრეველმა და ქეთი ლირსიაშვილმა, მათ ფინანსურად ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა დაეხმარა.

ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თავმოყრილია კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა, ენეოლითის ხანიდან (ძვ.წ.აღ. V-IV ათასწლ.) ადრე ქრისტიანულ ხანამდე.

„ბოლნისის რაიონი ძალზე მდიდარია ისტორიული და არქიტექტურული ძეგლებით. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ მის ტერიტორიაზე აღრიცხულია 200-ზე მეტი ასეთი ძეგლი... მივესალმები სტუდენტების დაინტერესებას ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმით. მათი ინიციატივა ამ მუზეუმში წარმოდგენილ ნიმუშებს უფრო მეტად ცნობადსა და პოპულარულს გახდის...“ — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერმა ოთარ აბულაძემ.

პროექტის ორგანიზატორებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, თსუ-ის ადმინისტრაციას და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობას მხარდაჭერისათვის.



„პოლონელი ასული — უკანასკნელი ქართველი მეფის მეუღლე“



29-31 მაისს ბალტიის ზღვის სანაპიროზე, კურორტ იურატაში გაიმართა გდანსკის (პოლონეთი) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურა და აზროვნება“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, იურისტები, ფილოლოგები, სოციოლოგები და ეკონომისტები როგორც პოლონეთის, ასევე, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ლიტვისა და საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან.

„პოლონელი ასული — უკანასკნელი ქართველი მეფის მეუღლე“ — ასეთი სახელწოდების მოხსენება წარუდგინა პოლონეთის სამეცნიერო საზოგადოებას ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნიკო ჯავახიშვილმა. იგი ამ კონფერენციის ერთადერთი ქართველი მონაწილე იყო. ნიკო ჯავახიშვილი დიდი ხანია, ნაყოფიერად იკვლევს საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების ისტორიას. მან ამ საკითხს ჯერ კიდევ 1998 წელს მიუძღვნა საგანგებო ნიგნი: „ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ (პოლონურ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან)“. ეს ნაშრომი, რომელიც ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა, ინტერესით მი-

იღო პოლონეთის სამეცნიერო საზოგადოებაში. ამ ნაშრომთან დაკავშირებით ვარშავაში გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალში „Poz Georgica“ („საქართველოს შესახებ“) გამოქვეყნდა გამოჩენილი პოლონელი მეცნიერის, აკადემიკოს ვოიციხ მატერსკის ფრიად დადებითი რეცენზია. აქვე უნდა ითქვას, რომ პოლონეთის სამეცნიერო ჟურნალებში ხშირად იბეჭდება რეცენზიები ნიკო ჯავახიშვილის ცალკეულ ნიგნებზე.

ამჯერად, ნიკო ჯავახიშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა პოლონეთის საზოგადოებას, რომ ქართულ-პოლონურ ურთიერთობებს საკმაოდ ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს და თვით ქართველ მეფეს — გრიგოლ I-ს (1789-1830) ცოლად ჰყავდა ლირსეული პოლონელი ასული — ბარბარა თეოდორის ასული ბუკრინსკა (1810-1875), რომელმაც ბაგრატიონთა ათასწლოვან დინასტიას შესანიშნავი შთამომავლობა აღუზარდა.

ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი ოქტომბერ-დეკემბერში მიწვეულია პოლონეთის ცალკეულ უნივერსიტეტებში (ლუბლინი, კრაკოვი, ვარშავა) დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად.

ამბროსი ბრიშვიანი
პოლონეთის კულტურის
დამსახურებული მოღვაწე,
პროფესორი

სტუდენტების კონკურსი "GRAFFITY"-ში

12 ივნისს თსუ-ის ეზოში, კომპანია "RED BULL"-ის მხარდაჭერით ჩატარდა კონკურსი "GRAFFITY"-ში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ თსუ-ის, სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები. კონკურსის ორგანიზატორი იყო თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ბექა გოლეტიანი.

თამარ მარუაშვილი



კონკურსი მუსიკალურად გააფორმა დიჯეი „დუდა“-მ და ტამ-ტამების მუსიკალურმა ჯგუფმა „ტარაბუკამ“. ათი მონაწილე დიდი მონდობით შეუდგა საკონკურსო დავალების შესრულებას, რომლებსაც მხარდაჭერთა არც თუ ისე მცირერიცხოვანი ჯგუფი მეგობრულად ამხნევებდა. კონკურსის თანახმად, უნივერსიტეტის სათავსოს კედელი უნდა მოეხატათ. არჩევანში შეზღუდული არავინ იყო, ვისაც რა უნდოდა, იმას დახატავდა. ცოტა ხნის შემდეგ თსუ-ის სათავსოს კედელი ძალიან მიმზიდველად გამოიყურებოდა.

კონკურსანტების შემოქმედება მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა: შიდასი, ნარკომანია, აბსტრაქცია, გართობა...

კონკურსის ჟიურის წევრები იყვნენ: კომპანია "RED BULL"-ის წარმომადგენელი ზურა მათნაძე, მხატვარი დათო მაჭავარიანი (კაკადუ), თსუ-ის თანამშრომელი თამაზ ნიკოლაური და სამხატვრო აკადემიის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ელინა გედენიძე.

კონკურსში გაიმარჯვა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის

ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ლაზარე მესხია, რომელსაც "RED BULL"-ისგან ჯილდოდ — IPD shuffle ერგო. გამარჯვებულის ნახატმა „ანო“-მ თავისი მხიარული შინაარსის გამო ყველას მონონება დაიმსახურა, აქტუალურმა თემებმა: ნარკომანია და შიდსმა კი სტუდენტებში ნაკლები ინტერესი გამოიწვია...

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, სტუდენტები ბოლომდე აქტიურობდნენ და სიამოვნებით მიირთმევდნენ "RED BULL"-ის ენერჯეტიკულ სასმელს.

უნივერსიტეტის სტუდენტ-პროგრამისტთა ახალი წარმატებები

შურთხია ბაროშვილი

23 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ილია ვეკუას სახელობის თასის საერთაშორისო ოლიმპიადის დირექტორმა, პროგრამირების მხარდაჭერის ასოციაციის პრეზიდენტმა, თსუ-ის ნაკრები გუნდების ხელმძღვანელმა პროგრამირებაში თეოდორე ზარქუამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც მიეძღვნა პროგრამირებაში ილია ვეკუას სახელობის თასზე გამართულ საერთაშორისო ოლიმპიადის შედეგების განხილვას.

„ილია ვეკუას სახელობის თასმა საერთაშორისო ოლიმპიადების კალენდარში საპატიო ადგილი დაიკავა. წლებადელი ოლიმპიადის პარალელურად 4 ქალაქში – ბათუმში, ნოვოსიბირსკში, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორი სახელობითი სპეციალური პრიზი დაწესდა — საუკეთესო სამხრეთ კავკასიური გუნდისთვის ევგენი პანკრატევის სახელობის პრიზი და ბათუმში გამართულ ოლიმპიადის მონაწილე საუკეთესო სტუმართა გუნდისთვის — ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრიზი.

ოლიმპიადის გამართვის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, მოსკოვის, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტები და პროგრამირების მხარდაჭ-

ერის ასოციაცია. სპეც-პრიზები დაანესეს საქართველოში რუსეთის საელჩომ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტმა,“ — აღნიშნა პრესკონფერენციაზე თეოდორე ზარქუამ.

მისი ინფორმაციით, ოლიმპიადაზე, რომელიც წელს უკვე მეორედ გაიმართა, უნივერსიტეტის სტუდენტები ღირსეულად წარდგინდნენ და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ წელს გამართულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ პოსტსაბჭოთა სივრცის საუკეთესო პროგრამისტები, რომლებიც მსოფლიო პროგრამისტულ ელიტაში შედიან, მათ შორის ასპარეზობდა თსუ-ის ორი გუნდი. პირველმა გუნდმა (ნიკოლოზ ჯიმშელიშვილი, გიორგი ლეკვეიშვილი, ავთანდილ რუხაძე) შეძლო 12-ვე ამოცანის ამოხსნა და იგი მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით ჩამორჩა იმ გუნდებს, რომლებიც მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში ასპარეზობდნენ. გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა, მონაწილეებმა კი პირველი ხარისხის დიპლომები მოიპოვეს. ნომინანტთა რიცხვში მოხვდა თსუ-ის მეორე გუნდიც (გიორგი სალინაძე, აკაკი მამაგვიშვილი, ირაკლი მანაგაძე), რომელმაც მესამე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში შვიდი ნომინანტიდან ოთხი თსუ-ის სტუდენტი იყო. პირველი ადგილი და პირველი ხარისხის დიპლომი ნიკოლოზ ჯიმშელიშ-

ვილმა დაიმსახურა, გიორგი სალინაძემ — მეორე ხარისხის, ხოლო აკაკი მამაგვიშვილმა და ავთანდილ რუხაძემ მესამე ხარისხის დიპლომები მოიპოვეს (შესაბამისად მე-6 და მე-7 ადგილები დაიკავეს).

თეოდორე ზარქუას განცხადებით, მართალია, თსუ-ის სტუდენტთა ასპარეზობა წარმატებული იყო, მაგრამ შედეგები უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მცირე დაფინანსების გამო ბათუმში ორზე მეტი გუნდის ჩაყვანა ვერ მოხერხდა. მან დამსწრე საზოგადოებას, ასევე, გააცნო რამდენიმე ახლად დამთავრებული საერთაშორისო ოლიმპიადის შედეგები.

მისი ინფორმაციით, მარტის ბოლოს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა ღია ოლიმპიადაზე თსუ-ის გუნდმა მესამე ადგილი მოიპოვა, ნიკოლოზ ჯიმშელიშვილმა, გიორგი ლეკვეიშვილმა, ელდარ ბოგდანოვმა პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს;

რუსეთის ღია თასის საბოლოო შედეგების მიხედვით, სამხრეთ კავკასიის რვა საუკეთესო გუნდში მოხვდა თსუ-ის ხუთი გუნდი.

15 მაისს აშშ-ში (ლას-ვეგასი) დასრულდა პროფესიონალ პროგრამისტთა მსოფლიო არაოფიციალურ პირველობად აღიარებული „თოპკოდერის“ ღია ჩემპიონატის დასკვნითი, ე.წ. ონსაიტ რაუნდი, რომელშიც პირველად მოხვდა სამხრეთ კავკასიის წარმომადგენელი - თსუ-ის სტუდენტი ნიკოლოზ ჯიმშელიშვილი. (ნიკოლოზ ჯიმშელიშვილმა გაიმარჯვა ჟურნალ "PC W ლაივ"-ის პრიზებზე გამართულ შეჯიბრებათა სერიის მე-5 რაუნდში

და დასკვნითი რაუნდის წინ საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა).

თეოდორე ზარქუამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ოლიმპიადებზე თსუ-ის სტუდენტების წარმატებები მომავალში კიდევ უფრო გაიზარდება და სტუდენტები, სათანადო მხარდაჭერის პირობებში, აუცილებლად მოხვდებიან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, სადაც უმაღლესი ადგილებისთვის იბრძობებიან.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, თსუ-ის პროგრამისტთა ნაკრები გუნდები ივლისის პირველ რიცხვებში მონაწილეობას მიიღებენ კიევში გამართულ მესამე საერთაშორისო ოლიმპიადაში, რომელიც ცნობილი აკადემიკოსების გლუმკოვისა და ლებედევის ხსოვნას მიეძღვნება; აგვისტოს ბოლოს კი აჭარაში გაიმართება ერთობლივი სანვრთნელი შეკრება პეტროზავოდსკის უნივერსიტეტთან, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის უმაღლესი სასწავლებლები.

პრესკონფერენციაზე პროგრამისტებს გამარჯვება მიულოცეს საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მრჩვეულმა ვასილ კორჩმარმა, თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ მოდებაძემ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, სტუ-ის პროგრამისტთა ნაკრები გუნდების ხელმძღვანელმა ლელა გაჩეჩილაძემ და თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თეა ნადირაძემ.



ნანა ალექსანდრიასთან გამართული ჯგუფური მატჩის მოულოდნელი შედეგი

საბუნებისმეტყველო

ნ. იენის თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჭადრაკში მსოფლიოს ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, ექვტა ზის ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი, რვაჯ ზის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე, კლუბ „ნტ“-ის პრეზიდენტი ნანა ალექსანდრია სტუმრობდა. მოყვარული მოჭადრაკე სტუდენტების 19 ნევრიან ჯგუფთან ერთობლივი თამაშის დაწყებამდე მან დამსწრე საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ გაიხსენა ის დეტალები, რამაც სახელოვანი მოჭადრაკე ქალბატონის ცხოვრება „შექმნა“.

„ყველა დროს თავისი შინაარსის განმსაზღვრელი კითხვა ანუხებებს. ჩემი პროფესიული აქტიურობა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კითხვა იყო — რა ანგარიშია? სამსუხაროა, როდესაც საზოგადოებას ყველაზე მეტად ეს კითხვა ანუხებებს, მაგრამ სპორტისთვის ეს უდიდესი დადებითი მუხტი იყო... მე გამიმართლა, რომ ჩემი პროფესიული მოღვაწეობაც ამ პერიოდს დაემთხვა,“ — ეს არის ნანა ალექსანდრიას ლეგენდარული ცხოვრების აღწერა და რომლის რამდენიმე ეგზემპლარს ამიერიდან თსუ-ის ბიბლიოთეკის წინააღმდეგობაში შევინახავ.

როგორც თავად ნანა ალექსანდრია აცხადებს, მას ბევრ რამეში გაუმართლა ერთის გარდა — ანგარიშია: 8:8 იგი მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილთან გაათამაშრა, მაგრამ ჩემპიონის ტიტული ვერ მოუტანა. ეს ადრე მოხდა... თსუ-ში სტუდენტებთან გამართულ ერთობლივ მატჩში კი ნანა ალექსანდრიასთან პაექრობა მოულოდნელი შედეგით დასრულდა: ნაგაო ყველამ, მოიგო მხოლოდ ინტერესის გამო თსუ-ში დაუბატიყვებლად მოსულმა სტუმარმა — სპორტული გაზეთის „ლელოს“ ჟურნალისტმა ზვიად შაბთიშვილმა, რომელმაც მოყვარულის ამპლუაში ჩემპიონთან პირველად თამაშა. მატჩის დასრულების შემდეგ ქალბატონ ნანა ალექსანდრიას გავესაუბრეთ.

— ქალბატონ ნანა, რამდენად დაგაკმაყოფილათ უნივერსიტეტში ვიზიტმა და იმ შედეგმა, რომლითაც სტუდენტებთან ჯგუფური პაექრობა დასრულდა?

— იყვნენ ნიჭიერი ახალგაზრდები და კარგი თამაშიც აჩვენეს. მათგან ვიცნობდი ზუგდიდელ მოჭადრაკე მადონა ბოკუჩავას, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს და პერსპექტიული გოგონაა. მოყვარულის პირობებში თამაში სამ საათს გაგრძელდა და ეს თავად ადასტურებს, რომ ორთაბრძოლები საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. შედეგი კი მართლაც მოულოდნელი



ყოფილა — ჟურნალისტიკის სფეროს წარმომადგენელმა, რომელსაც მობილიზებულად არ მივუდექი — დამამარცხა. საინტერესო იყო თამაშის დინამიკა ნემსაძესთანაც, მისი საჭადრაკო მონაცემების შესახებ არაფერი ვიცოდი. მუსიკისა და ჟურნალისტიკის წარმომადგენლებს ჭადრაკთან თუ ამგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ, არ მეგონა. დღეს ჩემთვის ეს ფაქტი ნამდვილი აღმოჩნდა იყო.

— თსუ-ში საუნივერსიტეტო სპორტის აღორძინება ბოლო პერიოდში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად იქცა. კონკრეტულ ძალიან მძიმე სახეობებში უკვე სახეობა შეიქმნა ახლახანს, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს საჭადრაკო ტრადიციების აღორძინება-განვითარებას?

— მე მხოლოდ მივესალმები ჭადრაკის სფეროში გადადგმულ ყველა ნაბიჯს, მაგრამ საერთო მდგომარეობა გარედან უკეთ ჩანს და მგონია, რომ ჭადრაკი ისეთი აქ-

ტიური სპორტის სახეობა აღარ არის, როგორც უნდა იყოს. ამას ორი მთავარი მიზეზი აქვს: ერთია ის, რომ სპორტის ამ სახეობაში აღარ არის წარმატებები, მეორე ფაქტორი არის თავად დრო, რომელსაც თავისი ცვლილებები მოაქვს. თანამედროვეობაში მეტად პოპულარული გახდა სპორტის მოძრავი სახეობები. დღეს ძნელად წარმოსადგენია, რომ რუსეთშიც კი, რომელიც ჭადრაკის

ტომ წინა პლანზე წამოიწია სპორტის იმ სახეობებმა, რომელსაც ემოცია სჭირდება. მაყურებელს აინტერესებს კალათბურთი, სადაც ორიენტაცია ბურთის კალათში დროულად ჩადდება. ჭადრაკი გონიერებაზე დაფუძნებული და მისი გულშემატიკობის გამოცხადება ვერც მაყურებელი გამოხატავს, რადგან ამის უფლება არ

— სპორტულ სამყაროში ჭადრაკის პოპულარობა 30 წელიწადს გაგრძელდა. ქართული ჭადრაკის ფენომენი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ის ერთ თაობას არ მოიცავდა და მასში სამი თაობა იყო ჩართული. საქართველოში საჭადრაკო ტრადიციები და რაღაც შედეგებიც არსებობდა, მაგრამ როცა გამოჩნდა ნონა გაფრინდაშვილი თავისი წარმატებით, იგი ქართული ჭადრაკის სიმბოლო გახდა. დიდ წარმატებას ვარსკვლავის გამოჩენა მოყვება და ეს ეკონკრეტული სპორტის სახეობისადმი დამოკიდებულების მასობრივად შეცვლას ნიშნავს. ამის ალბათობა ნამდვილად არსებობს. საერთოდ, სპორტს ძალიან დიდი ფული სჭირდება და, ამ მხრივ, არც ჭადრაკია გამონაკლისი.

— საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ქალიშვილის გასამზივებლად აუცილებელ ატრიბუტებში ჭადრაკიც ფიგურირებს. თქვენი აზრით, ქალის რათვისების აუცილებლობაზე მიუთითებს აღნიშნული ფაქტი და რამდენად მისი ფლობა ავადმჯობულებს ადამიანს ჭადრაკის თამაშში?

— არსებობს „სამი მზითვის ნიგნი“, რომელთაგან ერთი ქართველი მეფის ვახტანგ VI ქალიშვილს ეკუთვნის. პირველ რიგში, ჭადრაკი გონების ვარჯიშია და დღეს ბევრს არ მოსწონს ზოგადი უნარ-ჩვევების გამოცდის შედეგი უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად გადამწყვეტი რომ არის. პირადად მე მიმაჩნია, რომ უნარ-ჩვევები გონების შესაძლებლობებს კარგად ასახავს. ჭადრაკის თამაშის ფორმაში ყველაფერია ჩადებული: ანალიტიკური გათვლა, ეკონომიური აზროვნება და სხვა მრავალი, რომლის ჰარმონიული გამოიმუშავებაც ბავშვისთვის ცუდი არ უნდა იყოს. მოჭადრაკის მატჩზე გასვლა სახელმწიფო გამოცდას ნააგავს. გამოცდაზე გასვლს, როგორც წესი, ოჯახი და ახლობელთა წრე გულშემატიკობის, მატჩის შემთხვევაში კი გულშემატიკვართა რიცხვი ძალიან დიდია და სათანადო პასუხისმგებლობის გრძნობა საშუალებას არ იძლევა, მათი იმედი გააცრუო. მახსოვს, ნონა გაფრინდაშვილთან მატჩის დებუტში, მაყურებლები მასვე დარბაზის წინაშე, პირველი უხეში შეცდომად დაეუფვი, მე-12 სვლაზე სირცხვილისგან კინაღამ სკამიდან გადავვარდნი, მაგრამ მასვე დარბაზში შექმნილმა აჟიოტაჟმა მაიძულა, თამაში მობილიზებულს გამეგრძელებინა. ახლა მსგავსი რამის წარმოდგენა ძალიან ძნელია.

აქვს. თავად სპორტმენისთვის კი ემოცია დამლუპველია. მოჭადრაკე, რომელიც გონებით მუშაობს და ახერხებს ამ მდგომარეობის შენარჩუნებას, მას ბუნებრივად მეტი უპირატესობა აქვს გამარჯვებისთვის და ამას პროფესიონალი ეტაპობრივად ეჩვენა. სხვათა შორის, ემოციურობა ჩემი სისუსტეც იყო. ძალიან ძნელია, საკუთარ თავში დათრგუნო რაღაც და მთლიანად შეცვალო, რადგან ერთი ადამიანი მეორედ ვერ გადაიტევს. სწორედ ამიტომ ვარბობ, რომ ცხოვრების დინამიკაში მთლიანობაში შეცვალა დამოკიდებულება სპორტის ამ სახეობისადმი.

— თქვენი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა და, შესაბამისად, წარმატებებიც დაემთხვა პერიოდს, როცა ჭადრაკის პოპულარობა ზენიტში იყო და მას არც ქართველი ვარსკვლავები აკლდა. თქვენი აზრით, რამ შეიძლება მიხედოს ისეთი, რამაც შეიძლება ჭადრაკი კვლავ პრესტიჟულ სპორტად აქციოს?

ანონსი გაზეთი "Tsu Times"-ის რედაქცია გათუგობი ორდღიან სემინარს მართავს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისთავთან დაკავშირებით, ორი უმაღლესი სასწავლებლის — ბათუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები 25-26 ივნისს ანყოზენ ორდღიან სემინარს სახელწოდებით: „სამართლებრივი პრობლემების კვლევა-კვლევა“, რომელიც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება. სემინარი

თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველო-ბების მხარდაჭერითა და თსუ-ის სტუდენტური გაზეთის — "Tsu Times"-ის რედაქციის ინიციატივით მომზადდა.

სემინარის მიზანია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდების გაზიარე-



ბა და სამომავლო შეხვედრების ორგანიზება. თსუ-ის სტუდენტები იმსჯელებენ თემაზე: „სიტყვის თავისუფლება და საზოგადოების სამართლებრივი განათლების დონე“, ხოლო მასპინძელი მხარე თემის: „ეკლესია, სახელმწიფო, საზოგადოება“ პრეზენტაციას მოახდენს. თემების განხილვის შემდეგ გამოვლინდებიან სემინარში მონაწილე ყველაზე აქტიური წევრები. თსუ-ის მხრიდან სემინარში მონაწილეობენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები. ორდღიანი სემინარის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, მედიის წარმომადგენლებთან... იგეგმება მემორანდუმის გაფორმება გაზეთ "Tsu Times"-ის რედაქციასა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობას შორის. სემინარის ბოლოს გაიმართება კულტურული ღონისძიებებიც.

მერი საჯარო სსოვნას

გარდაიცვალა ღვანდომისი უნივერსიტეტელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ინგლისური ენის სპეციალისტი, დოცენტი მერი საჯარო, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ერთგულად ემსახურა თავის საქმეს და თავის ქვეყანას. ქალბატონი მერი ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტის ინგლისური ენის განყოფილების დამთავრების შემდეგ ჯერ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე და ინგლისური ენის კათედრაზე, ინგლისური ენის პედაგოგად. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და დოცენტის წოდება. იგი წლების მანძილზე ნაყოფიერად ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, იყო მრავალი სამეცნიერო შრომების ავტორი და ინგლისური ენის სახელმძღვანელოების რედაქტორი.



ინგლისური ენის ჩინებული პროფესიონალი, უანგარო პიროვნება, ერთგული მეგობარი და კოლეგა, კარგი მეოჯახე — ასეთი გახლდათ ქალბატონი მერი. იგი განვლილი ცხოვრებით და თავისი საქმიანობით ყოველთვის ემსახურებოდა როგორც ოჯახის წევრებს, ისე მეგობრებს, კოლეგებსა და მის აღზრდილ თაობებს.



პინკარტონის უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიების სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ბიოლოგიური სანაწარმის ალტერნატიული საშუალება აღმოაჩინეს. სამხრეთ და ცენტრალურ აზიაში ბრინჯი ყველაზე გავრცელებული კულტურაა. მოსავლის აღების შემდეგ კი მინდორში უამრავი თივა რჩება, რომლის ნაწილს საქონლის საკვებად იყენებენ, ნაწილს კი უბრალოდ წვავენ. მკვლევართა აზრით, ეს ნარჩენები ლპობის შედეგად ბიოგაზს გამოყოფენ, რაც ბიოსანაწარმის ალტერნატიულ წყაროდ შეიძლება განვიხილოთ. ქიმიკოსებმა ბრინჯის თივა ნატრიუმის ჰიდროქსიდით დაამუშავეს, რისი წყალბოთითაც ბიომასის მძიმედ ლპობადი კომპონენტების ქიმიური კავშირი დაიშალა და გაზის გამოყოფა მკვეთრად გაიზარდა.

შეგახსენებთ, რომ ბიოლოგიური სანაწარმის შექმნას მეცნიერები უარყოფითად შეხედენ. მათი აზრით, მარცვლეული კულტურების ამ მიზნით გამოყენება კაცობრიობას ტოტალური შიმშილობის საშიშროების წინაშე დააყენებდა. ბიოსანაწარმის პირველივე გამოყენებისთანავე ბრინჯის ფასი მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიძვერა გაიზარდა.

ციფრული გაზეთები ტრადიციულ პრესას უკვე შესამჩნევად ავიწროებენ და აუდიტორიას ართმევენ. მსოფლიო საგაზეთო ასოციაციის წარმომადგენლების განცხადებით, ელექტრონული გაზეთების პოპულარობა იმდენად დიდია, ქალაქის „თანამომხმენ“ კი მკითხველს და შემოსავალს იმდენად კარგავს, რომ მალე შეიძლება საერთოდ გაქრნენ კიდევ. წამყვანი სპეციალისტების აზრით, ინტერნეტ-პრესის რეკლამა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ფინანსური წყაროების გარდა, ელექტრონული პრესა ნილოზობრივი რაოდენობითაც იმატებს და უკვე 2012 წლისთვის მსოფლიო ბაზარზე ელექტრონული და მობილური პრესა 80% დაიკავებს. ასოციაციის მკვლევარები გამოიმტკიცებენ ურჩევნად, რაც შეიძლება სწრაფად განავითარონ ახალი ციფრული პლატფორმები. თუმცა აქვე ამატებენ, რომ მათი კონკურენტი ცალკეული გაზეთები კი არა, ისეთი მსხვილი ჰოლდინგები აღმოჩნდება, როგორცაა google და yahoo. უკვე დღესდღეობით მათ ხელში მსოფლიო ონლაინ-ბიუჯეტის 60%-ია თავმოყრილი.



პრადის საოპერო თეატრში სენსაციური პრემიერა შედგა. თითქმის სამი საუკუნის შემდეგ აქ ისევ აუღერდა ანტონიო ვივალდის ოპერა Argippo, რომელიც 1730 წელს სწორედ პრადის საოპერო თეატრში დაიდგა, შემდეგ კი უკვალოდ გაქრა. მრავალი წლის ძებნის შემდეგ დაკარგული ნოტები აღმოაჩინა ახალგაზრდა ჩეხმა დირიჟორმა ორნეგ მაცელიმ. თავდაპირველად მას მხოლოდ ლიბრეტო ჰქონდა, შემდეგ ოპერის ისტორიით დაინტერესდა და მიაკვლია, რომ პრემიერის შემდეგ პრადის საოპერო თეატრს ხანძარი გასჩენია, ამიტომ იტალიელ მუსიკოსთა ჯგუფი გერმანიის ქალაქ რეგენსბურგში გადასახლებულა. ოპერის ზოგიერთი არია და ფრაგმენტი სწორედ ამ ქალაქის ანონიმურ მუსიკალურ კოლექციაში მოიძია, თუმცა ნაწარმოების თითქმის მესამედი კვლავ არსად ჩანდა. მაშინ ახალგაზრდა დირიჟორმა დარჩენილი ნაწილი ვივალდის სხვა ოპერებიდან ამოღებული ფრაგმენტებით შეავსო და Argippo საოპერო სცენაზე კვლავ ააუღერა.



მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სამცხალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ლიკა პეტრიაშვილი
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავთარაძე

ინტერნეტში ახალი ვირუსი გამოჩნდა. ეს მავნე პროგრამა ბრაუზერში გვერდებს ამახინჯებს და საძიებო სისტემის მიერ მოწოდებულ მისამართებს ცვლის. ახალ ვირუსს „გვერდების შემცველი“ დაარქვეს. საძიებო მანქანის მიერ მოწოდებულ მისამართს იგი სხვა საიტის მისამართით ცვლის, რომელსაც მოთხოვნასთან საერთო არაფერი აქვს. გვერდის ხელმეორედ გახსნისას ყალბი მისამართი შეიძლება გაქრეს, მაგრამ ვირუსს გადამისამართება და სულ სხვა საიტზე გადაყვანა შეუძლია. სპეციალისტების აზრით, ამ ვირუსით უკვე უამრავი კომპიუტერია დაავადებული.



მიჩიგანის უნივერსიტეტის ორმა მკვლევარმა ექვქვემ დააყენა გავრცელებული აზრი, რომ ინტელექტის კოეფიციენტი (IQ) გენეტიკური მოვლენაა და მას ვერაფერი შეცვლის. დღესდღეობით ფსიქოლოგები ინტელექტად მიიჩნევენ უნივერსალურ ფსიქიკურ შესაძლებლობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის ნერვული სისტემის გენეტიკური უნარი — მიღებული ინფორმაცია გარკვეული სიზუსტითა და სისწრაფით გარდაქმნას. ცოდნის მიღება ყველას შეუძლია, მაგრამ ათვისების სისწრაფე და გამოყენების უნარი, მეცნიერთა აზრით, უდავოდ მემკვიდრეობითია. მკვლევარებმა სიუზენ ჯეგმა და მაიკლ ბუშკოლმა შეისწავლეს ინტელექტუალური შესაძლებლობების კავშირი მესხიერებასთან და დაადგინეს, რომ IQ-ს ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი გაძლიერება ვარჯიშით შეიძლება. როგორც ცნობილია, IQ ტესტების უმეტესობა ინტელექტის ორ ტიპს — მოქნილს და კრისტალიზებულს იკვლევს. პირველი მოულოდნელი ამოცანების გადაჭრას, მეორე კი უკვე აჩვენებული გამოცდილების გამოყენებას ემსახურება. მეცნიერები სწორედ მოქნილი ინტელექტით დაინტერესდნენ და სპეციალური ტესტებით მოხალისეთა ჯგუფის მოკვლევადიანი მესხიერება გაავარჯიშეს. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მონაწილეთა IQ მონაცემებმა მნიშვნელოვნად აიწია. „ჩვენმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ სპეციალური ტესტებით მესხიერების გავარჯიშება მოქნილ ინტელექტს უდავოდ აუმჯობესებს“, — განაცხადა ჯეგიმ და იქვე დაამატა, რომ ეს სავარჯიშოები უნარშეზღუდული ბავშვებისათვის ძალიან სასარგებლო იქნება.



სიცოცხლის ხანგრძლივობას ბევრად განსაზღვრავს — წლის რომელ სეზონშია ადამიანი დაბადებული, — განაცხადეს ბრისტოლის უნივერსიტეტის მკვლევარებმა. მათ ექსპერიმენტში მონაწილეობა 60-79 წლის 4286-მა ქალბატონმა მიიღო. მეცნიერებმა ღრმად გააანალიზეს, ჰქონდა თუ არა გავლენა დაბადების წამს გარეგან ტემპერატურას იმეორე დაავადებების ჩამოყალიბების პროცესზე. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ხშირად იმეორე დაავადებები იმ ქალბატონებს ანუხებთ, ვინც ზამთარში დაიბადნენ. გამოჯანმრთელების შემთხვევაშიც კი ასეთი ქალბატონებისთვის რისკ-ფაქტორი ძალიან მაღალია, რაც სიცოცხლის ხანგრძლივობას, რა თქმა უნდა, ამცირებს.



მაღალი ტექნოლოგიების სამყაროში კიდევ ერთი სენსაცია გამოჩნდა. სულ მალე კომპანია Philips-ი სამგანზომილებიან გამოსახულებას სტერეო-სათვალის გარეშე გვარჩვენებს. გამოფენაზე „InfoComm 2008“ კომპანიამ წარმოადგინა 52-დუიმიანი დისპლეი სამგანზომილებიანი გამოსახულებით, რომელსაც WOWvx ტექნოლოგიის წყალობით სპეციალური სათვალე არ სჭირდება. გარდა ამისა, ახალი მონიტორი განსაკუთრებული სიმკვეთრითა და კონტრასტითაც გამოირჩევა.


„ინტერნეტ-მიწაჭეჭვლობა“ ფსიქიკური დარღვევაა, — განაცხადა ფსიქიატრიის ამერიკული გაზეთის ექსპერტმა, დოქტორმა ჟერალდ ბლოკმა. მისი აზრით, ეს არის „კომპულსიურ-იმპულსური“ ანუ ისეთი დარღვევა, რომელსაც აკვიტება ახასიათებს. ყველაზე მეტად ეს შეიძლება იხილოს სფეროებში, როგორცაა ონლაინ თამაშები, კიბერ-სექსი და ელექტრონული ფოსტით ურთიერთობა. ინტერნეტ-მიწაჭეჭვლობას „ნარკომანიის“ სხვა ფორმებთან ბევრი ზიარი თვისება გააჩნია. მაგალითად, აკვიტებული საგნისკენ იმპულსური მისწრაფება, ხოლო თავშეკავების შემთხვევაში ნეგატიური გრძობების მოჭარბება შეიძლება. გარდა ამისა, სულ უფრო და უფრო ძლიერი აპარატი და საუკეთესო პროგრამები სჭირდება და მონიტორთან გატარებული საათების რაოდენობაც უფრო და უფრო იზრდება. დოქტორთა აზრით, ხშირია შემთხვევები, როცა ინტერნეტ-მიწაჭეჭვლობით დაავადებულ პირებს ფიზიოლოგიური მოთხოვნები — ანუ ჭამა და ძილი ავიწყდებათ. არც თუ იშვიათად კი ეს ყოველივე ფსიქოპათიური პრეპარატებით ან ჰოსპიტალიზაციით მთავრდება.



„ტიტანიკის“ ტრაგედია, რომელიც 1912 წელს დატრიალდა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ ცოტათუ იცის, რომ 1898 წელს გამოქვეყნდა „მემსფილდმა“ ნაკლებად ცნობილი მწერლის მორგან რობერტსონის რომანი „ამაოება“ გამოსცა, რომლისთვისაც თანამედროვეებს დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ. ამ რომანში მოქმედება ვითარდება გემზე, რომელსაც სახელად „ტიტანიკ“ ჰქვია და რომლის მონაცემებიც (მიღების რაოდენობა, ძალა, სისწრაფე) ნამდვილი „ტიტანიკის“ ზუსტი ასლია. ნიგნში წერია — „ტიტანს“ ვერაფერი ჩაძირავსო. აქვე საყურადღებოა, რომ ამ გემზეც სამი ათასი მგზავრია, მაშველი ნაგები არ ყოფნის, აპრილის ცივ ღამეს აისბერგს ეჯახება და იძირება. ასეთი განსაცვიფრებელი დამთხვევის ახსნა ჩვეულებრივი ლოგიკით ვერაფერ შესძლო.



მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა რობოტი ნექსი, რომელსაც ადამიანის საუბარი ესმის და შესაბამისი ემოციების გამოხატვაც შეუძლია. ნექსის სახის ყოველ მოძრავე მონაკვეთს თავისუფლების ოთხი ავტონომიური ხარისხი აქვს. გარდა ამისა, მოძრავე ნაწილებს შუალედურ მდგომარეობაშიც შეუძლიათ შეჩერება, რათა, ვთქვათ, მსუბუქი სიხარული ან სევდა გამოხატონ. მოძრაობის სისწრაფე ადამიანის სახის გამოხატულებების ცვლილებას ზუსტად ემთხვევა. მიმიკის გამოხატვა რობოტს მოძრავე ქუთუთოებით, წარბებით, პირითა და ხელებით შეუძლია. ორივე თვალში ნექსის CDD კამერები უდგას, ამიტომ თანამოსაუბრის დანახვას მშვენივრად ახერხებს და ოთახის განათებასაც კი აღწევს. აქტიური კამერით აღჭურვილი რობოტი ოთახში შეუფერხებლად მოძრაობს, ბევრებს კი ოთხი მიკროფონის წყალობით გამოსცემს.



მასალა მოაზარდა მანანა მიქელაძემ